# თავი 8 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა



# სარჩევი

8 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა ....................................8-1
8.1 შესავალი....................................8-1
8.2 სოციო-ეკონომიკური ფონური კვლევის მეთოდოლოგია....................................8-1
8.2.1 კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ....................................8-2
8.2.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები....................................8-3
8.3 ფონური დემოგრაფიული პირობები ....................................8-16
8.3.1 დემოგრაფიის სენსიტიური ფაქტორები ....................................8-37
8.4 ჯანდაცვა ....................................8-37
8.4.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის მონაცემები ....................................8-38
8.4.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები....................................8-43
8.4.3 ჯანდაცვის არსებული მდგომარეობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ დასახლებებში ....................................8-43
8.4.4 ჯანდაცვის სფეროს სენსიტიური ფაქტორები....................................8-47
8.5 მიწათსარგებლობა და მფლობელობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე....................................8-48
8.5.1 კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ....................................8-48
8.5.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები....................................8-49
8.5.3 მიწის შეძენის და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტები ....................................8-49
8.5.4 მიწათსარგებლობის ფონური მდგომარეობა ....................................8-49
8.5.5 მიწათსარგებლობის და მიწის მფლობელობის სენსიტიურობები ....................................8-56
8.6 ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები....................................8-57
8.6.1 კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ....................................8-57
8.6.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის შედეგები....................................8-60
8.6.3 არსებული მდგომარეობა....................................8-60
8.6.4 დასაქმებასთან, საარსებო საშუალებებსა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სენსიტიური ფაქტორები ....................................8-90
8.7 ინფრასტრუქტურა და მომსახურება ....................................8-92
8.7.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია....................................8-92
8.7.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები....................................8-92
8.7.3 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ფონური მდგომარეობა....................................8-92
8.7.4 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სენსიტიური ფაქტორები ....................................8-117
8.8 სატრანსპორტო საშუალებები....................................8-118
8.8.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ....................................8-118
8.8.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები....................................8-118
8.8.3 სატრანსპორტო საშუალებების საბაზისო მდგომარეობა ....................................8-124
8.8.4 სატრანსპორტო მოძრაობის სენსიტიური ფაქტორები....................................8-132
8.9 უმნიშვნელოვანესი სოციო-ეკონომიკური სენსიტიურობები ....................................8-133
8.9.1 ძირითადი სენსიტიურობები 0–56 კმ ნიშნულებს შორის და CSG1 სადგურის ტერიტორიაზე....................................8-134
8.9.2 ძირითადი სენსიტიურობები CSG2 საკომპრესორო სადგურის ტერიტორიასა და მისასვლელ გზაზე ....................................8-134
8.9.3 ძირითადი სენსიტიურობები PRMS-ის ტერიტორიაზე ....................................8-134

**ცხრილები**

ცხრილი 8-1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მსხვილი დახრილი შრიფტით); მოსახლეობა, ინტერვიუს ენა, შესწავლილი დასახლებები და შინამეურნეობების კვლევის ნიმუშების სადისტრიბუციო დეტალები ........ 8-9
ცხრილი 8-2: მთლიანი მოსახლეობა: საქართველო - ქალაქები და რეგიონები, 2005-2011 წლები (მილიონებში) ........ 8-16
ცხრილი 8-3: მოსახლეობის რაოდენობა რუსთავის ქალაქისთვის /მუნიციპალიტეტებისთვის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების თვალსაზრისით: 2005-2011 წლები ........ 8-17
ცხრილი 8-4: შობადობა და ახალშობილთა სიკვდილიანობა რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2009 ........ 8-40
ცხრილი 8-5: მიწის მფლობელობა, გამოყენება და ნაკვეთის საშუალო ზომა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონაში ........ 8-53
ცხრილი 8-6: მიწის მფლობელობა, გამოყენება და საშუალო ფართობი PRMS ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ........ 8-56
ცხრილი 8-7: საკვანძო სექტორების წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2010 წელი ........ 8-58
ცხრილი 8-8: ეკონომიკის შერჩეული ინდიკატორები, 2000-2009 წლები ........ 8-59
ცხრილი 8-9: დასაქმების შერჩეული მაჩვენებლები, 2000-2009 წლები (%-ში) (n/a = ხელმიუწვდომელი) ........ 8-60
ცხრილი 8-10: მამაკაცებისა და ქალების საშუალო თვიური შემოსავალი 2005-2010 წლებში ........ 8-61
ცხრილი 8-11: საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება ლარებში თითოეულ შინამეურნეობაზე ურბანულ და სოფლის დასახლებებში, 2006-2010 წლები ........ 8-62
ცხრილი 8-12: შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-70
ცხრილი 8-13: მონაცემები სესხების თაობაზე CSG1 სადგურის / ახალი მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-71
ცხრილი 8-14: შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-78
ცხრილი 8-15: სესხების შესახებ მონაცემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-79
ცხრილი 8-16: ფინანსური მდგომარეობა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-88
ცხრილი 8-17: სესხის მაჩვენებლები PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-89
ცხრილი 8-18: სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია (DFID Overseas Road Note 40-ის მიხედვით) ........ 8-123
ცხრილი 8-19: სატრანსპორტო ნაკადის შეჯამება ........ 8-124

სურათები

სურათი 8-1: CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების სტრუქტურა .................. 8-23
სურათი 8-2: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში........................................................................................ 8-24
სურათი 8-3: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში........................................................................... 8-25
სურათი 8-4: CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა ........................................................................................ 8-26
სურათი 8-5: CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში გადმოსვლის მიზეზები (ბოლო 4 წლის განმავლობაში გადმოსული შინამეურნეობები) ............. 8-26
სურათი 8-6: სოციალური პრობლემები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში............................ 8-27
სურათი 8-7: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში........................................................................................ 8-28
სურათი 8-8: შინამეურნებობების სტრუქტურა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ................. 8-29
სურათი 8-9: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში........................................................................................ 8-30
სურათი 8-10: CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა................................................. 8-31
სურათი 8-11: CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში გადმოსვლის მიზეზები (ბოლო 4 წლის განმავლობაში გადმოსული შინამეურნეობები)........................................ 8-31
სურათი 8-12: სოციალური პრობლემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში................................................... 8-32
სურათი 8-13: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში............................................... 8-33
სურათი 8-14: შინამეურნეობების სტრუქტურა PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში........................................................................................ 8-34
სურათი 8-15: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში................................................... 8-35
სურათი 8-16: PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა ............................................................................. 8-36

სურათი 8-17: სოციალური პრობლემები PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ........ 8-37
სურათი 8-18: სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 100 000 ადამიანზე და 5 ძირითადი გამომწვევი მიზეზი, 2001-2006 (წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009) ........ 8-39
სურათი 8-19: დაავადებების მაჩვენებელი ყოველ 100 000 ადამიანზე და 5 ძირითადი გამომწვევი მიზეზი, 2001-2006 (წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009) ........ 8-40
სურათი 8-20: ადამიანის ჯილეხის ინციდენტის შემთხვევები (100,000 მოსახლეზე), შერჩეული მუნიციპალიტეტები, 2003–2011 ........ 8-42
სურათი 8-21: მიზეზი, რის გამოც რესპონდენტებმა ბოლოს მიმართეს სამედიცინო დახმარებას ........ 8-44
სურათი 8-22: გასულ წელს ყველაზე გავრცელებული დაავადებები, რომლებიც სამედიცინო ჩარევას მოითხოვდა ........ 8-45
სურათი 8-23: სამედიცინო მომსახურების ტიპები ........ 8-46
სურათი 8-24: მედიკამენტების ხელმისაწვდომობა ........ 8-47
სურათი 8-25: მიწის მფლობელობა და შეძენა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონაში ........ 8-51
სურათი 8-26: მიწის მფლობელობა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონაში ........ 8-53
სურათი 8-27: მიწის მფლობელობა PRMS ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ........ 8-55
სურათი 8-28: დასაქმების სტატუსი და სექტორი CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-65
სურათი 8-29: ტყის რესურსების CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-66
სურათი 8-30: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-66
სურათი 8-31: სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-67
სურათი 8-32: შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-68
სურათი 8-33: შემოსავლის სეზონურობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-69
სურათი 8-34: შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-69

სურათი 8-35: შინამეურნეობების ყოველთვიური დანახარჯები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-70
სურათი 8-36: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-71
სურათი 8-37: შინამეურნეობების ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-72
სურათი 8-38: დასაქმების სტატუსი და სექტორი CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-73
სურათი 8-39: ტყის რესურების გამოყენება CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-74
სურათი 8-40: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-75
სურათი 8-41: სამუშაოს ძიებაში არსებული ძირითადი პრობლემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-75
სურათი 8-42: შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-76
სურათი 8-43: შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-77
სურათი 8-44: შემოსავლის სეზონურობა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-77
სურათი 8-45: შინამეურნეობების ყოველთვიური დანახარჯები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-78
სურათი 8-46: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-79
სურათი 8-47: შინამეურნეობების 5 ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-80
სურათი 8-48: დასაქმების სტატუსი და სექტორი PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-82
სურათი 8-49: ტყის რესურსების გამოყენება PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-83
სურათი 8-50: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-84
სურათი 8-51: სამუშაოს მაძიებელთა პრობლემები PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-85

სურათი 8-52: შემოსავლის ცვლილება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-86
სურათი 8-53: შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-87
სურათი 8-54: შემოსავლის სეზონურობა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-87
სურათი 8-55: შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-88
სურათი 8-56: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები PRMS-ის ზემოქმდების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-89
სურათი 8-57: შინამეურნეობების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-90
სურათი 8-58: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი CSG1/ პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-94
სურათი 8-59: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება CSG1/ პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-95
სურათი 8-60: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი CSG2/ პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-96
სურათი 8-61: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება CSG2/ პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-96
სურათი 8-62: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-97
სურათი 8-63: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-97
სურათი 8-64: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-100
სურათი 8-65: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი CSG1/ პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-100
სურათი 8-66: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა CSG1/ პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-101
სურათი 8-67: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება CSG1/ პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-101
სურათი 8-68: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-102

სურათი 8-69: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-103
სურათი 8-70: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-103
სურათი 8-71: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-104
სურათი 8-72: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-105
სურათი 8-73: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-106
სურათი 8-74: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-106
სურათი 8-75: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-107
სურათი 8-76: დასწრება სკოლებში CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-108
სურათი 8-77: სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-108
სურათი 8-78: ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-109
სურათი 8-79: დასწრება სკოლებში CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-109
სურათი 8-80: სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-110
სურათი 8-81: ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-110
სურათი 8-82: დასწრება სკოლებში PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-111
სურათი 8-83: სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-111
სურათი 8-84: ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-111
სურათი 8-85: შეხედულებები ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში ........ 8-112

სურათი 8-86: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების ცვლილებებზე CSG1/პარალელური მილსადენის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.......8-113
სურათი 8-87: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობაზე CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.......8-114
სურათი 8-88: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის ცვლილებაზე CSG2 /პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.......8-115
სურათი 8-89: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის შესახებ PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.......8-116
სურათი 8-90: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის ცვლილებაზე PRMS-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.......8-117
სურათი 8-91: სატრანსპორტო კვლევის ლოკალიზაცია 1.......8-120
სურათი 8-92: სატრანსპორტო კვლევის ლოკაცილიზაცია 2 (წალკის წყალსაცავი).......8-121
სურათი 8-93: სატრანსპორტო კვლევის ლოკალიზაციები 3,4,5 და 6.......8-122
სურათი 8-94: ცალმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადი თითოეულ ლოკალიზაციაზე პროცენტული შემადგენლობით.......8-126
სურათი 8-95: ორმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადი თითოეულ ლოკალიზაციაზე კატეგორიის მიხედვით.......8-127
სურათი 8-96: ტრანსპორტის მოძრაობა ახალციხის მიმართულებით.......8-128
სურათი 8-97: ტრანსპორტის მოძრაობა წალკის მიმართულებით.......8-129
სურათი 8-98: ტრანსპორტის მოძრაობა მარნეულის მიმართულებით.......8-129
სურათი 8-99: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავში, ლოკალიზაცია 4.......8-130
სურათი 8-100: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავის ჩრდილოეთით, ლოკალიზაცია 5.......8-131
სურათი 8-101: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავის ჩრდილოეთით მეექვსე ლოკალიზაციაზე.......8-132

# 8 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა

## 8.1 შესავალი

ESIA-ს წინამდებარე თავში შეჯამებულია ინფორმაცია სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია SCPX-ის პროექტის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშში (RSK 2012). ამ თავში წარმოდგენილია SCPX-ის პროექტის ტერიტორიის ფონური სოციო-ეკონომიკური პირობების აღწერა და განხილულია შემდეგი საკითხები:

- სოციო-ეკონომომიკური გარემო, დემოგრაფიული სიტუაციის ჩათვლით
- ჯანდაცვა
- მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა
- ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები
- ინფრასტრუქტურა და მომსახურება
- საგზაო მოძრაობა და სატრანსპორტო საშუალებები

ეს თავი სრულდება უმთავრესი სოციო-ეკონომიკური სენსიტიურობების შეჯამებით, რომელთა მდებარეობები აღნიშნულია შეზღუდვების რუკებზე დანართში A.

## 8.2 სოციო-ეკონომიკური ფონური კვლევის მეთოდოლოგია

ანგარიშის ამ ნაწილში მოყვანილია სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევის მეთოდოლოგია და ქვეყნის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული ინფორმაცია, შერჩეული მუნიციპალიტეტებისა და SCPX პროექტის მოქმედების არეალის მიხედვით ზოგად ჭრილში, თუმცა გარკვეულწილად განხილულია კონკრეტული სიტუაცია PAC-ებში[1]. ადგილობრივი კონტექსტის ფარგლებში ანგარიშში შედარებულია ორი ჯგუფი. ესენია, ერთის მხრივ, რეგისტრირებული უნარშეზღუდული / ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები და იძულებით გადაადგილებული პირები და მეორეს მხრივ, საზოგადოების დანარჩენი, უფრო ფართო ნაწილი.

მოცემული თავი ძირითადად ეფუძნება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების კვლევის შედეგებს და ინტერვიუებს ამ დასახლებების რესპონდენტებთან (ჩატარდა 2011 წლის სექტემბერ/ოქტომბერში). არაადგილობრივი დონის მონაცემები კამერალური კვლევის შედეგადაა მოპოვებული. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის დასახლებებში შესაძლოა იყოს რამდენიმე განცალკევებული საცხოვრებელი სახლი, სოფლის დასახლებები საქართველოში მკაფიო საზღვრებშია მოქცეული; ამ დასახლებებს შორის ხშირად რამდენიმე საცხოვრებელი სახლია. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ სახლების მაცხოვრებელთა სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები მათი მეზობლების ანალოგიური მაჩვენებლებისგან. ამის გარდა, თუმცა არსებობენ SCPX პროექტის შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც მიწის ნაკვეთებს საძოვრებად იყენებ და ასევე სხვა პირებიც, რომლებიც მისდევენ მიწის გამოყენების ციკლებს (სეზონური ან დღიური), მათი რაოდენობა მცირეა და მათი უმრავლესობა

[1] ტერმინი PAC განმარტებულია მე-2 თავში - ტერმინოლოგია და აბრევიატურები და ESIA-ს მიზნებისთვის PAC-ების გამოვლენის მეთოდი მოცემულია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშში (ქვეთავში 8.2.2)

ცხოვრობს ახლომდებარე სოფლებში და არ წარმოადგენს საძოვრების ნომადურ (მომთაბარე)მომხმარებლებს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ცხოვრობენ დასახლებებში, სადაც კვლევა არ ჩატარებულა, ზემოხსენებულის მსგავსად, მათი სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი მეზობლების ანალოგიური მაჩვენებლებისგან. SCPX პროექტის ტერიტორიაზე არ არის ინფორმაცია მომთაბარე საძოვრების მომხმარებლების შესახებ.

### *8.2.1 კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია*

სოციო-ეკონომიკური საველე კვლევის მოსამზადებელ პერიოდში ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ფონური სოციო-ეკონომიკური კვლევები, რომლებიც ჩატარდა 2002 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების სისტემის პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად. ამასთანავე, ამ კვლევების თარიღების გათვალისწინებით, აღიარებულია რომ ამ კვლევების შედეგად მოპოვებული მოცემული ინფორმაცია მოძველებულია (იხ. დამატებითი შენიშვნა ქვეთავში 8.2.2).

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება მოხდა შემდეგი წყაროებიდან:

- BP-ის კვლევები მოსახლეობის/ინდივიდუალური პირების პრეტენზიებზე და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტებისთვის საინვესტიციო პროგრამების საქმიანობები[2]. აღნიშნულ კვლევებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია პროექტის არეალში არსებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ათი წლის წინ და იმ ცვლილებების მაჩვენებლებზე, რომლებიც მოხდა შემოთავაზებული სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მიმდებარე რაიონებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის პროექტების შედეგად.
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) აუდიტი, საბოლოო ანგარიშის პროექტი (RAP Completion Audit, 2010). აქ მოცემულია ხელისუფლების მიერ მოწოდებული სოციო-ეკონომიკური მონაცემები და 2009 წელს მსოფლიო ბანკის მიერ სიღარიბის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. ამ მონაცემთა წყაროების მიხედვით, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ქალაქებსა და რეგიონებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, თუმცა არის გარკვეული განსხვავებები თავად ქალაქებსა და რეგიონებს შორის. განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) აუდიტმა აღმოაჩინა შემდეგი საკვანძო დემოგრაფიული ცვლილებები:
    - რეგიონებში მოსახლეობის დინამიკა მიგრაციის გათვალისწინებით და მოსახლეობის შესაბამისი გადანაწილება; ცვლილებები სოფლებისა და პატარა ქალაქების დემოგრაფიულ სტრუქტურებში
    - ცვლილებები ეთნიკურ მრავალფეროვნებაში
    - სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკის ნგრევა და მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გადაადგილება, ასევე დიდი რაოდენობით დევნილების/იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფის აუცილებლობა.

[2] სხვადასხვა წლების პრეტენზიების შესახებ შერჩეული მონაცემები ამოღებული იქნა BP-ს ჩანაწერებიდან და ისინი ხელმისაწვდომია Excel-ის ფორმატში. ამავე დროს, CIP საქმიანობების შეჯამებები ხელმისაწვდომია ცხრილის ფორმით.

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) აუდიტის (RAP Completion Audit, 2010) ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელშიც 15 სოფლის 700 შინამეურნეობა მონაწილეობდა. ამ კვლევის შედეგების დახმარებით შესაძლებელი გახდა საბაზისო მონაცემების შეგროვება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებზე. კვლევა ძირითად აქცენტს აკეთებდა იმ დასახლებებზე, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის პროექტების განსახორციელებლად მოხდა მიწის შესყიდვა. ამ დასახლებებიდან 5 სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებად მიიჩნევა (ესენია ახალი სამგორი, არალი, ვალე, ავრანლო და ყიზილქილისა). იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები მდებარეობს და სადაც კვლევა ჩატარდა, შესაძლებელია შედარებების გაკეთება სხვა სოფლებთან, სადაც ჩატარებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) აუდიტის შინამეურნეობის კვლევები.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდის მისამართი: http://www.geostat.ge/index.php?lang=eng
- საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაეროს განვითარების პროგრამის) და ბანკების (მაგალითად, მსოფლიო ბანკი) მიერ მომზადებული ანგარიშები.

### 8.2.2 *არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები*

*არასაკმარისი მონაცემები*

**პირველადი და მეორადი წყაროები**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში წარმოდგენილი ფონური სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის დეტალური მონაცემები ამჟამად განხილულია, როგორც მოძველებული. უფრო მეტიც, არსებობდა გაურკვევლობა ხელმისაწვდომ სოციო-ეკონომიკურ მონაცემებთან დაკავშირებით.

მაგალითად, განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) აუდიტის შინამეურნეობის კვლევის (RAP Completion Audit, 2010) ზოგიერთი მონაცემის გამოყენება მოითხოვს სიფრთხილეს და იმ დაშვების გათვალისწინებას, რომ თითქმის ყველა სოფელში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით ერთგვაროვანია. მონაცემები 2008 წლით თარიღდება, ამიტომ ისინი არ არის ამჟამინდელი. შერჩევაში მონაწილეობდა უფრო მეტი სოფელი, სადაც დიდი რაოდენობით ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვიდრე სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების სიაშია ჩამოთვლილი. გარდა ამისა შერჩევის სტრუქტურა ითვალისწინებდა იმ შინამეურნეობების თანაბარ რაოდენობას, რომლებმაც მიწის ნაკვეთებზე კომპენსაცია მიიღეს და არ მიიღეს. შერჩევაში მოცემულია ორი დიდი კონტინგენტი. ამიტომ, ის არ შეიცავს რაიმე დამახასიათებელ და დამაჯერებელ მონაცემებს ყველა მოსახლეზე, თუმცა იძლევა სანდო ინფორმაციას მიწის მფლობელობასა და გამოყენებაზე. შერჩევაში ჩართული მიწის მფლობელები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან მიწის სხვა მფლობელებისგან იმავე სოფლებში ან მიმდებარე დასახლებებში.

ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით. სტატისტიკა ყოველთვის არ არის სანდო. საქართველოში ნიშანდობლივი სოციო-პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ძვრები მოხდა მას შემდეგ, რაც ქვეყანა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელი გახდა. პოლიტიკურმა და ინსტიტუციონალურმა

ცვლილებებმა (მათ შორის ლოკალიზებულ და სამხედრო ეთნიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებით) ნეგატიურად იმოქმედა მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და შედარებაზე სათანადო ფორმატში. მონაცემები არსებობს გარკვეულ საკითხებზე, მაგრამ ყოველთვის არ ხდება ანალიზის გაკეთება. ბოლო ეროვნული აღწერა 2002 წელს ჩატარდა.

ისეთი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დეტალურ ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ისინი ყოველთვის არ არის სრული და ამომწურავი და პირდაპირ გამოყენებადი სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად, რომლის სამიზნე იქნება საქართველოს მასშტაბით კონკრეტულ ტერიტორიებზე არსებული და შემოთავაზებული პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები.

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრაქტიკული სირთულეების გამო შეზღუდული ოდენობით მონაცემების მოპოვება მოხდა რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებზე, სადაც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები მდებარეობს. აქედან გამომდინარე, სოციო-ეკონომიკური კონტექსტის ეს კომპონენტი უფრო სუსტია, ვიდრე მონაცემები მთელი ქვეყნის შესახებ. შესაძლებელია სასარგებლო და მნიშვნელოვანი შედარებების გაკეთება ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს, ჯგუფებსა და ეროვნულ დონეზე არსებულ სიტუაციებს შორის. თუმცა, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობაა იმისა, რომ გაკეთდეს შედარება ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს და რეგიონალურ/მუნიციპალურ მდგომარეობას შორის.

არასაკმარისი მონაცემებისა და გაურკვევლობების მიუხედავად, ყველა წყაროდან მიღებული შედეგების შერჩევითი გამოყენება უზრუნველყოფს სასარგებლო მონაცემებს ამჟამინდელ მდგომარეობასა და ტენდენციებზე ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან და ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან მიმართებაში. მიზანი არის ამ ინფორმაციის გამოყენება „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტისთვის“ (LACF) და განახლებული „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ცნობარისთვის“ მოსამზადებლად, და სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის მონიტორინგის კვლევის დიზაინისათვის. მას აგრეთვე წვლილი შეაქვს სოციალური, საზოგადოებრივი განვითარებისა და საინვესტიციო პროგრამების განხორციელების საქმეში.

არასაკმარისი მონაცემებისა და გაურკვევლობის გამო არსებობს ცალკეული შეზღუდვები საბაზისო სოციო-ეკონომიკური კვლევის მასშტაბზე, სიღრმესა და ხარისხზე. ასეთი საბაზისო კვლევის ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისთვის. არსებული ხარვეზები ზღუდავს სოციალური გავლენის რეალურ და ობიექტურ შეფასებას. სწორედ ამიტომ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტისთვის ჩატარდა ახალი საბაზისო სოციო-ეკონომიკური კვლევა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებს იმისათვის, რომ მოხდეს:

- სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა და ძირითადი ტენდენციების აღწერა, რომლებშიც სავარაუდოდ ადგილი ქონდა მოსახლეობის ცვლილებას და მიგრაციას გასული ათწლეულის განმავლობაში
- ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის აღქმის განსაზღვრა სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მიმართ ბოლო წლებში რეგიონებში გარკვეული სფეროების განვითარებაში მილსადენის მშენებლობისა

და ექსპლუატაციის როლის გათვალისწინებით (მოსახლეობის აღქმები წარმოდგენილი იქნება SCPX ESIA ანგარიშში)

- ფონური ინფორმაციის საფუძვლად გამოყენება სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების რეალური ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასებისთვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებში.

### *საველე კვლევის მეთოდები*

### *პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების იდენტიფიკაცია*

დასაწყისშივე აუცილებელი გახდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების ზუსტი სიის შედგენა.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება არის ტერიტორია, სადაც ხალხი ცხოვრობს (ე.ი. ESIA-თვის საჭიროა მუდმივად, დროებით ან პერიოდულად დასახლებული ადგილების განსაზღვრა რუკების, თანამგზავრით გადაღებული ფოტოებისა და აეროფოტოების მეშვეობით, სადაც სულ მცირე ხუთი საცხოვრებელი სახლია).

იმისათვის, რომ განისაზღვროს, როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება, ტერიტორიას უნდა ჰქონდეს საზღვრები (უნდა მდებარეობდეს სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების საპროექტო ტერიტორიიდან გარკვეული მანძილის ფარგლებში) და უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს.

ამგვარი საზღვრებისა და კრიტერიუმების დადგენის მიზნით ჩატარებული სამუშაო ეფუძნებოდა 3 ძირითად პრინციპს:

- თანმიმდევრობისა და შესაბამისობის აუცილებლობა SCPX ESIA-ს საზღვრებსა და კრიტერიუმებს და საქართველოში BP-ის მიერ წარსულში ინიცირებული მილსადენის პროექტების ESIA-ში დადგენილ საზღვრებსა და კრიტერიუმებს შორის:
    - სადაც წინა ESIA თანმიმდევრული იყო საზღვრებისა და კრიტერიუმების თვალსაზრისით და ამასთანავე, ეს საზღვრები და კრიტერიუმები კვლავაც ჩაითვალა მიზანშეწონილად და მისაღებადიսე, რომ მათი გამოყენება არ გამხდარა წინააღმდეგობების საფუძველი, მაშინ ისინი ისევ გამოიყენებოდა;
    - სადაც აღინიშნა შეუსაბამობები, მაგალითად, მილსადენთან მისასვლელი გზების შემთხვევაში, ბალანსი გამოიძებნა ადრე დადგენილ საზღვრებს შორის, რომელთაგან ზოგიერთი მიჩნეული იქნა ძალიან ვიწროდ (100 მ) და ზოგიერთი ძალიან ფართოდ (2 კმ).
- წინა მილსადენების პროექტების გამოცდილების გათვალისწინების აუცილებლობა, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტზე ფოკუსირებული კვლევები (მაგ., ზემოქმედების მონიტორინგი და საჩივრების/უკმაყოფილების ანალიზი):
    - ამან გამოიწვია მოქნილი, პრაქტიკული მიდგომა ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების განსაზღვრაში, მაგ., მოხდა გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების დაშვება. საველე სამუშაოებმა ცხადყო, რომ ზოგიერთი დასახლება უნდა შესულიყო პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების სიაში, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ეს არ იყო ასე (საზღვრების თვალსაზრისით). მაგ., თუ დასახლებებს ჰქონდა სახმელეთო გასასვლელი და/ან ბუნებრივი რესურსები ამ საზღვრებში.

- მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა სახმელეთო მილსადენებთან მიმართებაში (მათ შორის უახლოეს წარსულში მომზადებული ESIA ანგარიშები), რომლებიც შეესაბამება მსოფლიო ბანკის ჯგუფის კვლევებსა და რეკომენდაციებს, როგორიცაა: მსოფლიო ბანკის ჯგუფის რეკომენდაციები (1999) სახელწოდებით *„ეკოლოგიური შეფასების წყარო სახელმძღვანელო და თანდართული პერიოდული განახლებები“*, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის *2012 წლის სამუშაოთა შესრულების სტანდარტები ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობისათვის (თანდართული სახელმძღვანელო შენიშვნებით)*, მსოფლიო ბანკის ჯგუფის (2007) *გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რეკომენდაციები სახმელეთო ნავთობსადენებისა და გაზსადენების პროექტებისათვის.*

ამ პრინციპების გამოყენებით სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტისათვის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება განისაზღვრა შემდეგნაირად:

- დასახლება, რომელიც მდებარეობს 2 კმ რადიუსში ნებისმიერი მიმართულებით მილსადენის ცენტრალური ხაზიდან, ჩამკეტი სარქველიდან და დგუშის სადგურიდან
- დასახლება, რომელიც განლაგებულია 5 კმ რადიუსში სამშენებლო ბანაკების, საკომპრესორო სადგურების ან წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურის ცენტრალური პუნქტებიდან.
- დასახლება, რომელიც მდებარეობს 2 კმ რადიუსში მილების დასაწყობების უბნებისა და სასაწყობო ეზოების ცენტრალური პუნქტებიდან
- დასახლება, რომელიც მდებარეობს 300 მ რადიუსში ახალი ან განახლებული დროებითი ან მუდმივი მისასვლელი გზების ცენტრალური ხაზიდან SCPX-ის პროექტთან მიმართებაში (მისასვლელი გზა ამ მიზნებისათვის განისაზღვრება, როგორც კონკრეტული მარშრუტი, რომელიც გამოიყენება მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის ფაზებში ოპერატორის და/ან კონტრაქტორის მიერ. ეს გზები საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, მილების დასამონტაჟებლად, მილსადენის ექსპლუატაციისა და/ან ტექნიკური მომსახურებისათვის). ამასთანავე, აღნიშნული გზები:
    - რეგულარულად არ გამოიყენება მძიმე სამშენებლო ან ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკის გადასაადგილებლად, ან
    - საჭიროებს გაფართოებას ან საფარის გასაუმჯობესებელ სამუშაოებს მთელს სიგრძეზე ან გარკვეულ მონაკვეთზე, ვიდრე მოხდება მათი გამოყენება მილსადენთან მისასვლელად.

  მისასვლელი გზა იწყება შედარებით უფრო მთავარი გზის გასაყარზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნული მახასიათებლებს.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების განსაზღვრა მოხდა ორ ეტაპად უახლესი ხელმისაწვდომი რუკებისა და დასახლებების შესახებ (დაბები/სოფლები/პატარა ქალაქები) სოციალური მონაცემების გამოყენებით:

- პირველი ეტაპი: ნებისმიერი დასახლება, რომელიც მთლიანად მდებარეობს ზემოაღნიშნულ საზღვრებში ან მას კვეთს მილსადენთან მისასვლელი გზა, მიჩნეულია ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებად
- მეორე ეტაპი: იმ დასახლებების გათვალისწინება, რომლებიც მდებარეობს ზემოთხსენებული ერთ-ერთი საზღვრის ფარგლებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე.

- საზღვარზე - იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზღვრების ფარგლებში მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლია (დროებითი თუ მუდმივი), მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი დასახლება მიჩნეული ყოფილიყო, როგორც ზეგავლენის ქვეშ მყოფი
- მიმდებარე ტერიტორიაზე - ჩატარდა თითოეული კონკრეტული შემთხვევის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღებამდე დასახლების კლასიფიკაციის თაობაზე გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები:
  - კერძო მიწის ნაკვეთების რაოდენობა, რომელსაც ფლობენ და სადაც მუშაობენ დასახლების მაცხოვრებლები და მათი მთლიანი ტერიტორია საზღვრების ფარგლებშია
  - საერთო მფლობელობაში მყოფი, მუნიციპალიტეტისა ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი, რომელიც გამოიყენება, როგორც საერთო მფლობელობის მიწა (მიუხედავად იმისა, ეფუძნება თუ არა მიწის გამოყენება სახელმწიფოსა და დასახლებას შორის იურიდიულ თუ არა-იურიდიულ შეთანხმებას) და მდებარეობს საზღვრების ფარგლებში
  - ზეგავლენის მონიტორინგის კვლევებიდან/საჩივრების რეესტრიდან მოპოვებული მასალები, რომლებიც ცხადყოფს, რომ წარსულში დასახლება მოქცეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის ან მასთან დაკავშირებული ობიექტის ზეგავლენის ქვეშ
  - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჯგუფის მსჯელობით (საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო წამყვანმა სოციალური ნაწილის მთავარმა ავტორმა), წარსული გამოცდილებისა და ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით იყო ალბათობა იმისა, რომ მოსახლეობა ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდა.

საზღვრებისა და კრიტერიუმების გამოყენებისა და ორეტაპიანი მიდგომის შედეგად გამოვლინდა ზეგავლენის ქვეშ მყოფი 39 დასახლება. ცხრილი 8-1 ნაჩვენებია, რომ არის 21 CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება, 9 CSG2 სადგურისა და მასთან დაკავშირებული მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება და 9 PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება.

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების იდენტიფიკაციის შემდეგ, ESIA-ს საჯარო განხილვის დაწყებამდე და განხილვის დროს ჩატარებული შემდგომი საპროექტო სამუშაოების შედეგად მოხდა მილსადენის ბანაკის ადგილმდებარეობის შეცვლა და CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის მდებარეობის განსაზღვრა. ადგილმდებარეობების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ ისევ იქნა გამოყენებული ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლების იდენტიფიცირების მიდგომა და შედეგად განისაზღვრა ექვსი დამატებითი ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება: სამი სამშენებლო ბანაკის ახლოს პარალელური მილსადენის სიახლოვეს (გამარჯვება, ფოლადაანთკარი და ყარაჯალარი) და სამი CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო ბანაკის ახლოს (საყდრიონი, კუშჩი და განთიადი)

ეს PAC-ები მდებარეობს ცხრილი 8-1 მოცემული ზოგიერთი PAC-ის მახლობლად და ზომის, ეთნიკურობის და ადგილმდებარეობის მიხედვით სოციო-ეკონომიკური და ეთნიკური თვალსაზრისით განხილული იქნა როგორც ახლომდებარე PAC-ების მსგავსი. აქედან გამომდინარე, საჭიროდ არ ჩაითვალა დამატებითი კვლევის ჩატარება PAC-ის (და შინამეურნეობის) დონეზე. შესაბამისად, PAC-ების ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ განახლებულა და PAC-ების მიმდინარე სია მოცემულია მე-9 თავში, დანართში C1 და

PCDP-ში. კონსულტაციები ამ PAC-ებთან ჩატარდა ორი კლასტერული შეხვედრის დროს საყდრიონსა და გამარჯვებაში (იხ. მე-9 თავი). შესაბამისად, ამ თავში წარმოდგენილია თავდაპირველ 39 PAC-ში ჩატარებული სოციო-ეკონომიკური კვლევის შედეგები.

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების რუკები მოცემულია დანართში A.

ცხრილი 8-1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მსხვილი დახრილი შრიფტით); მოსახლეობა, ინტერვიუს ენა, შესწავლილი დასახლებები და შინამეურნეობების კვლევის ნიმუშების სადისტრიბუციო დეტალები

| პროექტის ზონა | მუნიციპალიტეტი | ტერიტორი-ული ერთეული | PAC-ები (39) | მოსახლე-ობა/ეთნიკურობა | ენა | PAC გამოკითხვა (34) | PACs HH გამოკითხვა (34) | HH გამოკითხვა ნიმუშის განაწილება (სულ 1200) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CSG1/პარალელური მილსადენისPACs | გარდაბანი | ვახტანგისი | ვახტანგისი (ყოფილი ულიანოვკა) | 2980/აზ&ქართ | რუსული | 3 (ნაზარლო, ვახტანგისი, ქესალო) | ვახტანგისი (ყოფილი ულიანოვკა) | 20 |
| | გარდაბანი | ნაზარლო | ნაზარლო | 6000/აზ | | | ნაზარლო | 40 |
| | გარდაბანი | ქესალო | ქესალო | 5700/აზ | | | ქესალო | 40 |
| | გარდაბანი | ჯანდარი | ჯანდარი 1 | 3120/აზ | რუსული | 1 (ჯანდარი 1) | ჯანდარი 1 | 20 |
| | გარდაბანი | ლემშვენიერა | მზიანეთი | 355/ქართ | ქართული | 2 (მზიანეთი,ლემშვენიერა) | მზიანეთი | 10 |
| | გარდაბანი | ლემშვენიერა | ლემშვენიერა | 2469/ქართ | | | ლემშვენიერა | 20 |
| | გარდაბანი | ლემშვენიერა | ნაგები | 560/ქართ | | | | არა HH ინტერვიუები |
| | გარდაბანი | გარდაბანი | გარდაბანი (ქალაქი) | 16200/აზ&ქართ | ქართული | 2 (გარდაბანი (ქალაქი) პობედა) | გარდაბანი (ქალაქი) | 60 |
| | გარდაბანი | გარდაბანი | პობედა | 115/ქართ | | | პობედა | 5 |
| | გარდაბანი | გარდაბანი | თბილწყარო | 420/აზ&ქართ | | | | არა HH ინტერვიუები |
| | გარდაბანი | ახალი სამგორი | ახალი სამგორი | 2900/ქართ | ქართული | 2 (ახალი სამგორი, გამარჯვება 1) | ახალი სამგორი | 20 |
| | გარდაბანი | გამარჯვება 1 | გამარჯვება 1 (ყოფილი სოვხოზ სამგორსკი) | 350/ქართ | | | გამარჯვება 1 (ყოფილი სოვხოზ სამგორსკი) | 10 |
| | გარდაბანი | აღთაქლა | აღთაქლა | 5600/ქართ | რუსული | 2 (აღთაქლა, ყარათაქლა) | აღთაქლა | 40 |
| | გარდაბანი | ყარათაქლა | ყარათაქლა | 3000/აზ | | | ყარათაქლა | 20 |
| | გარდაბანი | კრწანისი | კრწანისი | 5230/ქართ | ქართული | 1 (კრწანისი) | კრწანისი | 40 |
| | გარდაბანი | გარდაბანი | ახალი კუმისი (ყოფილი კუმისის აგარაკები) | 650/ქართ | | | | არა HH ინტერვიუები |

| პროექტის ზონა | მუნიციპალიტეტი | ტერიტორი-ული ერთეული | PAC-ები (39) | მოსახლე-ობა/ეთნიკურობა | ენა | PAC გამოკითხვა (34) | PACs HH გამოკითხვა (34) | HH გამოკითხვა ნიმუშის განაწილება (სულ 1200) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რუსთავი | რუსთავი | რუსთავი | 111000/ქართ | ქართული | 1 (რუსთავი) | რუსთავი | 80 |
| | მარნეული | მარნეული | მარნეული (ქალაქი) | 20000/აზ&ქართ | რუსული | 2 (მარნეული (ქალაქი), ჯანდარი 2 | მარნეული (ქალაქი) | 60 |
| | მარნეული | მარნეული | ჯანდარი 2 (მარნეულის ჯანდარა) | 1750/აზ | | | ჯანდარი 2 (მარნეულის ჯანდარა) | 15 |
| | თეთრიწყარო | მარაბდა | ქოთიში | 21/ქართ | ქართული | 0 | | არა HH ინტერვიუები |
| | თეთრიწყარო | ხაიში | ხაიში | 560/ქართ | | | | არა HH ინტერვიუები |
| CSG2 PACs | წალკა | ავრანლო | ავრანლო | 1400/ქართ&აზ | ქართული | 3 (ავრანლო,რეხა,ხანდო) | ავრანლო | 70 |
| | წალკა | რეხა | რეხა | 520/ქართ&აზ | | | რეხა | 30 |
| | წალკა | ხანდო | ხანდო | 180/ქართ | | | ხანდო | 10 |
| | წალკა | ყიზილქილისა | ყიზილქილისა | 1700/სომ | რუსული | 3 (ყიზილქილისა,ოზნი, ბურნაშეთი) | ყიზილქილისა | 70 |
| | წალკა | ოზნი | ოზნი | 750/სომ | | | ოზნი | 30 |
| | წალკა | ბურნაშეთი | ბურნაშეთი | 460/სომ | | | ბურნაშეთი | 30 |
| | წალკა | ბერთა | ბერთა (ყოფილი ოლიანგი) | 120/ქართ | ქართული | 1 (ბერთა) | ბერთა (ყოფილი ოლიანგი) | 10 |
| CSG2/მილსადენთან მისასვლე-ლი გზა PACs | წალკა | საყდრიონი | აიაზმი | 590/სომ | რუსული | 2 (აიაზმი, ნარდევანი) | აიაზმი | 30 |

| პროექტის ზონა | მუნიციპალიტეტი | ტერიტორი-ული ერთეული | PAC-ები (39) | მოსახლე-ობა/ეთნიკურობა | ენა | PAC გამოკითხვა (34) | PACs HH გამოკითხვა (34) | HH გამოკითხვა ნიმუშის განაწილება (სულ 1200) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წალკა | ნარდევანი | ნარდევანი | 1500/სომ | | | ნარდევანი | 70 |
| PRMS PACs | ადიგენი | არალი | არალი | 48/ქართ | ქართული | 3 (არალი, წარბასთუმანი, უდე) | არალი | 5 |
| | ადიგენი | არალი | წარბასთუმანი | 90/ქართ | | | წარბასთუმანი | 5 |
| | ადიგენი | უდე | უდე | 3500/ქართ | | | უდე | 90 |
| | ახალციხე | ვალე | ვალე | 5030/ქართ | ქართული | 1 (ვალე) | ვალე | 100 |
| | ახალციხე | წყალთბილა | წინუბანი | 425/სომ | რუსული | 5 (წინუბანი,წყალთბილა, ნაოხრები ჯულდა, აბათხევი) | წინუბანი | 30 |
| | ახალციხე | წყალთბილა | წყალთბილა | 1550/სომ | | | წყალთბილა | 50 |
| | ახალციხე | წყალთბილა | ნაოხრები | 750/სომ | | | ნაოხრები | 30 |
| | ახალციხე | წყალთბილა | ჯულდა | 250/სომ | | | ჯულდა | 20 |
| | ახალციხე | წყალთბილა | აბათხევი | 330/სომ | | | აბათხევი | 20 |

*კვლევის მეთოდები*

მონაცემების შეგროვება მოხდა შემდეგი ძირითადი საქმიანობის შედეგად შესაბამისი თანმიმდევრობით:

- სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ტერიტორიაზე განხორციელებული წინასწარი ვიზიტებით ინფორმაციის მიღება
- საველე კვლევა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე
- საველე კვლევა შინამეურნეობების დონეზე.

**ამოცანები**

პროექტის ამოცანა იყო არა მხოლოდ ძირითადი დემოგრაფიული მდგომარეობის გარკვევა, არამედ არსებული სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა და ტენდენციების დადგენა, რომლებიც განხილულია თავებში 8.4 - 8.7. კვლევების მიზანი აგრეთვე იყო ინფორმაციის მოპოვება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტის" (LACF) და „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის განახლებული ცნობარის" (GLAC) მოსამზადებლად. ეს დოკუმენტები მიწის შესყიდვასა და კომპენსაციასთან დაკავშირებული მთავარი დოკუმენტებია.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე ჩატარებული კვლევის მიზანი იყო პირველადი მონაცემების მოპოვება და სანდო მეორადი მონაცემების შეგროვება მოსახლეობის რაოდენობის, მიგრაციის, დასაქმების, უნარ-ჩვევების, შემოსავლის წყაროს, შემოსავლის და სოციალური თუ ფიზიკური ინფრასტრუქტურის არსებობა/არარსებობის შესახებ.

შინამეურნეობების დონეზე ჩატარებული კვლევის მიზანი იყო პირველადი მონაცემების მოპოვება და სანდო მეორადი მონაცემების შეგროვება შინამეურნეობების შემადგენლობაზე, განათლებაზე, მიწის მფლობელობა/გამოყენებაზე, ჯანდაცვის სტატუსზე, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, რესპონდენტების მოლოდინსა და ინტერესებზე სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის კომპონენტებთან მიმართებაში.

**პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლების შერჩევა**

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები 3 ჯგუფად იყო წარმოდგენილი ცხრილი 8-1:

- CSG1-ის/პარალელური მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები
- CSG2-ის და მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები
- PRMS-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები.

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონისა და შინამეურნეობების კვლევების დაგეგმვაში აგრეთვე იქნა გათვალისწინებული ეთნიკური ფაქტორი. CSG1-ის / პარალელური მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები არ გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით (აქ მხოლოდ ქართველი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს) CSG2-სა და PRMS-ს მიმდებარე დასახლებებთან შედარებით. ამ არეალის კვლევის დაგეგმვა ეფუძნება მიდგომას, რომელიც გამოყენებული იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების

შეფასებაში. აღნიშნული მეთოდით შეარჩიეს ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების 35%, გაითვალისწინეს რა მთელი რიგი ფაქტორები - ეთნიკური წარმომავლობა, მოსახლეობის რაოდენობა და ადმინისტრაციული ტერიტორია, რომელიც მოიცავს მთლიანი მოსახლეობის გარკვეულ პროცენტულ რაოდენობას - 70%-ს. CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ზეგავლენის ქვეშ მყოფი 21 დასახლებიდან 16 შეარჩიეს ამ დასახლებების რეპრეზენტატიულ შერჩევად, მაშინ როცა CSG2-ს და PRMS-ს შემთხვევაში, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ყველა დასახლება იქნა შერჩეული. მთლიანობაში, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების და შინამეურნეობების კვლევის გეგმაში 39-დან 34 დასახლება გაერთიანდა.

**შინამეურნეობების შერჩევა**

შეუძლებელი იყო ყველა შინამეუნეობის გამოკვლევა, ამიტომ აუცილებელი გახდა შერჩევის გაკეთება, რომელიც სავარაუდოდ მიიჩნეოდა რეპრეზენტატიულად ყველა დასახლებისთვის. გამოყენებული იქნა სტანდარტული სტატისტიკური შერჩევის მეთოდები, რომლებიც ეფუძნებოდა ძირითად პარამეტრებს 95%-იანი ნდობის დონითა და +/-2.82% ცდომილებით. შედეგად შეირჩა 1200 შინამეურნეობა. კვლევა შინამეურნეობების დონეზე ჩატარდა იმავე 34 დასახლებაში, რომლებიც პირველ დანართში იყო წარმოდგენილი ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე კვლევასთან მიმართებაში. გათვალისწინებული იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის / სამხრეთ კავკასიური მილსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრეცედენტი, როდესაც განისაზღვრა ქვოტები კონკრეტული დასახლებებისთვის, სოციალური ჯგუფებისა და კატეგორიებისთვის (მაგ., სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის). განხილული იქნა მოწყვლადი ჯგუფების ფართო სპექტრი, რათა შეფასებულიყო იმის ალბათობა, წარმოდგენილია თუ არა კვლევის ნიმუშში ეს ჯგუფები სრულად. თითოეული პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფის განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ ძირითადად ჯგუფები საკმარისად მრავალრიცხოვანი იყო სოფლებში, რომლებიც მდებარეობს SCPX პროექტის სიახლოვეს და კვლევა „მოიცავდა“ ამ ჯგუფებს. გამონაკლისს წარმოადგენდა ორი ჯგუფი: რეგისტრირებული უნარშეზ-ღუდული/ქრონიკულად დაავადებული ადამიანები და IDP-ები; შესაბამისად დაწესდა ქვოტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს ჯგუფები ასევე წარმოდგენილნი არიან კვლევის ნიმუშში:

- ოფიციალურად დარეგისტრირებული უნარშეზღუდული[3]/ქრონიკული დაავადებების მქონე[4] (15%)
- იძულებით გადაადგილებული პირები/დევნილები (15%).

ქალებისთვის ქვოტები არ დადგენილა, რამდენადაც მიჩნეული იყო, რომ შემთხვევითი შერჩევის მეთოდი საშუალებას მისცემდა ქალებს ადექვატურად ყოფილიყვნენ წარმოდგენილი კვლევებში. წარსულის გამოცდილება მიუთითებდა, რომ რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 42-58% შესაძლოა ყოფილიყვნენ ქალები. ანალოგიურად, ქვოტები არ დადგენილა პენსიონერებისთვის, რამდენადაც წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 25% შესაძლოა ყოფილიყვნენ პენსიონერები.

[3] უნარშეზღუდული = ადამიანი, რომელსაც აქვს პრობლემა თუნდაც ერთერთ ძირითად ფიზიკურ ფაქტორთან დაკავშირებით, როგორიცაა მხედველობა, სმენა, სიარული, აღქმა, კომუნიკაცია, საკუთარი თავის მოვლა, რაც ფუნქციების შეზღუდვებს იწვევს. არ იგულისხმება სამედიცინო მდგომარეობა. საქართველოში აქცენტი კეთდება „დარეგისტრირებულ“ უნარშეზღუდულ ადამიანზე.

[4] ქრონიკული დაავადებების მქონე = ადამიანი ხანგრძლივი ჯანმრთელობის მდგომარეობით, რომელიც ზღუდავს ადამიანის ფუნქციონირებას.

**პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობა**

მიწის შესყიდვასთან და კომპენსაციასთან დაკავშირებული სამუშაოს ხელშეწყობის მიზნით დადგინდა 70 დარეგისტრირებული მიწის მფლობელის ქვოტა (BP-ის მონაცემებიდან ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებზე) და გაერთიანდა 1200 შინამეურნეობის ნიმუშში.

**საველე კვლევა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე**

რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლებისათვის სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების შემოთავაზებული პროექტისა და ბსგზშ-ის ფარგლებში ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისა და შინამეურნეობების დონეზე კვლევების ჩატარების საჭიროების შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, გაიმართა შეხვედრები დასახლებების ლიდერებთან (რწმუნებულებთან). ყველა დასახლების ლიდერი, რომლებთანაც შედგა შეხვედრა, წარმოადგენდნენ ოფიციალურ პირებს ადგილობრივი ხელისუფლების იერარქიაში. 34 ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ მომზადებული ნახევრად სტრუქტურული სადისკუსიო ცნობარის გამოყენებით (იხილეთ დანართი I, სადაც მოცემულია დასახლებების, რესპონდენტების სია, მათი სტატუსი და კითხვარის ასლი). ინტერვიუერებმა გამოიყენეს სადისკუსიო ცნობარი, თანმიმდევრულობის დასაცავად ყველა ინტერვიუებში თემების განხილვისა და პასუხების ჩაწერის თვალსაზრისით.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების კვლევის ვარგისიანობა და ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად და უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით იცის დასახლების ლიდერმა არამარტო მოსახლეობის რაოდენობა და არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, არამედ როგორ აღიქვამს ტენდენციებს და როგორ ახასიათებს მათ. ამრიგად, იმისათვის, რომ კვლევა მაქსიმალურად ეფექტური ყოფილიყო, დასახლებების ლიდერებს წინასწარ გააცნეს ყველა სახის ინფორმაცია, რაზეც საუბარი იქნებოდა ინტერვიუში. ასე რომ, მათ ჰქონდათ გარკვეული დრო მოსამზადებლად.

დასახლებების ლიდერებს წინასწარ სთხოვეს, რომ ინტერვიუს დროს წარმოედგინათ ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ადამიანებისა და შინამეურნეობების ვინაობასა და მისამართებზე. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება მოხდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანებისა და შინამეურნეობებისთვის წინასწარ განსაზღვრული ქვოტები გამოსადეგი იქნებოდა კვლევაში შინამეურნეობების დონეზე.

**საველე კვლევა შინამეურნეობის დონეზე**

სპეციალურად მომზადებულმა ინტერვიუერებმა ჩაატარეს პირისპირ ინტერვიუები. დასახლებების სიდიდისა და მთლიანი ქვოტების (15%) მიხედვით, თითოეული დასახლებისთვის განისაზღვრა კონკრეტული ქვოტები დაუცველ ადამიანებთან მიმართებაში. ამ სამუშაოს შესრულებამდე დასახლებების ლიდერებს სთხოვეს ზუსტად დაედგინათ სოციალურად დაუცველი ადამიანების ვინაობა და დასახლებების კვლევის პროცესში წარმოედგინათ აღნიშნული ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მეშვეობით ინტერვიუერებმა შეძლეს აუცილებელი რაოდენობით ინტერვიუს ჩატარება და ქვოტის შესრულება.

შინამეურნეობებში ინტერვიუერებმა გამოიყენეს სტრუქტურირებული კითხვარი (იხილეთ დანართი J). გარკვეული რაოდენობის პროექტებთან დაკავშირებით საბაზისო მონაცემების მოპოვების სინერგიის მაქსიმალიზაციის მიღწევის მცდელობის მიზნით, შინამეურნეობების კითხვარი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- კითხვები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის თურქეთის მონაკვეთის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში გამოყენებული შინამეურნეობების კვლევის კითხვარიდან
- კითხვები განსახლების სამოქმედო გეგმის აუდიტის (RAP) კითხვარიდან, რომლებიც მნიშვნელოვანია შემოსავლის წყაროზე გავლენის შეფასებისთვის
- კითხვები შაჰ-დენიზ 2-ის პროექტში გამოყენებული შინამეურნეობების კვლევის კითხვარიდან,

რომლებიც მიჩნეული SCPX-ის პროექტისათვის ჩაითვალა რელევანტურად.

BTC ESIA-ს მიდგომის თანახმად, შინამეურნეობების კვლევის კითხვარი შეიცავდა სექციას, სადაც საუბარი იყო რესპონდენტების შეხედულებებზე, აღქმაზე, წუხილსა და მოლოდინებზე SCPX-თან დაკავშირებით, რათა მომხდარიყო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში შეგროვებული ინფორმაციის შევსება. შინამეურნეობის კვლევისათვის კითხვარების 3 ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებული ვერსია გამოიყენეს დასახლებების 3 ჯუფში.

ინტერვიუერებს ჰქონდათ შინამეურნეობების განსაზღვრული რაოდენობა, რომელთაგან ინტერვიუ უნდა აეღოთ თითოეულ დასახლებაში. ისინი ხელმძღვანელობდნენ რანდომული გავლის პრინციპით და ბიჯის შემდეგი კრიტერიუმებით:

- ქალაქის კორპუსებში ინტერვიუებისთვის შერჩეული იყო საწყისი წერტილი და ინტერვიუებისათვის შეირჩა ყოველი მეხუთე ოჯახი.
- სოფლებში ინტერვიუებისთვის შერჩეული იყო ყოველი მესამე შინამეურნეობა.

იმ შემთხვევაში, როცა სახლში არავინ იყო, ან რესპონდენტი უარს ამბობდა ინტერვიუზე, ინტერვიუერი მიდიოდა შემდეგ უახლოეს ოჯახში იმავე მიმართულებით. ინტერვიუერი წყვეტდა მუშაობას, როდესაც დასახლებაში შინამეურნეობების სამიზნე რაოდენობისგან აიღებდა ინტერვიუს.

შინამეურნეობის კვლევის დასრულებულ კითხვარებს ჩაუტარდა ანალიზი SPSS 15.0, version 15.0-ის უახლესი შესაბამისი ვერსიის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა იმისათვისაა შექმნილი, რომ მონაცემთა ბაზა მომზადდეს ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა აგრეგაცია და ჯვარედინი დათვლა, რის შედეგადაც იქმნება ვიზუალური დამხმარე საშუალებები (სქემები და სხვა სახის გრაფიკები) შეგროვებული ფონური მონაცემების წარმოსადგენად.

### *გაურკვევლობები*

მიუხედავად იმისა, რომ დასახლებების ლიდერებს წინასწარ ატყობინებდნენ კვლევისთვის საჭირო ინტერვიუს თემას, მაინც შესაძლებელია, რომ მათ მიერ მოწოდებული ზოგიერთი მონაცემი სწორი არ აღმოჩნდეს. ლიდერები პასუხობდნენ კითხვებს გარკვეულ ტენდენციებზე/ცვლილებებზე მათ დასახლებებში, აღსანიშნავია, რომ მათ მიერ მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკუთარ აღქმებზე, შეხედულებებზე ან წარმოდგენებზე, შესაძლოა არ ყოფილიყო გაზიარებული დასახლების სხვა მაცხოვრებლების მიერ ან არ შეესაბამებოდეს ოფიციალურ სტატისტიკას.

# 8.3 ფონური დემოგრაფიული პირობები

*მოსახლეობის მახასიათებლები*

**ეროვნული დონე**

საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობა დაახლოებით 4.5 მილიონია. ეს რიცხვი აღემატება ორ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, რომლებიც დაფიქსირდა 2006 და 2010 წლებში, თუმცა არც თუ ისე დიდი ხნის წინ მაჩვენებლები არასტაბილური იყო და ამიტომ რთულია იმის თქმა, თუ რამდენად სტაბილურია ამჟამინდელი პოზიტიური ტენდენცია (იხ. ცხრილი 8-2).

**ცხრილი 8-2: მთლიანი მოსახლეობა: საქართველო - ქალაქები და რეგიონები, 2005-2011 წლები (მილიონებში)**

| პარამეტრები | წლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
| მოსახლეობა წლის დასაწყისში | 4.3215 | 4.4013 | 4.3947 | 4.3821 | 4.3854 | 4.4364 | 4.4692 |
| ქალაქის მოსახლეობა | 2.2575 | 2.3104 | 2.3089 | 2.3038 | 2.3091 | 2.3505 | 2.3713 |
| სოფლის მოსახლეობა | 2.0640 | 2.0909 | 2.0858 | 2.0783 | 2.0763 | 2.0859 | 2.0979 |

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011

2005 წელთან შედარებით სოფლის მოსახლეობაც გაიზარდა, მაგრამ თუ მისი წილი მთლიან მოსახლეობაში 2005 წელს 47.8% იყო, 2011 წელს 46.9%-მდე შემცირდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობა სოფელს ტოვებს და ქალაქებსა და უცხოეთში მიდის საცხოვრებლად. 2008-2010 წლებში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი 3%-ს აღემატებოდა (2011 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი არ იყო ამ ESIA-ს მომზადების პერიოდში). უფრო ადრე კი ეს მაჩვენებელი 2%-ზე ნაკლები იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხვი მიუთითებს ბუნებრივი ზრდის ტენდენციაზე, მისი გავლენა სავარაუდოდ მიჩნეულია შემცირებულად მზარდი მიგრაციის გამო. ამჟამად მიგრაციის ნეგატიური მაჩვენებელია -4.06 მიგრანტი/1000 კაცზე (2011 წლის მონაცემები). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (2011) აკეთებს პროგნოზს, რომ 2010-2015 წლების პერიოდში მიგრაციის ნეგატიური მაჩვენებელი იქნება -6 მიგრანტი/1000კაცზე. ნეგატიური მიგრაციის მიზეზი, სავარაუდოდ, უკავშირდება ეკონომიკური ზრდის სარგებლის არათანაბარ გადანაწილებას, სიღარიბის მაღალ დონეს და ბევრ სხვა ფაქტორს, განსაკუთრებით იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდები ვერ პოულობენ სამსახურს და მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლის იმედი რჩებათ, სადაც უკეთეს შესაძლებლობებს ეძებენ.

წარსულში მთავრობამ განახორციელა შიდა მიგრაციის პროგრამები, რის შედეგადაც იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც სტიქიური უბედურებების (1980-იანი წლები) ან ტერიტორიული კონფლიქტების გამო შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი, ჩასახლებული იყვნენ მილსადენის პროექტის ზემოქმედების ზონაში მდებარე სოფლებში. საბერძნეთში მიგრაციის შედეგად დაცლილი ზოგიერთი სახლი და მიწის ნაკვეთი მთავრობამ დაუთმო იძულებით გადაადგილებულ პირებს (RAP Completion Audit, 2010).

მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ 15 წლის ზემოთ ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ეს არათანაბარი პროპოცია კიდევ უფრო ნათლად ჩანს უფრო ასაკოვან მოსახლეობაში:

- ასაკობრივი ჯგუფი 15-დან 64 წლამდე: 0.93 მამაკაცი/1 ქალი
- ასაკობრივი ჯგუფი 65 წლის და ზემოთ: 0.66 მამაკაცი/1 ქალი.

15 წლამდე ასაკობრივ ჭრილში მამრობითი სქესი ჭარბობს და პროპორცია შემდეგნაირია: 1.15 მამაკაცი/1 ქალი (CIA, 2011).

სუმბაძის (2008) ანგარიშის თანახმად ოჯახების 23.6% შედგება 4 წევრისგან, 19.2%-5 წევრისგან, 7.1% კი - 6 ან მეტი წევრისგან. შედეგად, ამ მონაცამებზე დაყრდნობით, ოჯახების დაახლოებით 50%-ში 4 ან მეტი წევრია.

საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის არის 65 წელი, ხოლო ქალებისთვის - 60. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, 2010 წლისთვის ქვეყანაში იყო 835900 პენსიონერი (4.4 მილიონიანი მოსახლეობის 18.99%)[5]. ეს რიცხვი შედარებით მაღალია და სავარაუდოდ მიჩნეულია, რომ უკავშირდება შობადობის შემცირებას, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას და ახალგაზრდების მიგრაციას მოჰყვა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერა გვაძლევს ქვეყნის ეთნიკური მდგომარეობის შემდეგ სურათს: ქართველები 83.8%, აზერბაიჯანელები 6.5%, სომხები 5.7%, რუსები 1.5% და სხვა ეთნიკური ჯგუფები 2.5% (CIA, 2011). ეთნიკური და ეროვნული ჯგუფები თანაბრად არ არიან განაწილებული მოსახლეობაში. ძირითადად, ისინი შეინიშნება ეთნიკურად ერთგვაროვან დასახლებებში (მაგ., ეროვნულ დონეზე, ისეთ რეგიონებში, როგორიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ადგილობრივ დონეზე, სოფლებში ან სოფლების ჯგუფში). ყოველივე ეს კი ხელს უწყობს კულტურული ტრადიციებისა და ენების შენარჩუნებას. მიუხედავად დომინანტური ტენდენციისა, არის ბევრი შერეული დასახლება, სადაც მოსახლეთა უმრავლესობა ქართველია.

**რეგიონული და მუნიციპალური დონე**

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა დონის ცვლილების გამოცდილება (ცხრილი 8-3). 6-დან 5 მუნიციპალიტეტსა და ქალაქ რუსთავში, სადაც შემოთავაზებულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის განხორციელება, მოსახლეობა გაიზარდა 2005-2011 წლებში. მინიმალური ზრდა დაფიქსირდა ადიგენში ( +0.3%) და მაქსიმალური ზრდა - თეთრიწყაროში (+12%). გარდაბანი გამონაკლისია. აქ მოსახლეობა 15.2%-ით შემცირდა.

**ცხრილი 8-3: მოსახლეობის რაოდენობა რუსთავის ქალაქისთვის /მუნიციპალიტეტებისთვის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების თვალსაზრისით: 2005-2011 წლები**

| ქალაქი | მოსახლეობა(ათასობით) | | | | | | | განსხვავებები 05-11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
| გარდაბანი | 113.7 | 116.4 | 116.5 | 95.4 | 95.7 | 97.6 | 98.7 | -15.2% |
| ადიგენი | 20.1 | 20.5 | 20.4 | 20.3 | 20.4 | 20.7 | 20.7 | +0.3% |
| ახალციხე | 45.4 | 46.9 | 46.9 | 46.8 | 46.9 | 47.7 | 48.2 | +6.2% |
| რუსთავი | 115.5 | 118.2 | 117.9 | 117.3 | 117.4 | 119.5 | 120.8 | +4.6% |
| თეთრიწყარო | 25.0 | 26.4 | 26.2 | 25.8 | 25.6 | 27.7 | 28.0 | +12% |
| მარნეული | 117.9 | 121.0 | 121.8 | 122.5 | 123.5 | 126.3 | 128.1 | +8.7% |
| წალკა | 20.8 | 22.1 | 22.0 | 21.7 | 21.7 | 22.5 | 23.0 | +10.6% |

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011 (განსხვავებები გამოთვლილი იქნა ბუნერბივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშისათვის)

[5] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=200&lang=eng

*სოციალურად დაუცველი მოსახლეობა*

**ეროვნული დონე**

საქართველოში უნარშეზღუდული ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 400 000-ს უდრის. ეს მთლიანი მოსახლეობის (4 მილიონი) 9.1%-ია (სუმბაძე, 2008). შედარებით კვლევაში, რომელიც სიღარიბესა და უნარშეზღუდულობას ეხება, მსოფლიო ბანკმა აღმოაჩინა, რომ საქართველოში სიღარიბის დონე საშუალოზე უფრო მაღალია ოჯახებისთვის, სადაც უნარშეზღუდული წევრი ჰყავთ (ბრეითვეითი და მონტი, 2008).

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში 359,716 იძულებით გადაადგილებული პირია. 2007 წელს ეს ციფრი 222,100 იყო, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაიზარდა. დევნილების უმრავლესობა ცხოვრობს კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტში და აგრეთვე სამეგრელოში, იმერეთის რეგიონსა და თბილისში. ზოგადად, მიჩნეულია რომ იძულებით გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი უმუშევარია. ეკონომიკური აქტივობის უფრო დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება დევნილებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (საქართველოს მთავრობა, 2007).

**პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონე**

ორ ქვოტასთან დაკავშირებული შინამეურნეობების კვლევის მთავარი შედეგები, რომლებიც ეხება დარეგისტრირებულ უნარშეზღუდულებს / ქრონიკული დაავადებების მქონე[6] ადამიანებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, შეჯამებულია ქვემოთ თითოეული სოციალური კატეგორიის მიხედვით. თითოეულ შემთხვევაში შედეგები შედარებულია ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების კვლევის შედეგებთან (რომელიც მოიცავს რესპონდენტების პასუხებს. აღნიშნული რესპონდენტები დაყოფილი არიან კატეგორიებად: დარეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები და იძულებით გადაადგილებული პირები).

**რეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული დაავადებების მქონე პირები**

წინამდებარე ESIA-ს მიზნებისთვის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები რეგისტრირებულ უნაშეზღუდულებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებთან მიმართებაში შეჯამებულია ქვემოთ:

- CSG1 სადგურის/ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ჩატარებულმა შინამეურნეობის კვლევამ დაადგინა, რომ მოსახლეობის 2.1% უნარშეზღუდულია; CSG2 სადგურის/მასთან მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებებში 5.5%-ია უნარშეზღუდული, ხოლო PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში კი - 7.2%. ეს პროცენტული მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ოფიციალური მონაცემები ეროვნულ დონეზე (დაახლოებით 9%). თუმცა, შინამეურნეობების კვლევის ანგარიშში აღნიშნულია ოფიციალური სტატუსის მქონე „დარეგისტრირებული" უნარშეზღუდულები და შესაძლებელია, რომ ეროვნულ დონეზე ამ კატეგორიის განსაზღვრა უფრო ფართო კრიტერიუმებით ხდება
- დაფიქსირდა, რომ დარეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე პირების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს მარტო, ერთწევრიან შინამეურნეობაში (30%) ან ორწევრიან შინამეურნეობაში (15%).

[6] ტერმინი „რეგისტრირებული" ეხება მხოლოდ უნარშეზღუდულ ადამიანებს და არა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებს

მოსახლეობის რაოდენობის ზოგადი მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე გავრცელებულია 4-წევრიანი ოჯახები

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე პირების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უფრო ხანდაზმული (65 წლის ზემოთ), ვიდრე ძირითადი მოსახლეობა. ასე რომ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ სამუშაო იშოვონ (თუ საერთოდ აქვთ მუშაობის უნარი, თუმცა 66.4% აცხადებს, რომ ისინი ეძებენ სამსახურს). ძირითადად კი, ეს პირები პენსიებსა და სოციალურ დახმარებებზე არიან დამოკიდებული

- დაფიქსირდა, რომ შედარებით მცირე რაოდენობის რეგისტრირებულ უნარშეზღუდულებს/ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს აქვთ მიღებული უმაღლესი (პროფესიული) განათლება მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან შედარებით

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე პირების სახლებს შეკეთება სჭირდება (თუ შევადარებთ მთლიანი მოსახლეობის 15%-ს, ზემოთაღნიშნული კატეგორიის 45% აცხადებს, რომ მათი სახლი ბოლოს შეკეთდა 20 წლის წინ)

- დაფიქსირდა, რომ შედარებით მცირე რაოდენობის რეგისტრირებულ უნარშეზღუდულებს/ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს აქვთ ბუნებრივი აირი. დაფიქსირდა, რომ მდგომარეობა ელექტროენერგიის თვალსაზრისით მთლიან მოსახლეობაში ერთიდაიგივეა

- დაფიქსირდა, რომ შედარებით მეტი რაოდენობის რეგისტრირებული უნარშეზღუდულები/ქრონიკული დაავადებების მქონე პირები იყენებენ შეშას საჭმლის მომზადებისა და, განსაკუთრებით, გათბობის მიზნით, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე პირების დაახლოებით 25%-ს არა აქვს სახლში სასმელი წყალი (უმრავლესობას სასმელი წყალი აქვს ბაღში ან ეზოში) მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10%-თან შედარებით

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანების უფრო დიდ რაოდენობას აქვს მიწის ნაკვეთი (82%), ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას (დაახლოებით 44%). გარდა ამისა, უფრო მეტ დარეგისტრირებულ უნარშეზღუდულს/ქრონიკული დაავადებების მქონე პირს ჰყავს საქონელი, მაგრამ საქონლის რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის შემთხვევაში

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულები/ქრონიკული დაავადებების მქონე პირები თითქმის მთლიანად დამოკიდებული არიან პენსიებსა და სოციალურ დახმარებებზე, ამიტომ მათ შემოსავალში სეზონური ცვლილებები არ ფიქსირდება

- დაფიქსირდა, რომ შინამეურნეობებს, სადაც ოჯახის უფროსი უნარშეზღუდული ან ქრონიკული დაავადებების მქონე პირია, მნიშვნელოვნად უფრო დაბალი შემოსავალი აქვთ (163 ლარი თვეში) მაშინ, როცა დანარჩენი მოსახლეობის შემთხვევაში, საშუალო შემოსავალი 400 ლარია

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულები/ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები საკუთარი წარმოების უფრო მეტ საკვებ პროდუქტს მოიხმარენ (შინამეურნეობების 26%), ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა (შინამეურნეობების 10%)

- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებულ უნარშეზღუდულებს/ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს ნაკლები სესხი აქვთ აღებული (ერთი მესამედი) და სესხის საშუალო ოდენობა ნაკლებია, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის შემთხვევაში (დაახლოებით 2200 ლარი შედარებით 3800 ლართან)
- დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, თითქმის ორჯერ მეტი რეგისტრირებული უნარშეზღუდული/ქრონიკული დაავადებების მქონე პირი აცხადებს, რომ არა აქვს საკმარისი ფული, რომ შეიძინოს ისეთი აუცილებელი პროდუქტი, როგორიცაა საკვები. დაფიქსირდა, რომ მათ ასევე მცირე ოდენობით ქონდათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

არსებითად, ამ ESIA-ს მიზნებისთვის ჩატარებული ფონური მდგომარეობის კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდული/ქრონიკული დაავადებების მქონე პირები სოციალურად იზოლირებული და ნაკლებად განათლებულები არიან, ცხოვრობენ ნაკლებად მყარ სახლებში და ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ბუნებრივ აირსა და სასმელ წყალზე, არიან უფრო ღარიბები და მეტად ექცევიან სოციო-ეკონომიკური და კლიმატური პრობლემების ზეგავლენის ქვეშ (აქვთ მცირე თანხა ბანკში და დამოკიდებული არიან საკუთარი წარმოების სურსათსა და შეშაზე გათბობისა და საჭმლის მომზადების მიზნით), სხვა საშუალო მოსახლეებთან შედარებით. თუმცა, მათ აქვთ მიწის ნაკვეთები და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ამ ნაკვეთების გაყიდვა.

**იძულებით გადაადგილებული პირები**

ამ ESIA-ს მიზნებისთვის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში ქვემოთაა შეჯამებული:

- იძულებით გადაადგილებული პირების დაახლოებით 60%, რომლებზეც კვლევა ჩატარდა, ცხოვრობდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ 4 დასახლებაში: ლემშვენიერა (15%), გარდაბანი (18%), კრწანისი (13%) და მარნეული (13%). ეს დასახლებები ახალი პარალელური მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. დევნილების დაახლოებით 19% ცხოვრობს CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზეგავლენის ქვეშ მყოფ 4 დასახლებაში: ვალე, ავრანლო, ხანდო და ბერთა. დანარჩენი დევნილები მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ შემოთავაზებული პროექტის ზემოქმედების ზონის სხვა დასახლებებში
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების უმრავლესობა ძირითადად დიდ ოჯახებში ცხოვრობს (ოჯახების 25%-ში 5 წევრია, 15%-ში კი - 6-ზე მეტი წევრი). ეს ტენდენცია იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დევნილები ნათესავებთან ცხოვრობენ (დევნილების 15%)
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების თითქმის მესამედი (31%) მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ თავშესაფარში ცხოვრობს, ძირითადად ესაა საცხოვრებელი კორპუსები
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების საშუალო საცხოვრებელი ფართი ნაკლებია, ვიდრე ზოგადად მოსახლეობის. ესეც იმის მანიშნებელია, რომ დევნილები ნათესავებთან ცხოვრობენ
- გამოვლინდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში არ ფიქსირდება უფრო მაღალი უმუშევრობის დონე დასახლებების სხვა მაცხოვრებლებთან შედარებით
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ნაკლებ რაოდენობას მიუწვდება ხელი ბუნებრივ აირზე დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით

მდგომარეობა ელექტროენერგიის თვალსაზრისით მთლიან მოსახლეობაში ერთიდაიგივეა

- დაფიქსირდა, რომ გაცილებით მეტი იძულებით გადაადგილებული პირი იყენებს შეშას საჭმლის მომზადებისა და განსაკუთრებით გათბობის მიზნით, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ოდნავ მეტ რაოდენობას აქვს მიწის ნაკვეთი (50%), ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას (დაახლოებით 44%)
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების უფრო დიდ რაოდენობას ჰყავს საქონელი, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას, თუმცა საქონლის რაოდენობა ერთიდაიგივეა ძროხების გარდა (დევნილებს საშუალოდ 3 ძროხა ჰყავთ, დანარჩენ მოსახლეობაზე კი 2.4 ძროხა მოდის)
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები უფრო მეტად არიან დამოკიდებული სოციალურ დახმარებაზე, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი 282 ლარია, მაშინ, როცა დანარჩენი მოსახლეობის შემთხვევაში, საშუალო შემოსავალი 400 ლარია
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღებული აქვთ მეტი რაოდენობის სესხი (დაახლოებით 40%-ით მეტი), მაგრამ საშუალო სესხის მოცულობა ნაკლებია, ვიდრე დარეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და დანარჩენი მოსახლეობის შემთხვევაში (დაახლოებით 1900 ლარი 2200 და 3800 ლართან შედარებით)
- უფრო მეტი იძულებით გადაადგილებული პირი (დაახლოებით 67%), ვიდრე ზოგადად მოსახლეობა (დაახლოებით 45%) აღნიშნავს, რომ არა აქვს საკმარისი ფული, რომ შეიძინოს ისეთი აუცილებელი პროდუქტი, როგორიცაა საკვები.

არსებითად, ამ ESIA-ს მიზნებისთვის ჩატარებული ფონური მდგომარეობის კვლევების შედეგები მიუთითებს იძულებით გადაადგილებული პირები არიან ღარიბი, მთავრობის მიერ გამოყოფილ თავშესაფარზე ან ნათესავებზე დამოკიდებული ადამიანები, რომლებსაც აქვთ ნაკლები საცხოვრებელი ფართი, ნაკლებად ხელმისაწვდომი ბუნებრივი აირი და სასმელი წყალი და აქვთ მეტი გადაუხდელი ვალი დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით. საკვლევ შერჩევაში მოხვედრილი დევნილების უფრო დიდ რაოდენობას (დანარჩენ მოსახლეობაზე დაახლოებით 6%-ით მეტს) აქვს მიწის ნაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების კვლევა არ იძლევა ისეთ შედეგებს, რომელიც ასახავს სოციო-ფსიქოლოგიურ რეალობას ბევრი დევნილისათვის.

### *დემოგრაფიული მდგომარეობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე - CSG1-ის /პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონა*

არსებობს ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების სამი ძირითადი ჯგუფი სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მთავარ კომპონენტებთან მიმართებაში, თუმცა შესაძლებელია დასახლებების ორ ჯგუფად დაყოფა შედარებისათვის: ბარში მდებარე დასახლებები, რომლებიც მოიცავს შემოთავაზებული CSG1-ის / პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონის დასახლებულ პუნქტებს და მთებში მდებარე დასახლებები, რომლებიც შედგება შემოთავაზებული CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის მიმდებარე და PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებისაგან. წინამდებარე და მომდევნო თავებში მოყვანილია შედარება ამ ორ კატეგორიას შორის, რათა გამოკვეთილიყო მსგავსებები და განსხვავებები ამ კატეგორიების დასახლებებს შორის. ქვემოთ წარმოდგენილი შედეგები პირდაპირ

გამომდინარეობს PAC-ების შინამეურნეობების კვლევიდან SCPX-ის პროექტის სხვადასხვა კომპონენტის სიახლოვეს. ამავდროულად, რამდენადაც კვლევის ნიმუში განისაზღვრა როგორც სტატისტიკურად სანდო შედეგის მომცემი PAC-ის ყველა მცხოვრებთან მიმართებაში, მონაცემები შეიძლება იყოს მისაღები სამივე PAC-ის ჯგუფის ყველა PAC-ის მცხოვრებთან მიმართებაში.

CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში დაფიქსირდა საერთო ეთნიკური მრავალფეროვნება, მაგრამ უფრო მცირე ზომის დასახლებები ამ ნიმუშში ძირითადად ერთგვაროვანია ეთნიკური და სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით. ზეგავლენის ქვეშ მყოფ ზონაში ზოგიერთი პატარა ქალაქიცაა (მაგ., მარნეული 20 000 მოსახლით და გარდაბანი 16 000 მოსახლით). ქალაქი რუსთავიც ამ ზონაშია (111 000 მცხოვრებით). შინამეურნეობების კვლევის რესპონდენტთა შედარებით დიდი რაოდენობა ქალაქებში, მაგალითად, რუსთავში, იმის მანიშნებელია, რომ კვლევის ნიმუშში გაერთიანებულია უფრო მეტი ურბანული მოსახლე, ვიდრე სოფლის მაცხოვრებელი. ეს სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ კვლევის შედეგები ძირითადად ასახავს ურბანულ და არა სოფლის მდგომარეობას და იქ არსებულ ტენდენციებს.

გენდერული სურათის მიხედვით, ქალები ოდნავ ჭარბობენ მამაკაცებთან შედარებით (51.4% და 48.6% შესაბამისად), რაც უფრო თანაბარი ბალანსია, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებებში, CSG2 სადგურისა / მასთან მისასვლელი გზის მიმდებარე და PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში. შინამეურნეობების ზომა და ასაკიც უფრო ახლოსაა ეროვნულ მონაცემებთან, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებების შემთხვევაში. თუმცა მთიანი რეგიონებისგან განსხვავებით, ბარში ფიქსირდება 35-44 ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების სიმცირე, რაც მიგრაციის მანიშნებელია. 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა 6.5%-ს შეადგენს (ეს ციფრი ნაკლებია, ვიდრე პენსიონრების რიცხვი - დაახლოებით 10%) და მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებებში (იხ. სურათი 8-1).




**სურათი 8-1: CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების სტრუქტურა**

ამ მოსახლეობის თითქმის 35% სწავლობდა უმაღლეს / პროფესიულ სასწავლებელში, დაახლოებით 21%-ს აქვს უნივერსიტეტის დონის კვალიფიკაცია და 11%-ს „ტექნიკური" კვალიფიკაცია. ეს ციფრები გაცილებით მაღალია, ვიდრე მთიანი რეგიონების დასახლებებში. მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ზონაში მოხვედრილია ქალაქი რუსთავი და რამდენიმე პატარა ქალაქი. უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანების რიცხვი ოდნავ მაღალია (10.3%), ვიდრე მთიან დასახლებებში, მაგრამ დაწყებითი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობა უფრო დაბალია (იხ. სურ. 8-2). საბოლოო ჯამში, დაახლოებით 50% დაოჯახებულია და 41%-ზე მეტი - დაუოჯახებელი. განქორწინებულებისა და ქვრივების რაოდენობა შესაბამისად 2.5% და 6.6%-ს შეადგენს. (იხ. სურ. 8-2). დაოჯახებულთა და დაუოჯახებელთა რაოდენობა ოდნავ ნაკლებია, ვიდრე მთიან რეგიონებში. განქორწინებულებისა და ქვრივების რაოდენობა კი მნიშვნელოვნად ნაკლებია, მთიან რეგიონებში ეს ციფრი 15%-ს აღემატება. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ბარში მდებარე დასახლებებში მოსახლეობა უფრო „ახალგაზრდაა." ქართველები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (დაახლოებით 70%). აზერბაიჯანელი მოსახლეობა თითქმის 27%-ს შეადგენს, რუსი ეროვნების მოსახლეობა 2.4%-ია, ოსები 1%-ს შეადგენენ და არიან ასევე სხვა ეთნიკური წარმომავლობის მცირე ჯგუფები. რელიგიური აღმსარებლობა შეესაბამება ეთნიკურ წარმომავლობას (იხ. სურათი 8-3).




სურათი 8-2: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში




**სურათი 8-3: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა CSG1-ის / პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

რესპონდენტების დაახლოებით 75% უკვე 21 წელზე მეტია, რაც ამ ადგილზე ცხოვრობს და დაახლოებით 7% 5 წლის წინ დასახლდა კონკრეტულ ტერიტორიაზე. თუმცა, მთიანი დასახლებებისგან განსხვავებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში ბარის დასახლებებში მოსახლეობის გადმოსვლა დაფიქსირდა. მაცხოვრებლების 40%-დან, რომლებიც ბოლო 4 წლის მანძილზე გადმოვიდნენ ბარში, ნახევარზე მეტი (59%) აქ დასახლდა იაფი საცხოვრებლის ძიებაში, ხოლო 26% იძულებული გახდა მშობლიური მხარე დაეტოვებინა შეიარაღებული კონფლიქტის გამო. მხოლოდ 20% დასახლდა აქ იმ მოსაზრებით, რომ ახალი საცხოვრებელი ადგილი უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებს შეუქმნიდა მათ (იხ. სურათი 8-4 და სურათი 8-5).




**სურათი 8-4: CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა**




**სურათი 8-5: CSG1-ის / პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში გადმოსვლის მიზეზები (ბოლო 4 წლის განმავლობაში გადმოსული შინამეურნეობები)**

მხოლოდ ალკოჰოლი და კრიმინალი მიიჩნევა მნიშვნელოვან და ფართოდ გავრცელებულ სოციალურ პრობლემად აღნიშნულ დასახლებებში. რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი მოსაზრება (1% და 3%) ამ საკითხზე. ზოგიერთ ჯგუფში კრიმინალი, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და ოჯახების ნგრევა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად

ითვლება, მაგრამ ამ მოსაზრების მქონე რესპონდენტების რაოდენობა ამ შემთხვევაშიც მცირეა, გამონაკლისი მხოლოდ ალკოჰოლის პრობლემაა. ალკოჰოლის პრობლემა პირველ ადგილზეა და მას მოსდევს ოჯახების ნგრევა და კრიმინალი. ძალადობის ფაქტები იშვიათია (იხ. სურათი 8-6).




**სურათი 8-6: სოციალური პრობლემები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### *დემოგრაფიული მდგომარეობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე - CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები ძირთადად შედგება პატარა სოფლებისგან მთიან რეგიონებში. მათგან ყველაზე დიდი სოფლებია ყიზილქილისა და ავრანლო, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 2000-ზე ნაკლებია. ძირითადი შედარება შეიძლება გაკეთდეს ბარში მდებარე CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებსა და მთიანი რეგიონების დასახლებების ორ ჯგუფს შორის. თუმცა, მხედველობაშია მისაღები მთიანი რეგიონების 2 კატეგორიის დასახლებას შორის არსებული ძირითადი განსხვავებები.

CSG2 სადგურისა / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები და PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებული პუნქტები ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ სომხები (49.8%), შემდეგ მოდის ქართველების ჯგუფი (46.5%). ბერძენი მოსახლეობა ამჯამად მცირერიცხოვანია (3.4%) 20 წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით. რელიგიური აღმსარებლობაც ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისია. მოსახლეობის 11% თავის თავს მუსულმანს უწოდებს, თუმცა ეთნიკურად ისინი ქართველები არიან (იხ. სურათი 8-7).




**სურათი 8-7: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

გენდერული ბალანსი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი აღნიშნულ დასახლებებში: მოსახლეობის 54.6% ქალია, ხოლო 46.4% - მამაკაცი. დაფიქსირდა, რომ ეს შეუსაბამობა უფრო დიდია, ვიდრე CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების შემთხვევაში და ეროვნულ დონეზე. აღნიშნული სიტუაცია ადგილობრივი მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასაც უკავშირდება (რომელიც სხვადასხვა გზით განსხვავდება ეროვნული „საშუალო" მაჩვენებლისგან). დასახლებებში საკმაოდ ჭარბობს 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა. მაცხოვრებლების თითქმის 53% დაუოჯახებელი ან ქვრივია (ეს უკანასკნელი 15%-ზე მეტია). ამ დემოგრაფიული პროფილის ფონზე არ არის გასაკვირი, რომ შინამეურნეობების სტრუქტურა განსხვავდება ეროვნული მონაცემებისგან, სადაც ოჯახების 38%-ში მხოლოდ 1 წევრია (ეროვნულ მონაცემებში ეს ციფრი 10%-ზე ნაკლებია).

ასაკობრივი მაჩვენებელიც არ არის ტიპიური ეროვნული მონაცემებისთვის, რადგან 18-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვნად ნაკლები ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. სავარაუდოდ, ეს სიმცირე ასახავს მიგრაციის მაღალ დონეს, ძირითადად, საბერძნეთსა და კვიპროსში (სადაც უმთავრესად ბერძნები მიემგზავრებიან), რუსეთის ფედერაციაში (სომხები) და საქართველოს სხვა კუთხეებში (ქართველები).

დაფიქსირდა, რომ რესპონდენტთა დაახლოებით ორ მესამედს მიღებული აქვს სრული საშუალო განათლება (65%), მაგრამ საშუალოზე მაღალი ან უმაღლესი (პროფესიული) განათლების მქონე მაცხოვრებლების რაოდენობა ძალიან დაბალია. 3%-ზე ნაკლებს აქვს მიღებული საუნივერსიტეტო ხარისხი (იხ. სურათი 8-8 და სურათი 8-9).




**სურათი 8-8:** **შინამეურნეობების სტრუქტურა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-9: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა CSG2 სადგურის / მასთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

დაფიქსირდა, რომ CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები სტაბილურია იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა უკვე დიდი ხანია ამ დასახლებებში ცხოვრობს. მოსახლეობის დაახლოებით 75% უკვე 21 წელია ან მეტია, რაც აქ ცხოვრობს, თუმცა ოჯახების დაახლოებით 20% 5-10 წლის წინ გადმოვიდა აქ საცხოვრებლად. რაოდენობის ასეთი ზრდა უკავშირდება ხალხის შედარებით უცაბედ მოზღვავებას სხვა პერიოდებთან შედარებით. მსგავსი მოზღვავება არ დაფიქსირებულა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში. მცირე რაოდენობით ადამიანი დასახლდა ამ სოფლებში ბოლო 5 წლის განმავლობაში. აქ დასახლებული მაცხოვრებლების ნახევარზე მეტი (59%) უკეთესი ეკონომიკური პირობების ძიებაში გადმოვიდა, დანარჩენები კი სტიქიურ მოვლენებს გამოექცნენ (იხ. სურათი 8-10 და სურათი 8-11).




**სურათი 8-10: CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა**




**სურათი 8-11: CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში გადმოსვლის მიზეზები (ბოლო 4 წლის განმავლობაში გადმოსული შინამეურნეობები)**

რესპონდენტებმა ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება დაასახელეს ზოგიერთი ჯგუფის მიერ (რესპონდენტების დაახლოებით 3%). 10-11% მიიჩნევს, რომ ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება იშვიათი პრობლემაა. რესპონდენტებმა ძალადობა და ოჯახის დანგრევა კრიმინალს მიაკუთვნეს, თუმცა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ამ პრობლემას ასახელებენ, ძალიან დაბალია (დაახლოებით 3%) (იხ. სურათი 8-12).




**სურათი 8-12: სოციალური პრობლემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

*დემოგრაფიული მდგომარეობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დონეზე - PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში შედის ორი შედარებით დიდი დასახლება: ვალე (თითქმის 6000 მაცხოვრებელი) და უდე (3500-ზე მეტი მაცხოვრებელი). ამ ზონის სხვა დასახლებები შედარებით პატარაა. აქედან გამომდინარე, PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში ჩატარებული შინამეურნეობების კვლევის შედეგებზე გავლენა იქონია უფრო დიდი დასახლებების შინამეურნეობების მახასიათებლებმა, რამაც შეიძლება გარკვეულწილად 'შენიღბოს' პატარა დასახლებების მაჩვენებლები. თუმცა, პატარა დასახლებების შესახებ ინფორმაცია არსებობს დასახლებების ლიდერებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და გარდა ამისა, სავარაუდოდ, სხვა მაღალმთიანი დასახლებების შესახებ (როგორიცაა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები) ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მართებული იქნება PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე პატარა დასახლებებისთვისაც.

ქართველები უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ (66.1%), შემდეგ მოდიან სომხები (32.2%) და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობის 1.6%-ს წარმოადგენენ. ზოგადად, რელიგიური აღმსარებლობაც ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისია (იხ. სურათი 8-13).




**სურათი 8-13: ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

გენდერული სურათი თითქმის იგივეა, რაც CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. გენდერული ბალანსი მიუთითებს, რომ შესაბამის PAC-ებში უფრო მეტი ქალი (54.2%) ცხოვრობს, ვიდრე მამაკაცი. CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებთან შედარებით, PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში ოდნავ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი მამაკაცები, შესაბამისად, ქალების რაოდენობა ოდნავ მეტია, თუმცა სხვაობა საკმაოდ უმნიშვნელოა. ასაკობრივი პროფილიც იდენტურია.

მოსახლეობის ოცდაოთხი პროცენტი 65 წლის (ან მეტი) ასაკისაა და თითქმის 53% დაუოჯახებელი ან ქვრივია. თუმცა, დაფიქსირდა, რომ ოჯახების ზომა განსხვავდება CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებისგან, რადგან აქ ნაკლები რაოდენობითაა 1 და 2 წევრიანი ოჯახები. PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში 3 და 4 წევრიანი ოჯახები 29%-ს შეადგენს მაშინ, როცა CSG2 სადგურის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებების შემთხვევაში, ეს ციფრი 18%-ს უტოლდებოდა. გარდა ამისა, 6 და მეტ წევრიანი ოჯახების რიცხვი დაახლოებით 18%-ს შეადგენს, CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში კი - 14%-ს (იხ. სურათი 8-14).

CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებების მსგავსად PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებშიც მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი 18-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი და ეს მაჩვენებელი ნაკლებია ეროვნულ დემოგრაფიულ სურათზე. სავარაუდოდ მიჩნეულია, რომ გამომწვევი მიზეზებიც მსგავსია (იხ. სურათი 8-14).




**სურათი 8-14: შინამეურნეობების სტრუქტურა PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში**

CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებთან შედარებით PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში უფრო ნაკლებ ადამიანს აქვს სრული საშუალო განათლება (52.5%). თუმცა გაცილებით მეტია მაცხოვრებლების რიცხვი, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალოზე მაღალი ან უმაღლესი (პროფესიული) განათლება. თითქმის 9%-ს აქვს საუნივერსიტეტო ხარისხი და 13%-ს „ტექნიკური" განათლება აქვს მიღებული შესაბამისი კვალიფიკაციით. CSG2 და PRMS სადგურების ზემოქმედების ზონის დასახლებებში თითქმის იდენტურია იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლებსაც არა აქვთ განათლება ან აქვთ მხოლოდ დაწყებითი განათლება. აღსანიშნავია, რომ ქვრივების კატეგორიაში ადამიანების რაოდენობა შედარებით მაღალია, ვიდრე ბარში მდებარე დასახლებებში (იხ. სურათი 8-15).




**სურათი 8-15: განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებები სტაბილურია იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე დიდი ხანია აქ ცხოვრობს. მაცხოვრებლების თითქმის 93% 21 წელია ან მეტია ამ დასახლებებში ცხოვრობენ. მხოლოდ 2.4% გადმოვიდა აქ საცხოვრებლად ბოლო 5 წლის განმავლობაში (იხ. სურათი 8-16).




**სურათი 8-16: PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში ცხოვრების ხანგრძლივობა**

მათ დასახლებებში სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ კითხვების პასუხად, რესპონდენტების დაახლოებით 40%-მა ყველაზე გავრცელებულ სოციალურ პრობლემად ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება დაასახელა. თითქმის 20%-მა აღნიშნა, რომ ეს სერიოზული პრობლემაა გარკვეულ ჯგუფებში. რესპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა კრიმინალი, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ეს მძიმე პრობლემაა მცირერიცხოვან ჯგუფებში. შემდეგ პოზიციაზეა ოჯახების ნგრევა. ძალადობა (მათ შორის ოჯახშიც) ასევე პრობლემადაა აღქმული, მაგრამ რესპონდენტები მას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამბობენ, რომ ძალადობის ფაქტები ძალიან უმნიშვნელოა (იხ. სურათი 8-17).




**სურათი 8-17: სოციალური პრობლემები PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში**

### *8.3.1 დემოგრაფიის სენსიტიური ფაქტორები*

ზეგავლენის ქვეშ მყოფი ყველა დასახლებისთვის ძირითადი სენსიტიური ფაქტორებია:

- მაღალმთიან რაიონებში მდებარე პატარა დასახლებები, სადაც დიდი ოდენობით ხანდაზმული მოსახლეობა/პენსიონერი ცხოვრობს
- CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებები, სადაც პროპორციულად უფრო მაღალია 1 წევრიანი და პატარა ოჯახები, რომლებიც უფრო ღარიბები არიან, ვიდრე დიდი ოჯახები
- დარეგისტრირებული უნარშეზღუდულების/ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და დევნილების რაოდენობა ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში. მთიან რეგიონებში მდებარე დასახლებებში უფრო დიდი რაოდენობით არიან დარეგისტრირებული უნარშეზღუდულები/ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ხოლო CSG1 სადგურის/ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონის დასახლებებში უფრო მეტი დევნილი ცხოვრობს.

## 8.4 ჯანდაცვა

SCPX-ის პროექტის გუნდმა მოიწვია დამოუკიდებელი კონსულტანტი ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასებისთვის, რომელსაც უნდა შეეფასებინა პროექტის პოტენციური ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების საბაზისო მონაცემები გაერთიანდა ბუნებრივი და სოციალური გარემოს ზემოქმედების შეფასების სოციო-ეკონომიკური მონაცემების მოძიების პროცესში, კონკრეტულად შინამეურნეობების კვლევისთვის განკუთვნილ კითხვარებში. შედეგები წარმოდგენილია ამ თავში.

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეაფასა საბაზისო მონაცემები ჯანდაცვის საკითხებისა და პროექტის პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით. ანგარიშის ჯანდაცვის საბაზისო სექციის მთავარი საკვლევი ფაქტორებია:

- მოსახლეობა - დემოგრაფია, ეკონომიკა და განათლება (ეს საკითხები განხილულია ამ ESIA-ს სხვა ნაწილებში და აქ არ მეორდება)
- საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ორგანიზება
- ჯანდაცვის მთლიანი სისტემის მდგომარეობა
- ინფექციური დაავადებები
- არაგადამდები დაავადებები
- გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის საკითხები - ჰაერი, წყალი, საკვები და ნიადაგი (ეს საკითხები განხილულია ამ ESIA-ს სხვა ნაწილებში და აქ არ მეორდება)

### *8.4.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის მონაცემები*

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების გუნდმა განიხილა ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხელმისაწვდომი საბაზისო მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან და სპეციალური ანგარიშებიდან. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო წყარო აღმოჩნდა, ისევე როგორც სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან, მსოფლიო ბანკიდან და გაეროს სტატისტიკის სამსახურიდან.

ამ დოკუმენტის მე-15 თავში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურული წყაროები.

#### *საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ორგანიზება*

დამუშავებული ლიტერატურული წყაროების თანახმად, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ ჯანდაცვის სექტორის ახალი მოდელის გამოყენება დაიწყო. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, გატარდა რეფორმები ჯანდაცვის სისტემის ორგანიზების, დაფინანსებისა და მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებში. მიუხედავად ამისა, საქართველო ისევ დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე ამ სფეროში და აუცილებელია სათანადო ყურადღება და ინტენსიური თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ძირითადი უწყებაა, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს იღებს. 12 რეგიონალური ჯანდაცვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია გადაწყვეტილებებსა და დაფინანსებაზე ადგილობრივ დონეზე.

თითოეულ მუნიციპალიტეტში არის ჯანდაცვის მუნიციპალური ფონდი, საიდანაც თანხა ირიცხება რეგიონალურ ფონდში თითოეული მოსახლის გათვალისწინებით. გარდა ამისა, საქართველო სოლიდურ საგარეო დახმარებას იღებს ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ქვეყნები.

*ჯანდაცვის მთლიანი სისტემის მდგომარეობა*

დამუშავებული ლიტერატურული წყაროების თანახმად, სოციო-ეკონომიკური კრიზისი, სამოქალაქო ომი, დევნილების დიდი რაოდენობა, გაზრდილი უმუშევრობა და 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ინტენსიური მიგრაცია- ეს ის ფაქტორებია, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სისტემაზე. მიუხედავად ამისა, არის გარკვეული პროგრესი ზოგიერთი მაჩვენებლის გაუმჯობესების მხრივ. მაგალითად, მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობა (რომელიც იზომება ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, ახალშობილთა და მშობიარეთა სიკვდილიანობა) უმჯობესდება 1990-იანი წლების მეორე ნახევრის შემდეგ.

სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის მაჩვენებლების (იხილეთ სურათი 8-18 და სურათი 8-19) თანახმად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის მთავარი გამომწვევი მიზეზია. ამ დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი უცვლელია (100 000-დან 640-645 შემთხვევა 2001-2006 წლებში). ეს მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც დსთ-ს ქვეყნებში და უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირში.

ავთვისებიანი სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია საქართველოში ამ ქვეყნებთან შედარებთ, თუმცა არის გარკვეული შემცირება (100 000-დან 110 შემთხვევა დაფიქსირდა 2001 წელს, 2006 წელს კი-99 შემთხვევა). სასუნთქი გზების დაავადებები ავადმყოფობების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. 2001 წელს 100 000-დან 3500 შემთხვევა 7000-მდე გაიზარდა 2006 წელს. ამავე პერიოდში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევები თითქმის 50%-ით გაიზარდა.




სურათი 8-18: სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 100 000 ადამიანზე და 5 ძირითადი გამომწვევი მიზეზი, 2001-2006 (წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009)




სურათი 8-19: დაავადებების მაჩვენებელი ყოველ 100 000 ადამიანზე და 5 ძირითადი გამომწვევი მიზეზი, 2001-2006 (წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009)

*დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობა*

ჯანდაცვის სისტემის კიდევ ერთი ძირითადი ინდიკატორია დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობა. დამუშავებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების თანახმად, საქართველოს პრიორიტეტად აქვს დასახული, რომ 2015 წლისთვის ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 7.0-მდე და მშობიარე დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი 12.3-მდე შემცირდეს. დედების სიკვდილიანობა 70-დან 14.3-მდე, ხოლო ახალშობილთა სიკვდილიანობა 23.7-დან 14.3-მდე შემცირდა 1997-სა და 2008 წლებს შორის. სამცხე-ჯავახეთში ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უახლოვდება გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნებს, ქვემო ქართლში კი მიზნების ნახევარზე ნაკლებია (ცხრილი 8-4).

ცხრილი 8-4: შობადობა და ახალშობილთა სიკვდილიანობა რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2009

| რეგიონი | შობადობა | მკვდრადშობილი ბავშვები | სიკვდილიანობის დონე 1000 | ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონე 1000 | პერინატალური სიკვდილიანობის დონე 1000 |
|---|---|---|---|---|---|
| ქვემო-ქართლი | 4893 | 35 | 7.1 | 3.3 | 9.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2318 | 18 | 7.7 | 7.3 | 10.7 |
| საქართვე-ლო | 61,677 | 665 | 10.7 | 14.3 | 19.6 |

წყარო: MoLSHA და NCDC (2009)

*საგზაო უსაფრთხოება*

2007 წელს საგზაო შემთხვევების დროს დაღუპულთა 72% დაუდგენელია, 28% ფეხით მოსიარულე იყო, ხოლო 1%-ზე ნაკლები-ველოსიპედისტი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი მონაცემებით (2011), რომლებიც 2011 წლის აპრილში გამოქვეყნდა, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის

მაჩვენებელი 515 იყო საქართველოში. ეს მაჩვენებელი სიკვდილიანობის მთლიანი მაჩვენებლის 1.13%-ია. ასაკით გამოწვეული სიკდილიანობის ინდიკატორი იყო 100 000 მოსახლეზე 11.40. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 129-ე ადგილზეა.

*ინფექციური დაავადებები*

ქვემოთ შეჯამულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებები:

- ტუბერკულოზის შემთხვევების მაჩვენებლით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას უსწრებს. 2009 წელს ამ შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1998 წლის შემდეგ.
  - ქვემო ქართლში 80.3, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 50.1 შემთხვევა დაფიქსირდა 100 000 მოსახლეზე (საქართველოს მთლიანი მაჩვენებლის ნახევარი) ((შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009).
  - გარდა ამისა, უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა მულტირეზისტენტული ტუბრკულოზი. მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთია, სადაც ყველაზე მაღალია მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დონე (შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009).
- დიარეა და გასტროენტერიტი ყველაზე გავრცელებული ნაწლავური ინფექციის გამოვლინება იყო 2008 და 2009 წლებში (შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009).
- მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველოში ყველაზე მაღალია ბოტულიზმის შემთხვევების რაოდენობა (გოტლიბი, 2007). წლიური მონაცემებით 100 000 მოსახლეზე 0.9 შემთხვევა ფიქსირდება საქართველოში მაშინ, როცა აშშ-ში იგივე მაჩვნებელი 0.01-ს უდრის.
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის სიფილისისა და გონორეას შემთხვევებიც საკმაოდ ბევრია. 2000-2006 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმუნოდეფიციტის ვირუსის შემთხვევებიც(100 000 მოსახლეზე 1.8-დან 7.8-მდე). ეს ტენდენცია შემდგომაც შენარჩუნდა (შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009).

*ტრანსმისიული დაავადებები*

ქვემოთ შეჯამულია საქართველოში ტრანსმისიული დაავადებები:

- საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს მალარიის გავრცელებისთვის. ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის დაახლოებით 90% ცხოვრობს. 2003 წლიდან მოყოლებული მალარიის შემთხვევები შემცირდა და ბოლო შემთხვევა 2009 წელს დაფიქსირდა (შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დადაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009).
- ვისცერალური ლეიშმანიოზი დამახასიათებელია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილისთვის, აზერბაიჯანის საზღვრიდან თბილისამდე და მის შემოგარენში (ქაჯაია, 2011).

- იერსინია ტრანსმისიული პათოგენია პროექტის განხოციელების არეალში, რადგან ის ძირითადად გავრცელებულია ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში.

*ზოონოზური დაავადებები*

ქვემოთ შეჯამულია საქართველოში გავრცელებული ზოონოზური (დაავადება და ინფექცია, რომელიც ხერხემლიანი ცხოველებიდან ადამიანებზე გადადის) დაავადებები:

- ჯილეხი საქართველოსთვის დამახასიათებელი ტიპიური დაავადებაა, რომელიც ძირითადად საქონლისგან გადადის. 2011 წელს ჩატარდა კლასტერული კვლევა ჯილეხის შემთხვევებზე (10 კლასტერი). თითო კლასტერში მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 8 შემთხვევა იყო შესწავლილი (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2011). შემთხვევების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ქვემო ქართლში. NCDC-ის მიხედვით (იხ. სურათი 8-20, 2011a) SCPX-ის პროექტის მშენებლობის ტერიტორიაზე არსებობს ჯილეხის ინციდენტები. გარდა ამისა, NCDC ატარებს პროაქტიურ ეპიდემიოლოგიურ და ეპიზოოტოლოგიურ კვლევებს იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც კვეთს მილსადენები. ეს მონაცემები NCDC-დან ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისთვის
- ბრუცელოზი ენდემური დაავადებაა საქართველოში.
- ცოფი ენდემური დაავადებაა საქართველოში და ადამიანებს შორის ცოფის შემთხვევები უფრო მეტია, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2007). 1996-2006 წლებში საშუალოდ 10 შემთხვევა დაფიქსირდა წელიწადში.




**სურათი 8-20: ადამიანის ჯილეხის ინციდენტის შემთხვევები (100,000 მოსახლეზე), შერჩეული მუნიციპალიტეტები, 2003–2011**

*არაგადამდები დაავადებები*

ქვემოთ შეჯამულია საქართველოში გავრცელებული არაგადამდები დაავადებები

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2009 წელს მომზადებულ ანგარიშში საქართველოს ჯანდაცვის სისტემის შეფასებაზე აღნიშნულია, რომ არაგადამდები

დაავადებები, როგორიცაა გულის დაავადებები, სიმსივნე, ინსულტი, დიაბეტი და სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადება სიკვდილიანობის მაჩვენებლის 91%-ს შეადგენს. აქედან გულსისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის 71%, სიმსივნეზე- 12%, დიაბეტზე-2% და სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებაზე-1%. სხვა არაგადამდები დაავადებები შეადგენს სიკვდილიანობის მიზეზების 5%-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009).

  - 2000-2010 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა გულსისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევები. სამცხე-ჯავახეთში ჰიპერტენზიის დაავადების შემთხვევები (1128.3) მთელი ქვეყნის მაჩვენებლის მსგავსია, ხოლო ქვემო ქართლში (675.8) დაახლოებით ნახევარია (შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2009)

- შაქრიანი დიაბეტის შემთხვევებს რაც შეეხება, 2005-2010 წლებში 1.4-ჯერ გაიზარდა (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2011). სამცხე-ჯავახეთში ამ დაავადების შემთხვევები მთელი ქვეყნის მაჩვენებლის მსგავსია, თუმცა ბავშვებში დაფიქსირებული შემთხვევები (16.8) თითქმის ორჯერ აღემატება ქვეყნის მთლიან მაჩვენებელს (8.5). ქვემო ქართლში მაჩვენებლები უფრო დაბალია- მთლიანად 116 და ბავშვებში 3.5.

- საქართველოში სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობის დონე მაღალია. მიზეზი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ შემთხვევების უმეტესობის გამოვლინება ხდება ბოლო სტადიაზე (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2011). ამავე ცენტრის მონაცემებით, ქალებს შორის მკერდის კიბო და მამაკაცებს შორის ფილტვის სიმსივნე ყველაზე გავრცელებული ფორმებია 2008-2009 წლებში.

### *8.4.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები*

2011 წლის აგვისტოში ACT-ის საველე კვლევის ჯგუფის წევრები დასახლებების შინამეურნეობებს ეწვივნენ, რათა ჩაეტარებინათ კვლევა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევაში ჩართული იყო ჯანდაცვაზე ზეგავლენის შეფასების გუნდის მიერ მომზადებული კითხვები, რომლებზე პასუხებიც უზრუნველყოფდა ჯანდაცვის საბაზისო ინფორმაციას დასახლებების დონეზე. ქვემოთ შეჯამებულია ამ კვლევის შედეგები. კვლევის მეთოდოლოგია იგივე იყო, რაც აღწერილია თავში 8.2.2 „არასაკმარისი სოციო-ეკონომიკური მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები“.

### *8.4.3 ჯანდაცვის არსებული მდგომარეობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ დასახლებებში*

*სამედიცინო დახმარება*

კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების დაახლოებით მეხუთედს დასჭირდა სამედიცინო დახმარება ბოლო 1 თვის განმავლობაში. იძლებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით მეოთხედს დასჭირდა სამედიცინო დახმარება ბოლო 1 კვირის განმავლობაში. ამ ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 10%-ით აღემატება უნარშეზღუდული ან ქრონიკულად დაავადებული ადამიანების რიცხვს. რესპონდენტების უმრავლესობას დასჭირდა სამედიცინო დახმარება კვლევამდე 1-6 თვის განმავლობაში.

კვლევის რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ მიმართა სამედიცინო დახმარებას სხვადასხვა დაავადების გამო. შემდეგ ადგილზეა ტრავმები. იძულებით გადაადგილებულ

რესპონდენტთა 3.7%-მა, ხოლო უნარშეზღუდულთა ან ქრონიკულად დაავადებულთა 5.8%-მა ტრავმის გამო მიმართა ექიმებს.




**სურათი 8-21: მიზეზი, რის გამოც რესპონდენტებმა ბოლოს მიმართეს სამედიცინო დახმარებას**

### *დაავადებები*

ვირუსული ინფექციები და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, რაც სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ინფექციური დაავადებები პირველ ადგილზეა ზოგადად მოსახლეობაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები პირველ პოზიციაზეა ქრონიკულად დაავადებულ ადამიანებს და დევნილებს შორის. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევები 20%-ით აღემატება ინფექციების შემთხვევებს. ყველაზე გავრცელებული დაავადებები საჭიროებს სამედიცინო შემოწმებას ქრონიკულად დაავადებულ ადამიანებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის.




**სურათი 8-22: გასულ წელს ყველაზე გავრცელებული დაავადებები, რომლებიც სამედიცინო ჩარევას მოითხოვდა**

რესპონდენტების დაახლოებით მეხუთედი დიარეით ან ხველებით იყო დაავადებული გასული ორი კვირის განმავლობაში. ერთმანეთის მსგავსი პროცენტული მაჩვენებლები დაფიქსირდა ყველა შესწავლილ დასახლებაში.

*ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველყოფა*

პაციენტები, როგორც წესი, საავადმყოფოებს მიმართავენ გულ-სისხლძარღვთა ან კუჭ-ნაწლავის დაავადებების გამო. ვირუსული ინფექციების დროს კი ძირითადად თვითმკურნალობას მიმართავენ ან პოლიკლინიკის მომსახურებით სარგებლობენ.




**სურათი 8-23: სამედიცინო მომსახურების ტიპები**

პაციენტები ძირითადად ავტომობილებით აკითხავდნენ საავადმყოფოებს ან პოლიკლინიკებს. დევნილების დაახლოებით მეოთხედი ფეხით მიდიოდა კლინიკაში. ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება სხვა დასახლებების ანალოგიურ პროცენტულ რაოდენობას.

სოციალურად დაუცველი ადამიანების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ მიუწვდებათ ხელი საჭირო მედიკამენტებზე, თუმცა არის გარკვეული დადებითი ტენდენციები ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. დანარჩენი მოსახლეობისთვის როგორც ჩანს უფრო ხელმისაწვდომია მედიკამენტები სოციალურად დაუცველ ადამიანებთან შედარებით, რადგან ისინი ძირითადად ურბანულ არეალში ცხოვრობენ ან ადვილად უკავშირდებიან სხვა დასახლებებს.




**სურათი 8-24: მედიკამენტების ხელმისაწვდომობა**

დაფიქსირდა, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის წამლები არ იყო ხელმისაწვდომი და რესპონდენტების მესამედისთვის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო გართულდა წამლების შეძენა.

ადამიანების ყველა ჯგუფისთვის მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემის გარდა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი შინამეურნეობების უმრავლესობაში ოჯახის არცერთი წევრი არ იყო დაზღვეული. თუმცა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების წყალობით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს აქვს დაზღვევის საშუალება, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას.

### *8.4.4 ჯანდაცვის სფეროს სენსიტიური ფაქტორები*

ქვემოთ შეჯამებულია ჯანდაცვის ფონური მდგომარეობის კომპონენტები, რომლებიც პროექტის კონტექსტში, მიჩნეულია განსაკუთრებით მნიშნელოვან ფაქტორებად პროექტის განვითარების სავარაუდო ზემოქმედებებზე დაყრდნობით.

- ტუბერკულოზის მაჩვენებელი საქართველოში ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი

მნიშვნელოვან პრობლემად აღიქმება. აღსანიშნავია, რომ ამ სახის ტუბერკულოზის მაჩვენებლებით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეწყდა ზოონოზური და ტრანსმისიული დაავადებების კვლევისა და კონტროლის პროგრამები. ცოფი, ჯილეხი, ტულარემია, იერსინია, ბრუცელოზი და ლეიშმანიოზი ენდემური დაავადებებია პროექტის კვლევის არეალში
- შეშის გამოყენება გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად CSG2 და PMRS დასახლებებში განისაზღვრა, როგორც მთავარი სენსიტიური ფაქტორები სოციალურ საბაზისო კვლევაში. შეშის წვა იწვევს ჰაერის დაბინძურებას და შენობაში არსებული ჰაერის ხარისხს აფუჭებს, რადგან სოფლის სახლებში ვენტილაციის სისტემა არ არის ადეკვატური. სასუნთქი გზების ინფექციები ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის საჭირო გახდა სამედიცინო ჩარევა გასულ წელს. შინამეურნეობები, რომლებიც შეშას იყენებენ გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, მსგავსი ინფექციების უფრო დიდი რისკის წინაშე დგანან
- შინამეურნეობების კვლევის თანახმად, წყლის ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც კანალიზაციისა და ნარჩენების სისტემა არასახარბიელოა სოფლის ზოგიერთ დასახლებაში. წყალთან და სანიტარიასთან დაკავშირებული დაავადებები სავარაუდოდ უფრო გავრცელებულია სოფლის დასახლებებში
- შინამეურნეობების კვლევის მიხედვით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ იყო მედიკამენტები და მოსახლეობის მესამედისთვის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო გართულდა წამლების შეძენა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ თავიანთ დასახლებებში არ მიუწვდებათ ხელი საჭირო მედიკამენტებზე.

## 8.5 მიწათსარგებლობა და მიწათმფლობელობა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე

ანგარიშის ეს ნაწილი აღწერს მიწის ნაკვეთების სახეობებს სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების საპროექტო ტერიტორიებზე და დასახლებების შინამეურნეობების მიერ მიწის გამოყენებას. ყოველივე ეს იმის საფუძველს ქმნის, რომ მოხდეს იმ ეკონომიკური სარგებლის აღწერა, რომელსაც ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება მიიღებს მიწის გამოყენებით, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. ამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავში 8.6.

### 8.5.1 *კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია*

მეორადი მონაცემების ძირითადი წყაროებიეროვნულ და რეგიონალურ დონეზე შემდეგია:

- წინა ESIA კვლევები (BTC და SCP, 2002)
- მიწის მფლობელობის და სარგებლობის სპეციალურად ჩატარებული ფონური კვლევები, რომლებიც ჩატარდა BTC და SCP მიწის შეძენისა და კომპენსაციის პროცესის ფარგლებში  (BTC გადასახლების სამოქმედო გეგმა, 2003).

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების დოზენე წარმოდგენილი ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

- BP-ის მონაცემები მიწის მფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტისთვის, რომელთა გამოყენება ხდება ახალი SCPX პროექტისთვის
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის აუდიტი (სადაც მოცემულია SCPX ზეგავლენის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების 2008 წლის კვლევა, RAP Completion Audit, 2008 )
- BP-ის სოციალურ და მიწის საკითხებზე მომუშავე პერსონალის ცოდნა
- ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების შინამეურნეობების კვლევის შედეგები.

### 8.5.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, აქტიურად დაიწყო პრივატიზაციის პროცესი და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. ამ ცვლილებებთან დაკავშირებული მიწის რეგისტრაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. შედეგად, ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის სრულყოფილი ინფორმაცია მიწით სარგებლობასა და მფლობელობაზე.

ამ თვალსაზრისით, BP-მ ჩაატარა კვლევა მიწით სარგებლობასა და მფლობელობაზე საკვანძო ტერიტორიებზე და მიმართა მიწის რეესტრის სამსახურს ამ საკითხზე სრულფასოვანი ფოტომასალის მიწოდების თხოვნით. აღნიშნული მონაცემების გამოყენება მოხდა ESBR კვლევის მოცემული თავის მოსამზადებლად.

### 8.5.3 მიწის შეძენის და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტები

როგორც უკვე აღინიშნა, მიწით სარგებლობისა და მფლობელობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება მოხდა „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტისთვის" (LACF) და განახლებული „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ცნობარისთვის" (GLAC). ორივე დოკუმენტი ქმნის პირველად მექანიზმს, რომლის საშუალებით ხდება პროექტის პოტენციური ზეგავლენის შეფასება და შემარბილებელი ზომების მიღება.

SCPX-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების კვლევის საშუალებით შეგროვდა ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტისთვის." ამ მიზნის მიღწევა მოხდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის შერჩევით, ე.ი. დაზარალებული მიწის მფლობელებისა და მოსარგებლეების დადგენით და მათი ჩართვით შინამეურნეობათა კვლევის შერჩევაში. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დადგენა მოხდა მიწის მფლობელობის შესახებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტების წარსულში შეგროვებული ინფორმაციისა და ახალი SCPX პროექტის მონაცემების საფუძველზე.

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია ჩართულია მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტში და შეჯამებულია ამ ანგარიშში.

### 8.5.4 მიწათსარგებლობის ფონური მდგომარეობა

*ზოგადი ფონი*

კერძო მიწის ნაკვეთები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სოფლის დასახლებების მაცხოვრებლებისთვის. დასახლებებში მოსახლეობის უმრავლესობა (თითქმის 100% ზოგიერთ დასახლებაში) თვით-დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში (იხ. "PAC-ების შეჯამება", რომელიც მოცემულია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშში). ამ გზით მოპოვებული პროდუქტები ხალხის შემოსავლის

მნიშვნელოვანი ნაწილია (საკვები პირადი მოხმარებითვის და გასაყიდად). ერთობლივ მფლობელობაში არსებული მიწა (ე.ი. კერძო სტატუსის მქონე მიწა, რომელსაც ფლობს კონკრეტული სოფელი და იყენებს ამ სოფლის მოსახლეობა) და სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ზოგიერთი ნაკვეთი ძირითადად გამოიყენება საძოვრებისთვის და წარმოადგენს მნიშვნელოვან საერთო რესურსს. ერთობლივი მფლობელობის მიწა გვხვდება მხოლოდ სამხრეთ კავკასიური მილსადენის გასხვისების დერეფნის გასწვრივ, მაღალმთიანი სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე და აქედან გამომდინარე, იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს SCPX პროექტი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით ამგვარი ნაკვეთები ხშირი არაა.

მიწათსარგებლობის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ არის ორი ტიპის კერძო მიწა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში ან მათ მახლობლად: შინამეურნეობების ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო მიწა. შინამეურნეობების ნაკვეთები მდებარეობს საცხოვრებელ სახლებთან ახლოს და ახასიათებთ მრავალფეროვანი გამოყენება. ერთ-ერთი უმთავრესია საკვები პროდუქტების წარმოება პირადი მოხმარებისთვის. სასოფლო-სამეურნეო მიწა შეიძლება მდებარეობდეს საცხოვრებელი სახლებიდან ცოტა მოშორებით და დაყოფილი იყოს რამდენიმე ნაკვეთად. RAP Completion Audit (2010) ანგარიშის მიხედვით შინამეურნეობების უმრავლესობას აქვს ორი ან სამი სხვადასხვა სახის მიწის ნაკვეთი (სახნავი, სათიბი, სარწყავ-სახნავი).

RAP Completion Audit (2010) ანგარიშის თანახმად, 2008 წელს შინამეურნეობების მიერ მიწის მფლობელობის საშუალო მაჩვენებელი იყო თითქმის 1 ჰექტარი (9308 კვ.მ.) საკვლევ სოფლებში (მათ შორის 5 SCPX პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებაა). თუმცა იყო განსხვავებები საკუთრებაში მყოფი მიწის ფართობის თვალსაზრისით. შინამეურნეობების უმრავლესობა ფლობს მიწას, რომლის ფართობი მერყეობს 4001 კვ.მ.-სა (0.4 ჰექტარი) და 12 000 კვ.მ-ს (1.2 ჰექტარი) შორის. შინამეურნეობების თითქმის თანაბარი რაოდენობა ფლობდა მიწას 4001 კვ.მ.-სა (0.4 ჰექტარი) და 8 000 კვ.მ-ს (0.8 ჰექტარი) შორის და 8001 კვ.მ.-სა (0.8 ჰექტარი) და 12 0000 კვ. მ-ს (1.2 ჰექტარი) შორის.

RAP Completion Audit (2010) ანგარიშის თანახმად, მფლობელობაში არსებული მიწის 36.3% აქტიურად იყო გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის. შინამეურნეობების 13% კი აქტიურად არ იყენებდა მიწას ამ თვალსაზრისით.

RAP Completion Audit (2010) ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მიწის მფლობელების დაახლოებით 45%-ს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის გასხვისების დერეფნის ზემოქმედების ზონაში და 55%-ს მიწისზედა ობიექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არ ჰქონდათ ფულადი შემოსავალი მიწიდან. ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ამ მიზნისთვის განკუთვნილი მიწა, როგორც წესი, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მდებარეობს და არა სოფლის განაპირა ნაწილებში.

### *CSG1 და პარალელური მილსადენი*

CSG2 და PRMS სადგურების ზემოქმედების ზონაში მდებარე მთიანი რეგიონების დასახლებებისგან განსხვავებით, შინამეურნეობების ნაკლები რაოდენობა (დაახლოებით 46%) ფლობს მიწას CSG1 სადგურისა და ახალი პარალელური მილსადენის ზონის დასახლებებში. მიწა აქ უფრო ძვირია, რადგან შედარებით დიდი ქალაქები (რუსთავი, გარდაბანი და გარკვეულწილად თბილისიც კი) ახლოს მდებარეობს. აქ მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილია დაკავებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, რადგან ეს დასახლებები ქალაქის ტიპისაა. ბევრ შინამეურნეობას არა აქვს საშუალება, რომ მიწა შეიძინოს (30%) ან არ მიუწვდებათ ხელი მიწაზე (27%), შესაბამისი ხარჯებისა და გარკვეული ბარიერების გამო. თითქმის არ არის მიწის არენდით აღების შემთხვევები.

შინამეურნეობების დაახლოებით 16% ფლობს, მაგრამ არ იყენებს მიწას. ამგვარი მიწის ნაკვეთების ფართობი თითქმის 0.2 ჰექტარს შეადგენს თითოეულ შინამეურნეობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შეზღუდული ფართობის მიწაა ხელმისაწვდომი პოტენციური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის. გარდა ამისა, იმის მანიშნებელიცაა, რომ მიწის ფასი მაღალია, ან აღქმულია, როგორც მაღალი. სიტუაცია განსხვავდება მთიან დასახლებებში.

მიწის მფლობელი შინამეურნებობების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (96%) ფლობს ბაღს ან ეზოს. თუმცა მთიან რეგიონებში მცხოვრებ შინამეურნეობებისგან განსხვავებით, აქ გაცილებით მცირე რაოდენობის შინამეურნეობას აქვს სხვა მიწის ნაკვეთები საკუთრებაში. მხოლოდ 20% ფლობს მიწას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად (თითოეულ შინამეურნეობაზე საშუალოდ 0.35 ჰექტარი); დაახლოებით 5%-ს აქვს ვენახი / ხეხილის ბაღი (საშუალოდ 0.08 ჰექტარი); 1%-ზე ნაკლები ფლობს სათიბს (საშუალოდ 0.7 ჰექტარი). პრაქტიკულად მიწის გამოყენება საერთოდ არ ხდება საძოვრისთვის.




**სურათი 8-25: მიწის მფლობელობა და შეძენა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზემოქმედების ზონაში**

რუსთავში ორი სახის მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოვყოთ: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო. RAP Completion Audit (2010) ანგარიშის თანახმად, რუსთავის მაცხოვრებლებს აქვთ დაახლოებით 860-900 კვ.მ-ის ფართობის ნაკვეთები ქალაქის განაპირას. ზოგიერთი მიწის მფლობელი ამბობს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისამდე მიწები ირწყვებოდა და კორპუსების მაცხოვრებლებს იქ ბაღები ჰქონდათ გაშენებული. რუსთავში მიწის მფლობელები არ იყვნენ დამოკიდებული ამ მცირე ნაკვეთებზე

შემოსავლის თვალსაზრისით. ზოგიერთ რუსთაველს ჰქონდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ფართობი დაახლოებით 500 კვ.მ-ს შეადგენდა. ეს ნაკვეთები მდებარეობდა რუსთავის შესასვლელთან და უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე 900 კვ.მ. ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, ბოლო დროს რუსთავში მიწა აქტიურად გამოიყენება ავტომანქანების ბაზრობების მოსაწყობად, რამაც შეიძლება გაზარდოს მიწის ფასი.

შინამეურნეობების თითქმის თანაბარი რაოდენობა (დაახლოებით 14%) ფლობს საქონელსა და ფრინველს (საშუალოდ 2-3 ძროხას და 17-18 ფრინველს). შინამეურნეობების 3%-ზე ნაკლებს ჰყავს ღორი და ცხვარი (საშუალოდ 2 ღორი და 6 ცხვარი). შინამეურნეობების მხოლოდ 0.2% ეწევა მეფუტკრეობას (საშუალოდ 8.5 სკა თითოეულ შინამეურნეობაზე).

მთლიანობაში, სოფლის მეურნეობა არ არის ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის სფერო ამ დასახლებებისთვის, როგორც ეს მთიან რეგიონებშია. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო აქტივობა მაინც ნიშანდობლივია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პატარა ზომის სოფლის დასახლებებისთვის მეურნეობა მნიშვნელოვანია, ალბათ ისევე, როგორც მთიან დასახლებებში.

### *CSG2 და CSG2 მისასვლელი გზა*

#### მიწათსარგებლობა

შემოთავაზებულ CSG1-ის უბანსა და მილსადენის დერეფანთან შედარებით, მოცემულ ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობა უფრო მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს ტერიტორია ბევრმა ადამიანმა დატოვა და ამიტომ, სახნავი მიწისა და საძოვრების სიმცირე არ შეინიშნება.

თითქმის ყველა შინამეურნეობა CSG2 სადგურთან მდებარე დასახლებებში (93%) ფლობს მიწის ნაკვეთს. მცირე რაოდენობით მოსახლეობა ქირაობს მიწას ან იყენებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთებს. მიწის შეძენისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც ძალიან მცირე სირთულეებია.

შინამეურნეობების დაახლოებით 20% ფლობს გამოუყენებელ მიწას და ასეთი ნაკვეთების მიახლოებითი ფართობია 0.6 ჰექტარი თითოეულ შინამეურნეობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია პოტენციური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის. ყველაზე პატარა ნაკვეთებია ბაღჩები, ვენახები და ხეხილის ბაღები. შინამეურნეობების უმრავლესობა (დაახლოებით 74%) ფლობს მიწას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად გამოიყენება. ამ ნაკვეთების საშუალო ფართობია 0.45 ჰექტარი. შინამეურნეობების თითქმის 15%-ს აქვს სათიბი და საძოვრები. ეს უფრო დიდი ნაკვეთებია - დაახლოებით 1.3 ჰექტარი ფართობის. ამ მიწის ფართობები დიდად არ განსხვავდება RAP Completion Audit (2010) ანგარიშში აღნიშნული მონაცემებისგან, აქვე მოიაზრება შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც არასასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობენ.




**სურათი 8-26: მიწის მფლობელობა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონაში**

**ცხრილი 8-5: მიწის მფლობელობა, გამოყენება და ნაკვეთის საშუალო ზომა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონაში**

| მიწის ნაკვეთის სახეობა/გამოყენება | მფლობელობა | ნაკვეთის საშუალო ზომა ($მ^2$) |
|---|---|---|
| საცხოვრებელი ფართი (სახლი და ეზო) | 92.1% | 348 |
| მფლობელობაშია, მაგრამ არ იყენებენ | 21.6% | 6074 |
| სახნავი მიწა | 73.7% | 4466 |
| ვენახი, ხილის ბაღი ან ბოსტანი | 4.9% | 349 |
| სათიბები /საძოვრები | 14.9% | 13045 |

შენიშვნა: 1ჰა = 10,000$მ^2$

შინაური ცხოველები სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ადგილობრივი ნიადაგისა და მცენარეული საფარის გამო ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვს. კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების ნახევარი (50%) ფლობს 2-3 ძროხას. შინამეურნეობების 10%-ს ჰყავს ცხვარი (7-8 ცხვარი თითოეულ შინამეურნეობაზე). ოჯახებს ასევე ჰყავთ მცირე რაოდენობით ცხენები, ღორები და თხები. შინამეურნეობების დაახლოებით 40%-ს ჰყავს შინაური ფრინველი (საშუალოდ 26 ქათამი თითოეულ ოჯახზე). შინამეურნეობების მხოლოდ 1%-ია დაკავებული მეფუტკრეობით (საშუალოდ 8 სკა თითო ოჯახზე).

**მიწათმფლობელობა**

CSG2 სადგურის ტერიტორია დაახლოებით 40 ჰექტარს მოიცავს და მიწის მფლობელობისა[7] და გამოყენების კომპლექსურ მოზაიკას წარმოადგენს. აქ არის საერთო მფლობელობაში არსებული კერძო (ავრანლოს დასახლება), მუნიციპალური და სახელმწიფო მიწა.

CSG2 სადგური ოფიციალურად კლასიფიცირებულია, როგორც საძოვარი, თუმცა შეიძლება მისი გამოყენება სხვა დანიშნულებითაც, მაგ., თივის საწარმოებლად. საქონელი (50-70 თავი პირუტყვისგან შემდგარი ორი ჯოგი) ყოველდღიურად იყენებს საძოვრის ტერიტორიას. დღის ადრეულ მონაკვეთში ძოვებას ადგილი აქვს ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში (უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაწილში ჭარბტენიანი ტერიტორიაა და აქ საქონელი წყალს სვამს), მოგვიანებით საქონელი ტერიტორიის სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებზე გადადის და შემდეგ უკან ბრუნდება. საძოვარი სეზონურია, რადგან ზამთარში ამ ტერიტორიაზე მისვლა გართულებულია.

აღნიშნული საქონელი ავრანლოს მოსახლეობას ეკუთვნის. პირუტყვი ტყეშიც გადაადგილდება და საქონელიც და ცხვარიც ძოვს ბალახს ტყის სამხრეთით. საქონლის გარკვეულ ნაწილს შეიძლება ფლობდეს სხვა დასახლებების მოსახლეობაც, მაგრამ ძირითადად ის ავრანლოს მაცხოვრებლებს ეკუთვნის. ამ ტერიტორიაზე ცხვარს შედარებით იშვიათად აძოვებენ (დაახლოებით კვირაში ორჯერ), თუმცა ცხვარიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდება ძოვების პროცესში. ცხვრის მფლობელობა დაზუსტებული არ არის, რადგან ცხვრის ძოვება უფრო ნაკლებად ფორმალური და ნაკლებად რეგულირებადი სისტემაა, ვიდრე მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში. ცხვრის ფარა შეიძლება იყოს სხვა, ახლოს მდებარე დასახლებებიდან, თუნდაც წალკის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან (მაგ., მარნეულიდან ან გარდაბანიდან), რომელიც დროებით გადმოიყვანეს საძოვარზე, სადაც დაგეგმილია CSG2 სადგურის განთავსება.

თივის მომზადება უშუალოდ ამ ტერიტორიაზე არ ხდება. საძოვრისთვის გამოიყენება ბალახი, მაგრამ არის ნიშნები იმისა, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში ეს პრაქტიკა შესაძლოა არსებობდა. ამჟამად თივის წარმოება ხდება ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებულ ფერდობზე. ჩრდილოეთით, მდინარე ქციასა და საზღვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა არ ხდება.

1950-იან წლებში წიწვოვანი ხეების პლანტაციები გააშენეს სადგურის ტერიტორიის გარშემო არსებულ ფერდობებზე. აქტიური სატყეო მეურნეობის ნიშნები თითქმის არ ფიქსირდება.

ტერიტორიის სამხრეთით მდებარე ტყის ზოლი ზოგჯერ ნადირობისთვის გამოიყენება. აქ ადგილობრივი მაცხოვრებლები ძირითადად საკვებს მოიპოვებენ, მაგრამ გართობის მიზნით ნადირობასაც აქვს ხოლმე ადგილი. გარდა ამისა, შეინიშნება შეშის შეგროვების ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ ხის მოჭრა უკანონოა, იშვიათად მაინც არის ხოლმე მსგავსი შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ საშეშე მასალას ძირითადად ყიდულობენ და არ აგროვებენ.

მეთევზეობის შემთხვევები ტერიტორიის ქვედა ნაწილში დაფიქსირდა, სადაც მდინარე ქცია ვიწრო, დატერასებულ ხეობაში მიედინება (რეხადან დინების მიმართულებით).

[7] მიწის მფლობელობის და სარგებლობის შესახებ მონაცემები მიღებული იქნა საჯარო რეესტრის უწყებიდან. სადაც მიწა დარეგისტრირებული არ არის, BP-ის კონტრაქტორმა ჩაატარა კვლევა და სათანადო პროცედურების მიხედვით შეადგინა საკადასტრო ნახაზები

მეთევზაობა სეზონურია და მას მისდევენ როგორც პირადი მოხმარების, ასევე გაყიდვისა და გართობის მიზნებისთვის. არა მხოლოდ ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მაცხოვრებლები მისდევენ მეთევზეობას მდინარე ქციაში, სხვა დასახლებების მოსახლეობაც მოდის ამ ტერიტორიაზე სათევზაოდ.

## *PRMS სადგური*

### მიწათსარგებლობა

შინამეურნეობების დაახლოებით 78% ფლობს მიწას. თითქმის არავინ ქირაობს მიწის ნაკვეთს. CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებისგან განსხვავებით, აქ რესპოდენტთა 20% აცხადებს, რომ მიწა ძალიან ძვირია შეძენის ან იჯარით აღების თვალსაზრისით. 5% კი აცხადებს, რომ მიწა არ არის მათთვის ხელმისაწვდომი.

შინამეურნეობების დაახლოებით 22% ფლობს გამოუყენებელ მიწას. ასეთი მიწის მიახლოებითი ფართობია 3.4 ჰექტარი თითოეულ შინამეურნეობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის საკმაოდ მეტი ნაწილია ხელმისაწვდომი პოტენციური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ვიდრე CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. ყველაზე პატარა ზომის მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს ბაღები. შინამეურნეობების 16.5% ფლობს ვენახს / ხეხილის ბაღს. ამ ნაკვეთების საშუალო ფართობი 0.25 ჰექტარია. შინამეურნეობების უმრავლესობა (68%) ფლობს მიწას მოსავლის მოსაყვანად; მიწის საშუალო ფართობია 0.40 ჰექტარი. ოჯახების დაახლოებით 5%-ს აქვს მიწა, რომელსაც იყენებს თავის მოსამზადებლად ან საძოვრად (საშუალო ფართობი - 0.3 ჰა) (იხ. სურათი 8-27 და ცხრილი 8-6).




**სურათი 8-27: მიწის მფლობელობა PRMS ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში**

**ცხრილი 8-6: მიწის მფლობელობა, გამოყენება და საშუალო ფართობი PRMS ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებებში**

| მიწის ნაკვეთის სახეობა/გამოყენება | მფლობელობა | ნაკვეთის საშუალო ფართობი (მ2) |
|---|---|---|
| საცხოვრებელი ფართი (სახლი და ეზო) | 100.0% | 385 |
| მფლობელობაშია, მაგრამ არ იყენებენ | 21.6% | 34126 |
| სახნავი მიწა | 68.0% | 4071 |
| ვენახი, ხილის ბაღი ან ბოსტანი | 16.5% | 2449 |
| სათიბები / საძოვრები | 5.0% | 2823 |

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ეკონომიკისთვის შინაური ცხოველები მნიშნელოვანია, ამ დასახლებებში უფრო ნაკლები ოჯახი ფლობს საქონელს, ვიდრე CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. მეფრინველეობა და მესაქონლეობა პოპულარულია შინამეურნეობების 40%-თვის (საშუალოდ 12 ფრინველი და იგივე პროპორციით საქონელი-საშუალოდ 2 ძროხა თითოეულ შინამეურნეობაზე). ადგილობრივ ეკონომიკაში უფრო დიდი წვლილი შეაქვს მევენახეობას, მეხილეობასა და მებოსტნეობას და შინაური საქონლის როლი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის მონაცემები თითქმის იდენტურია ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების ორ კატეგორიაში. მეფუტკრეობის ფაქტები არ დაფიქსირდა.

**მიწის მფლობელობა**

PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში მიწის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის. არის ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის საკუთრებაში მყოფი მიწა და გარკვეული რაოდენობის კერძო მიწის ნაკვეთები. ამ ნაკვეთებს ძირითადად სოფ. ნაოხრების მაცხოვრებლები ფლობენ. შედარებით მცირე ნაკვეთები ეკუთვნის სოფ. არალის მოსახლეობას.

მიწის უდიდესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. მხოლოდ 5 ნაკვეთია, რომელსაც არასასოფლო-სამეურნეო სტატუსი აქვს. ტერიტორიის საზღვრებში ადგილი აქვს ძოვებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას.

შემოთავაზებული ტერიტორიის საზღვრის გარეთ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები დიდ ფართობზეა განლაგებული, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიისა, სადაც ნაკვეთები საერთოდ არ არის.

### *8.5.5 მიწათსარგებლობის და მიწის მფლობელობის სენსიტიურობები*

ქვემოთ შეჯამებულია ფონური მდგომარეობის კომპონენტები, რომლებიც პროექტის კონტექსტში მოიაზრება როგორ ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის მშენებლობით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინებით:

- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები პრეოქტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია, რამდენადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გარკვეულ დონეზე ჩართულია სოფლის მეურნეობაში (ზოგიერთ დასახლებაში თითქმის 100%) და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქტს მნიშვნელოვანი

წვლილი აქვს მოსახლეობის საარსებო წყაროში (საკვები პირადი მოხმარებისთვის და ზედმეტი პროდუქტის გაყიდვა).

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები ძირითადად გამოიყენება საძოვრებად და მნიშვნელოვანი „კომუნალური" რესურსია
- მუდმივად დაკავებული მიწა (მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზები):
    - ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლის დაკარგვა (CSG1 და PRMS)
    - საძოვრების მიწით სარგებლობის შესაძლებობის დაკარგვა (დგუშის სადგური, CSG2, CSG2 მისასვლელი გზა და PRMS)
- დროებით დაკავებული მიწა (მხოლოდ მშენებლობის ფაზაში):
    - ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლის დაკარგვა (მილსადენის დერეფანი, მილსადენის დროებითი ინფრასტრუქტურა და AGI-ები)
    - საძოვრების მიწით სარგებლობის შესაძლებობის დაკარგვა (CSG2-ის დროებითი ინფრასტრუქტურა)
- პირუტყვის გადაადგილების შეზღუდვა.

## 8.6 ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები

ანგარიშის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში დასაქმების, უნარ-ჩვევების პროფილების, შინამეურნეობების საარსებო საშუალებების, შემოსავლებისა და დანახარჯების კანონზომიერებებზე. აქ იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები და მათი ფარდობითი წვლილი ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი დასახლებების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაში.

### *8.6.1 კამერალური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია*

მეორედი მონაცემების ძირითადი წყაროები ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე შემდეგია:

- სხვადასხვა პროფილის მქონე ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები (მაგ., მსოფლიო ბანკი, 2009)
- ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან (საქსტატისგან)
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის განსახლების სამოქმედო გეგმის აუდიტი (სადაც მოცემულია ზეგავლენის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების 2008 წლის კვლევა, რომელიც მოიცავს ზოგიერთ SCPX დასახლებას).

დასახლებების დონეზე წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება დასახლებებისა და შინამეურნებობების დონეზე ჩატარებულ კვლევებს, რომლებიც 2011 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ჩატარდა.

*ეროვნული დონის ეკონომიკური კონტექსტი*

საქართველო მცირე ზომის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაა კავკასიაში. იგი ხასიათდება რელიეფის მრავალფეროვნებით; ქვეყანას გააჩნია მდიდარი ბუნებრივი

რესურსები, როგორიცაა წყალი და მინერალური საბადოები. გაეროს მიერ საქართველო კლასიფიცირებულია, როგორც ქვეყანა საშუალოზე დაბალი შემოსავლით[8].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და წარმატებული ყოფილ საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პოლიტიკურმა არეულობამ კატასტროფული შედეგი გამოიღო საქართველოს ეკონომიკაზე. მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). 1990-1994 წლებში მშპ-ს 70%-იანი შემცირება დაფიქსირდა. 1996 წლისთვის კი ქვეყნის ეკონომიკა 1989 წლის მაჩვენებლის 1/3-მდე დაეცა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2003 წელს ახალი მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში და დაიწყო რეფორმების გატარება პრივატიზაციის, თავისუფალი ბაზრისა და შემცირებული რეგულაციის მიმართულებით. დაიწყო ბრძოლა კორუფციასთან და ეკონომიკა და ბიუჯეტიც სტაბილური გახდა.

**უსაფრთხოების მიმოხილვა**

2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაახლოებით 158 000-მა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი. რუსეთის ჯარები ახლაც არიან განლაგებული აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე (კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და საჩხერეს მუნიციპალიტეტები) მდგომარეობა დასტაბილურდა, მაგრამ კვლავ არის გარკვეული პრობლემები უსაფრთხოების თვალსაზრისით და კონფლიქტის ლოკალური გამწვავების პოტენციური საფრთხე.

**ეროვნული ეკონომიკა**

საქართველოს ეკონომიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ბოლოდროინდელი წარმატებაა მშპ-ს ზრდა გასული ათწლეულის განმავლობაში. თუმცა ამ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვალოთ 2008-2009 წლები, რადგან რუსეთთან ომმა მთლიან შიდა პროდუქტზე ძალიან ნეგატიურად იმოქმედა. მაგრამ 2010 წლიდან სტაბილურად დაიწყო მშპ-ს ზრდა და 6.3%-ს მიაღწია, შემდეგ ისევ შენელდა ზრდის ტემპი. 2011 წლის მეორე მეოთხედის ბოლოს მშპ-მ 5% შეადგინა (მესამე მეოთხედში 7.4%-ს მიაღწია), გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად. მშპ სულ მოსახლეზე იზიარებდა ზოგადად მშპ-ს ტენდენციას. 2005 წელს ეს მაჩვენებელი 2700 დოლარს უდრიდა და შემდეგ 4700 დოლარი გახდა. 2009 წელს ნეგატიური ზრდა დაფიქსირდა (საქსტატის ვებგვერდი: http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng).

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში ორი ძირითადი სექტორის წვლილი დაფიქსირდა. ქვემოთ მოცემულია ეს წყაროები. თითოეული სექტორის ციფრული მაჩვენებელი განსხვავებულია, მაგრამ შესაბამისი წვლილი შედარებით ახლოს დგას ერთმანეთთან (იხ. ცხრილი 8-7).

**ცხრილი 8-7: საკვანძო სექტორების წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2010 წელი**

| სექტორი | % წვლილი მშპ-ში (მსოფლიო ბანკი) | % წვლილი მშპ-ში (სტატისიკის სამსახური) |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 9.81 | 7.3 (წინასწარი) |
| მრეწველობა | 20.97 | 14.7 |
| მომსახურება | 69.21 | 78 |

[8] იხილეთ მსოფლიო ბანკი: http://data.worldbank.org/about/country-classifications/country-and-lending-groups#Lower_middle_income

წყარო: მსოფლიო ბანკი, 2010 და საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური(Geostat), 2011

თითოეულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (ქვემოთაა ნახსენები) არ ასახავს შესაბამის წვლილს მშპ-ში:

- სოფლის მეურნეობა - 55.6%
- მრეწველობა - 8.9%
- მომსახურება - 35.5% (ეს 2006 წლის მონაცემებია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მონაცემები მნიშვნელოვნად შეცვლილიყო ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით).

როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე დიდი რაოდენობით ადამიანია დასაქმებული, მაგრამ მისი წილი მშპ-ში ყველაზე ნაკლებია. ერთ-ერთი მიზეზია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე. ადგილობრივად ნაწარმოები პროდუქტის უმეტესი ნაწილი შიდა მოხმარებისთვისაა გათვალისწინებული და არ გადის ბაზრებზე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ინფლაციის დონე საკმაოდ მაღალი იყო და მცირე ინტერვალებით იმატებდა და ისევ იკლებდა ეკონომიკური კრიზისი ზეგავლენით. 2005-2007 წლებში ინფლაცია 6.2%-დან 11%-მდე გაიზარდა. 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ 2009 წელს 3%-მდე შემცირდა. 2010 წელს ინფლაცია სწრაფი ტემპით გაიზარდა 11.2%-მდე. 2011 წლის ნოემბრის ბოლოსთვის კი საგრძნობლად შემცირდა და სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 1.9% შეადგინა.

ინფლაციის მაღალმა მაჩვენებელმა სერიოზული პრობლემები გამოიწვია განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ფიქსირებულ შემოსავალზე არიან დამოკიდებული და ამ შემოსავლის გაზრდის ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვთ. ეს ადამიანები არიან პენსიონერები, აგრეთვე საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულზე დამოკიდებული ხალხი და დაბალი ხელფასის მქონე ადამიანები. ინფლაციის ტემპის გამო ამ ადამიანების შემოსავალი სულ უფრო და უფრო კარგავდა მსყიდველუნარიანობას და მცირდებოდა ცხოვრების დონის სტანდარტი. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა არათანაბრად მოექცა ინფლაციის ზეგავლენის ქვეშ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა დამოუკიდებლობის და თვითუზრუნველყოფის მაღალი დონით გამოირჩევა.

ცხრილი 8-8 წარმოადგენს შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლების შეჯამებას 2000-2009 წლების პერიოდში.

**ცხრილი 8-8: ეკონომიკის შერჩეული ინდიკატორები, 2000-2009 წლები**

| | 2000 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ 2003 წლის ფასებში, მლნ ლარი | 7584.1 | 8531.0 | 9065.9 | 9935.6 | 10868 | 12208.8 | 12491.4 | 11999.5 |
| % ცვლილება (წლიური) | - | 11.1% | 5.9% | 9.6% | 9.4% | 12.3% | 2.3% | -4.9% |
| სოფლის მეურნეობისრეალური მშპ, მლნ ლარი | 1170 | 1377.3 | 1269 | 1421.5 | 1255.2 | 1365.7 | - | - |
| % ცვლილება (წლიური) | - | 10.3% | -7.9% | 12.0% | -11.7% | 8.8% | - | - |
| ყველა პუნქტის CPI | 104.6 | 107 | 107.5 | 106.2 | 108.8 | 111 | 105.5 | 103 |

*წყარო: RAP Completion Audit (2010) ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, საქართველო (2005, 2007, 2009) და მსოფლიო ბანკის (2009) საქართველოს სიღარიბის შეფასება, 2009

### 8.6.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის შედეგები

ლიტერატურულ წყაროებში არსებული ინფორმაცია მოძველებულია და საჭირო იყო მისი დადასტურება და განახლება, განსაკუთრებით SCPX-ის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ დასახლებებში არსებული ლოკალური პირობების თვალსაზრისით.

### 8.6.3 არსებული მდგომარეობა

*ეროვნული, რეგიონალური და მუნიციპალური დონე*

**დასაქმება და საარსებო საშუალებები**

ცხრილი 8-9 მოცემულია 2000-2009 წლებში დასაქმების ძირითადი ინდიკატორები. ამ პერიოდის განმავლობაში უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდეგ, 2010 წელს შემცირდა. უმუშევრობის დონე განსხვავებულია სოფლებსა და ურბანულ დასახლებებში. ურბანულ დასახლებებში უმუშევრობის უფრო მაღალი დონე ფიქსირდება, რადგან სოფლებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია მეურნეობაში და არა ხელფასიან სამუშაოზე. თუმცა ბევრი ასეთი ადამიანი თავს უმუშევრად მიიჩნევს.

**ცხრილი 8-9: დასაქმების შერჩეული მაჩვენებლები, 2000-2009 წლები (%-ში) (n/a = ხელმიუწვდომელი)**

| | 2000 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უმუშევრობის დონე - ყველა (პროცენტი) | 10.3 | 11.5 | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 |
| უმუშევრობის დონე - ქალაქი (პროცენტი) | 18.4 | 22.1 | 24.3 | 26.3 | 26.1 | 23.9 | 28.9 | 28.8 | n/a |
| უმუშევრობის დონე სოფელი (პროცენტი) | 3.9 | 4.1 | 4.2 | 5.0 | 4.8 | 5.4 | 7.1 | 7.8 | n/a |

*წყარო: RAP Completion Audit (2010) ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, საქართველო (2005, 2007, 2009) და მსოფლიო ბანკის (2009) საქართველოს სიღარიბის შეფასება, 2009 და საქსტატის ვებ-გვერდი, 2011.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად უმუშევრობა 2004 წელს 12.6% იყო, ხოლო 2010 წელს მაჩვენებელი 16.3 %-მდე გაიზარდა (საქსტატი, 2011). თუმცა, იმ ხალხის რაოდენობა, რომლებიც თავს უმუშევრად მიიჩნევს, თითქმის 30%-ია. ამ შეუსაბამობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ოფიციალური სტატისტიკა (და საერთაშორისო დონეზე აღიარებული განმარტებები, რომლებიც ადარებს და აანალიზებს სტატისტიკას) სოფლის მეურნეობით დაკავებულ ადამიანებს „დასაქმებულად" განიხილავს, თუმცა ბევრი ადამიანი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი 16%-ია, თუმცა რეალურად უმუშევრობა უფრო დიდია (გაერო, 2008). ბევრი ადამიანი, რომელიც თვით-დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ სხვა სახის სამუშაოს შესრულებაც, მაგრამ სამსახურს ვერ პოულობენ.

2004-2010 წლებში უმუშევრობა გაიზარდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა კი 2 041 000-დან 1 944 900-მდე შემცირდა. დასაქმებულ ადამიანთა რიცხვმაც იკლო.

უმუშევრობა არაპროპორციულად მოქმედებს ახალგაზრდებზე. 15-24 ასაკობრივი ჯგუფის 30-35% დაუსაქმებელია. ზოგადად, ქალებს შორის უმუშევრობა უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებს შორის (2008 წლის მონაცემები, CIA, 2011).

**გენდერული ბალანსი**

2007 წლის შემდეგ ახალი ინფორმაცია არ არსებობს საქართველოში არსებულ გენდერულ ბალანსზე. 2007 წელს უფრო მეტი მამაკაცი (63%) იყო დასაქმებული, ვიდრე ქალი (48%) და ქალების შემოსავალი გაცილებით ნაკლები იყო (საშუალოდ 40%-ით) მამაკაცების შემოსავალთან შედარებით. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, მაგრამ სხვაობა მცირდება. 2005 წელს ქალის შემოსავალი მამაკაცის შემოსავლის დაახლოებით ნახევარი იყო. სხვაობა ნაკლებია ზოგიერთ სექტორში, მაგ., განათლებასა და უძრავ ქონებაში. ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა, ქალების შემოსავალი ოდნავ მეტია მამაკაცებთან შედარებით (იხ. ცხრილი 8-10). ეს ტენდენცია 2008-დან 2010 წლამდე პერიოდში დაფიქსირდა. ამ დროს მამაკაცების საშუალო შემოსავალი შემცირდა, ქალების შემოსავალი კი აგრძელებდა ზრდას. თუმცა, ჯერ-ჯერობით ძალიან ადრეა იმის დაბეჯითებით თქმა, ეს კონკრეტული ტენდენციის დასაწყისია თუ დროებითი ფენომენი.

ქალებს უფრო უჭირთ სამსახურის პოვნა. ისინი ნაკლებ ფულს გამოიმუშავებენ; გარდა ამისა, მათ უფრო მეტად უწევთ უხელფასო შვებულებით სარგებლობა, მაგ., ბავშვის მოვლის მიზეზით. ეკონომიკური თვალსაზრისით, გენდერული დისბალანსი უფრო დიდია სოფლად და პატარა ზომის ქალაქებში, ვიდრე ურბანულ დასახლებებში. ხანდაზმული ქალების უმრავლესობა მარტო ცხოვრობს. როგორც წესი, ქალები უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ, ვიდრე მამაკაცები. სუმბაძის (2008) მონაცემებით, ხანდაზმული ქალები შინამეურნეობების 1.5%-ს შეადგენენ. ქალები რაოდენობრივადაც ჭარბობენ მთავრობის დახმარების მიღების კანდიდატებს შორის (55,3% - ქალები, 44.7%-მამაკაცები) და იმათ შორისაც, ვინც უკვე მიიღო დახმარება (56.7% - ქალები; 43.3% მამაკაცები). არაფორმალურ სამსახურშიც ქალების რაოდენობა მამაკაცებზე მეტია. ისეთ არაოფიციალურ სფეროებში დასაქმებული ქალები, როგორიცაა წვრილი ვაჭრობა, შინამომსახურეობა და ძიძობა, უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგანან, რომ სიღარიბეში აღმოჩნდნენ, ვიდრე მამაკაცები.

**ცხრილი 8-10: მამაკაცებისა და ქალების საშუალო თვიური შემოსავალი 2005-2010 წლებში**

| საშუალო თვიური შემოსავალი (ლარებში) | 2005 | | | 2007 | | | 2008 | | | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | |
| სექტორების მიხედვით | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი |
| სულ | 204.2 | 131.1 | 267.9 | 368.1 | 240.2 | 475.6 | 534.9 | 367.7 | 678.4 | 597.6 | 426.6 | 742.8 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა | 128.9 | 105.5 | 136.0 | 184.9 | 166.9 | 191.8 | 299.3 | 267.1 | 312.7 | 279.2 | 289.1 | 276.1 |
| თევზაობა | 93.0 | 67.4 | 96.9 | 168.8 | 102.8 | 177.1 | 211.1 | 175.8 | 217.5 | 341 4 | 171.0 | 363.2 |
| სამთო საქმე | 210.8 | 148.7 | 224.5 | 657.7 | 727.6 | 645.0 | 808.9 | 795.1 | 811.4 | 812.3 | 559.9 | 849.4 |
| გადამუშავება | 212 1 | 147.7 | 243.5 | 357.7 | 246.4 | 411.0 | 510.5 | 354.1 | 585.6 | 510.6 | 373.2 | 577.2 |
| ენერგიის მიღება და დისტრიბუცია | 341.5 | 299.4 | 354.2 | 533.8 | 470.5 | 559.0 | 738.3 | 679.1 | 766.7 | 822.9 | 716.0 | 849.8 |
| მშენებლობა | 296.4 | 204.1 | 303.3 | 494.5 | 341.0 | 503.2 | 597.3 | 515.2 | 602.6 | 671.0 | 470.0 | 683.3 |
| გაყიდვები | 173.6 | 134.2 | 205.5 | 355.5 | 254.2 | 445.5 | 510.6 | 399.2 | 601.9 | 583 6 | 439.3 | 699.7 |
| სასტუმროები და რესტორნები | 108.2 | 91.3 | 130.5 | 238.4 | 181.4 | 329.5 | 333.6 | 252.9 | 473.9 | 377 5 | 326.9 | 458.7 |

| საშუალო თვიური შემოსავალი (ლარებში) სექტორების მიხედვით | 2005 | | | 2007 | | | 2008 | | | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | | სულ | დაყოფა | |
| | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი | | ქალი | მამაკაცი |
| ტრანსპორტი და კომუნიკაციები | 265.7 | 197.9 | 288.9 | 492.3 | 407.5 | 519.5 | 667.7 | 531.7 | 711.2 | 787.6 | 556.4 | 859.4 |
| საბანკო საქმე და ფინანსები | 1049.2 | 1025.0 | 1077.2 | 1014.5 | 878.1 | 1190.4 | 1343.5 | 1195.1 | 1508.9 | 1276.7 | 1008.8 | 1668.2 |
| უძრავი ქონება | 211.2 | 148.2 | 258.4 | 405.8 | 316.4 | 447.8 | 540.1 | 423.8 | 597.3 | 596.5 | 507.7 | 634.3 |
| სამთავრობო სტრუქტურები | 342.0 | 259.5 | 374.4 | 585.4 | 467.0 | 622.2 | 869.5 | 701.1 | 918.2 | 973.0 | 855.5 | 1010.8 |
| განათლება | 92.5 | 87.3 | 109.5 | 153.0 | 142.1 | 191.4 | 243.7 | 232.4 | 286.3 | 305 | 288.5 | 367.6 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 99.6 | 91.7 | 130.0 | 206.4 | 181.6 | 298.0 | 305.8 | 263.0 | 460.6 | 446 8 | 361.2 | 725.6 |
| კომუნალური, სოციალური და პირადი მომსახურება | 113.4 | 94.3 | 140.3 | 260.6 | 207.3 | 324.5 | 408.7 | 338 1 | 482.7 | 460.1 | 392.3 | 529.8 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011

*შემოსავალი და სიღარიბე*

ბოლო 6 წლის განმავლობაში შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 320.4 ლარიდან (2004 წელი) 651.2 ლარამდე (2010 წელი) გაიზარდა. ინდივიდუალური საშუალო თვიური შემოსავალიც გაიზარდა 84.7 ლარიდან (2004 წელი) 178.6 ლარამდე (2010 წელი). არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები შინამეურნეობის შემოსავლებს შორის ურბანულ დასახლებებსა და სოფლებში (იხ. ცხრილი 8-11) და რეგიონებს შორის.

**ცხრილი 8-11: საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება ლარებში თითოეულ შინამეურნეობაზე ურბანულ და სოფლის დასახლებებში, 2006-2010 წლები**

| შინამეურნეობის მდებარეობა | წელი | | |
|---|---|---|---|
| | 2006 | 2008 | 2010 |
| სოფელი | 386.4 | 603.4 | 733.8 |
| ქალაქი | 384.2 | 477 | 568.1 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

2006-2010 წლებში ურბანულ და სოფლის დასახლებებში შემოსავლები გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს, სოფლებში მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსავლები ურბანულ დასახლებებთან შედარებით. 2006 წელს თანაფარდობა იყო 1:1, 2010 წელს კი - 0.77:1. 2008 წლიდან მოყოლებული შემცირება შედარებით შენელდა. როგორც მიიჩნევა, სოფლებში მოსახლეობა უფრო მეტადაა დამოკიდებული არაფულად შემოსავალზე, პენსიებსა და სხვა სახის სოციალურ დახმარებაზე, ვიდრე ქალაქში. სოფლის მაცხოვრებლების შინამეურნებობებში ნაღდი ფულით შემოსავალი არ ითვალისწინებს პირადი მოხმარების და საარსებო მნიშვნელობის პროდუქტებს. მსოფლიო ბანკის 2009 წლის ანგარიშის „სიღარიბის შეფასება საქართველოში" თანახმად, სოფლებში საკუთარი მოხმარების პროდუქცია შეადგენდა შინამეურნეობებისთვის გათვალისწინებული მთელი შემოსავლის 32.4%-ს.

ურბანულ მოსახლეობას უფრო მაღალი შემოსავალი აქვს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის სახით, ვიდრე სოფლის მაცხოვრებლებს, თუმცა 2006-2010 წლებში სხვაობა შემცირდა შემდეგნაირი პროპორციით: 3:1-დან 2:1-მდე (ქალაქი:სოფელი). ეს, სავარაუდოდ, ასახავს სოფლებიდან მოსახლეობის გადინების ზრდას ბოლო წლებში.

მსოფლიო ბანკის 2009 წლის ანგარიშში „სიღარიბის შეფასება საქართველოში" ნათქვამია, რომ სოფლებში შემოსავლების ზრდა ძირითადად უკავშირდება მთავრობის სოციალური დახმარების ზრდას (პენსიები და სხვა სახის სოციალური დახმარება). სასოფლო-სამეურნეო წილი შინამეურნეობების შემოსავალში უცვლელი იყო ამ პერიოდში.

სიღარიბის შეფასება რთულია. ოფიციალური მონაცემები ცხადყოფს, რომ ოჯახების 54% 2003 წელს და 52% 2004 წელს სიღარიბეში ცხოვრობდა. 2005 წლის შემდეგ არ არსებობს ანალოგიური მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და მსოფლიო ბანკი მიუთითებენ, რომ 2003-2007 წლებში სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა ორი ორგანიზაცია მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდით ხელმძღვანელობს და ამიტომ, პირდაპირი შედარების გაკეთება ძნელია. საქსტატის ინფორმაციით, სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება შემდეგნაირია - 2004 წლის 24.6%-იანი მაჩვენებელი 2007 წელს 21.3%-მდე შემცირდა, თუმცა, დიდია იმის ალბათობა, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა საპირისპირო შედეგი მოიტანა.

სიღარიბის შემთხვევები უფრო მეტია სოფლებში, ვიდრე ქალაქებში. 2007 წლის მონაცემებით საქართველოში სოფლის მაცხოვრებელთა 29.7%, ხოლო ქალაქის მაცხოვრებელთა 18.3% სიღარიბეში ცხოვრობდა. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები შემდეგნაირი იყო: სოფლებში - 12.4% და ქალაქებში - 6.7%. *მსოფლიო ბანკის 2009 წლის ანგარიშში „სიღარიბის შეფასება საქართველოში" აღნიშნულია, რომ „საქართველოში სიღარიბე აგრძელებს გავრცელებას სოფლის დასახლებებში. ამის ძირითადი მიზეზები ისაა, რომ: ა) ეკონომიკური ზრდა არ შეეხო სოფლის მეურნეობას, ბ) დასაქმება სოფელში შეადგენს მთელი დასაქმების მაჩვენებლის 55%-ს და, ძირითადად, საარსებო საშუალების ხასიათს ატარებს, გ) სოფლის მეურნეობის სექტორის შემოსავლები სტაგნაციას განიცდიდა 2003-2007 წლებში და საშუალოზე დაბალ შემოსავლად მიიჩნევა ეკონომიკაში."*

მთავრობის ამჟამინდელი მონაცემები განსხვავებულ პერსპექტივას გვპირდება ღარიბი მოსახლეობის აბსოლუტურ რაოდენობასთან მიმართებაში, თუმცა ადასტურებს, რომ სიღარიბის მზარდი ტენდენცია გრძელდება. საქსტატის 2011 წლის მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 6.4%-დან 9.7%-მდე გაიზარდა 2006-2010 წლებში. ეს პროცენტული მაჩვენებელი ემთხვევა იმ მაჩვენებელს, რომელიც აღნიშნავს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა რამდენმა ადამიანმა მიიღო მთავრობისგან სოციალური დახმარება. ვინც ამ სახის დახმარებას იღებს, ის პირი ან შინამეურნეობა კლასიფიცირდება, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი. საარსებო მინიმუმი ყოველთვიურად იცვლება. ინფლაციის გათვალისწინებით, ზრდა ძალიან მცირეა. 2011 წლის სექტემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმი განისაზღვრა 156.6 ლარით. 2011 წლის აგვისტოში 5-წევრიანი ოჯახისთვის საარსებო მინიმუმი იყო 309 ლარი. პატარა ოჯახები, როგორც წესი, უფრო ღარიბები არიან დიდ ოჯახებთან შედარებით.

„სოციალური დახმარებების" წილი მთლიანი ფულადი შემოსავლების თვალსაზრისით 6.8%-დან (2003 წელი) 17.2%-მდე გაიზარდა 2007 წელს. RAP Completion Audit (2010) ანგარიშის შინამეურნეობების კვლევის თანახმად, ოჯახები აცხადებენ, რომ გაზრდილი პენსიები და სოციალური დახმარებები წარმოადგენს მთავარ ფაქტორს მათი შემოსავლების გაუმჯობესებაში.

*CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

**დასაქმება და საარსებო საშუალებები**

მოსახლეობის დაახლოებით 10% პენსიონერია. ეს პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე მთიან დასახლებებში, CSG2 სადგურის / მისასვლელი გზისა და PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში. ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ეროვნული საშუალო მაჩვენებელი (19%). ყოველივე ეს ასახავს ამ დასახლებების და კერძოდ, ურბანული დასახლებების დემოგრაფიულ პროფილს. რესპონდენტების დაახლოებით 30% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ეს ციფრი გაცილებით მაღალია, ვიდრე ოფიციალური მაჩვენებელი, მაგრამ შეესაბამება მსგავსი კვლევების შედეგებს. მთიან დასახლებებთან შედარებით, მცირე რაოდენობით ადამიანია ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში (იხ. სურათი 8-27). თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი დაქირავებული მშრომელი (რესპონდენტების დაახლოებით 35%) დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში. და ბოლოს, რესპონდენტების 5% აცხადებს, რომ თვითდასაქმებულია.




**სურათი 8-28: დასაქმების სტატუსი და სექტორი CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

ხელფასზე მომუშავე დასაქმებულთაგან კერძო სექტორში უფრო მეტი ადამიანი მუშაობს (დაახლოებით 75%), ვიდრე სახელმწიფო სექტორში (დაახლოებით 25%. ამ კატეგორიაში ძირითადად განათლების, სახელმწიფო დაცვის და ჯანდაცვის სექტორებში დასაქმებული ადამიანები არიან). სავსებით შესაძლებელია, რომ მომსახურების სექტორში მომუშავე ზოგიერთი რესპონდენტი სახელმწიფოს მიერაა დასაქმებული, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეთი რესპონდენტები მცირე რაოდენობით არიან. კერძო სექტორში მომსახურების სფერო ყველაზე პოპულარულია (დაახლოებით 24%). შემდეგ მოდის წარმოება (დაახლოებით 18%) და მშენებლობის სექტორი (10%-მდე).

მთიანი დასახლებებისგან განსხვავებით მცირე რაოდენობით ადამიანი იყენებს ტყის რესურსებს (იხ. სურათი 8-29). შინამეურნეობების მხოლოდ 7.5% აგროვებს შეშას. მხოლოდ 0.5% აწარმოებს თივას.




**სურათი 8-29: ტყის რესურსების CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

მაცხოვრებლების უმრავლესობა (82%), რომლებიც უმუშევრებად მიიჩნევს თავს, აქტიურად ეძებს სამსახურს. დაახლოებით 30% არ არის დაინტერესებული ვაკანსიების შესახებ არსებული ინფორმაციით. სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ მეგობრები ან ნათესავები. მოსახლეთა დაახლოებით 20% იყენებს ინტერნეტს. მოსახლეობა იყენებს ტელევიზორს, რადიოს და ბეჭდვით მედიას (გაზეთებს, ა.შ.), მაგრამ ნაკლები დოზით (იხ. სურათი 8-30).




**სურათი 8-30: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სამსახურის მაძიებლებისთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ვაკანსიების სიმცირე და მათ შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიღება დამსაქმებელთა საკვანძო ქსელების

მიუწვდომლობის გამო. სამუშაოს მოძიების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ასაკი და გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა აგრეთვე ბარიერებადაა აღქმული, მაგრამ შედარებით ნაკლებ დონეზე (იხ. სურათი 8-31).




**სურათი 8-31: სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### *უნარ-ჩვევები*

რუსთავში და მცირე ზომის ქალაქებში, როგორიცაა გარდაბანი, ბევრი ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც ფართო დიაპაზონის დასაქმების ხელშემწყობი უნარ-ჩვევები აქვთ მშენებლობაში, ელექტრომომწყობილობებში, სარესტორნო ბიზნესში, ადმინისტრაციულ/სამდივნო საქმიანობასა და ბუღალტერიაში. გარდა ამისა, უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ადამიანების რიცხვი გაცილებით მაღალია, ვიდრე CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ სხვა დასახლებულ პუნქტებში და მთის სოფლებში.

### *შემოსავალი და ხარჯი*

შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებულთა ხელფასი (რესპონდენტთა დაახლოებით 61%). თუმცა, პენსიები და სხვა სახის სოციალური დახმარებებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ ოჯახებისთვისაც კი, ვინც ხელფასს იღებს. შემოსავლის სხვა წყაროებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა, დროებითი არასასოფლო-სამეურნეო შემოსავალი და ვაჭრობა, თუმცა მათ შედარებით მცირე როლი აქვთ. თუმცა ზოგიერთ შინამეურნეობაში ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს დასახლებების დონეზე, შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტებში (იხ. სურათი 8-32).




**სურათი 8-32: შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების უმრავლესობისთვის შემოსავლის მთავარი წყარო ხელფასი ან სოციალური დახმარებაა, რაც თავისთავად სტაბილური შემოსავალია და სეზონურ ცვლილებებს არ განიცდის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების დაახლოებით 15% აღნიშნავს, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე შემოსავალი იზრდება. როგორც ჩანს, ეს რესპონდენტები ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში (იხ. სურათი 8-33).




**სურათი 8-33: შემოსავლის სეზონურობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 400 ლარია. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მთიან დასახლებებში. აღნიშნული მაჩვენებელი ადასტურებს ურბანული ეკონომიკის მრავალფეროვნებას, რომლის მეშვეობით დასახლებების ბევრ მაცხოვრებელს საშუალება აქვს მოიპოვოს საარსებო წყარო. რესპონდენტების უმრავლესობა (დაახლოებით 59%) მიიჩნევს, რომ მათი შემოსავალი შემცირდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. 30%-მა აღნიშნა, რომ შემოსავალი არ შეცვლილა და მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ ამ პერიოდში შემოსავალი გაიზარდა (იხ. სურათი 8-34).




**სურათი 8-34: შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების შემოსავლის დაახლოებით 64% ყოველთვიურად იხარჯება საკვებსა და სასმელზე. შემდეგ ადგილზეა გადასახადები და საწვავი (14%) და სამედიცინო ხარჯები (8%) (იხ. სურათი 8-35).




**სურათი 8-35: შინამეურნეობების ყოველთვიური დანახარჯები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (47.2%) აცხადებს, რომ მათ საკმარისი ფული არა აქვთ, რომ შეიძინონ საკვები და სასმელი და ამიტომ იღებენ სესხს ან ნათესავებისგან დახმარებას იღებენ. რესპონდენტების დაახლოებით 33%-ს აქვს საკმარისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ სირთულეებს აწყდებიან საკმარისი თანხების შეგროვებაში ტანსაცმლის შესაძენად. ხანგრძლივი მოხმარების ძვირი საყოფაცხოვრებო ნივთები (როგორებიცაა ტელევიზორი ან მაცივარი) არ არის ხელმისაწვდომი შინამეურნეობების უმრავლესობისთვის. თითქმის 19% ამბობს, რომ შეუძლიათ საკვებისა და ტანსაცმლის ყიდვა, მაგრამ ვერ ყიდულობენ ხანგრძლივი მოხმარების ძვირ საყოფაცხოვრებო ნივთებს (იხ. ცხრილი 8-12).

**ცხრილი 8-12: შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი აღწერს თქვენ საყოფაცხოვრებო/ფინანსურ პირობებს? | |
|---|---|
| არ გვაქვს საკმარისი ფული, რომ შევიძინოთ საკვები. ვსესხულობთ ფულს ან ნათესავებისგან/მეგობრებისგან ვიღებს დახმარებას. | 47.2% |
| გვაქვს საკამრისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის შეძენა. | 32.9% |
| გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვის და ტანსაცმლისთვის, მაგრამ არ გვაქვს საშუალება ვიყიდოთ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი. | 18.7% |
| დროდადრო გვაქვს საშუალება შევიძინოთ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, მაგრამ არ გვაქვს თანხები შევიძინოთ ავტომობილი, სახლი ან საგზური საზღვარგარეთ. | 0.7% |
| უარი პასუხზე | 0.5% |

ყოველ 10 შინამეურნეობაში 1 შინამეურნეობა დროულად ვერ იხდის გადასახადებს, მაგრამ ძირითადად დიდი ხნით არ ხდება გადახდის გადავადება (იხ. სურათი 8-36).




**სურათი 8-36: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების მესამედს (31%) აღებული აქვს სესხი საშუალოდ 3600 ლარის ოდენობით. სესხი ძირითადად ხმარდება ტექნიკის შეძენას, სახლის შეკეთებას, გადასახადებს და სხვა სახის მომსახურებას (მაგ., განათლებას), ასევე მანქანის შეძენას. თუმცა, სესხების 16% გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაუმჯობესების ან გაფართოებისკენ (იხ. ცხრილი 8-13).

**ცხრილი 8-13: მონაცემები სესხების თაობაზე CSG1-ის / პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| სესხი | მონაცემები |
|---|---|
| სესხები საყოფაცხოვრებო დავალიანებებისთვის | 31% |
| სესხის საშუალო ღირებულება | 3600 ლარი |
| სამომხმარებლო სესხი - საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რემონტი, ავეჯი | 51.8% |
| ბიზნეს სესხი - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა: მანქანის / მუშა ხელის ქირაობა, სარწყავ სისტემაზე მიერთება, სათბურის გაფართოება, პესტიციდების, პირუტყვის შეძენა, | 16.4% |
| სამედიცინო მკურნალობა | 9.5% |
| ავტო სესხი | 8.2% |
| სესხი განათლების მისაღებად | 3.8% |
| იპოთეკური სესხი | 3.1% |
| არ ვიცი | 7.1% |

რესპონდენტთა დიდი რაოდენობა (86.3%) უკმაყოფილოა შემოსავლისა და დასაქმების დონით, ჯანდაცვაც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს პრობლემები გარკვეულწილად მთიანი დასახლებების პრობლემებსაც გამოხატავს შემოსავლებისა და ჯანდაცვის თვალსაზრისით, თუმცა ნაკლები დონის პრობლემადაა მიჩნეული კომუნალური მომსახურება და გზები (იხ. სურათი 8-37).




**სურათი 8-37: შინამეურნეობების ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი CSG1-ის / პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### *CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

#### *დასაქმება / საარსებო საშუალებები*

დასახლებების მაცხოვრებელთა 28%-მდე განაცხადა, რომ პენსიონერი იყო. ეს რაოდენობა დაახლოებით 4%-ით აღემატება 65 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობას (იხ. თავი 8.3) და ორივე მაჩვენებელი (28% და 24%) საგრძნობლად აღემატება ეროვნულ მონაცემს (19%). 4%-იანი სხვაობის მიზეზი უცნობია, მაგრამ ის შეიძლება დაკავშირებული იყოს პენსიების სხვადასხვა დონეთან, ასაკსა და პენსიებს შორის კავშირის არასწორ აღქმასათან და / ან ხანდაზმულებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებების კონკრეტულ ტიპთან. რაც უფრო დიდია დასახლებებში 65 წლის ზემოთ ასაკის მაცხოვრებელთა წილი, რომლებიც პენსიას (და სხვა სახის სოციალურ დახმარებას) იღებენ, მით უფრო დაბალია ამ დასახლებებში საშუალო შემოსავალი.

რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მთელი მოსახლეობის თითქმის 22% დაუსაქმებელია. ეს ციფრი უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალური მაჩვენებელი,

მაგრამ შეესაბამება მსგავსი კვლევების შედეგებს. უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც ზემოაღნიშნულ მიზეზებს უკავშირდება, სავარაუდოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება უმუშევრობის განსაზღვრა, აღქმა და გამოთვლა (იხ. ქვეთავი „დასაქმება და საარსებო საშუალებები" თავში 8.6.3 ზემოთ).

რესპონდენტთა მხოლოდ 5.5% მიჩნევს საკუთარ თავს დაქირავებულად და 4%-ზე მეტს აქვს საკუთარი ბიზნესი. იმ სექტორებს შორის, სადაც მოსახლეობა მუშაობს, სოფლის მეურნეობა ლიდერობს (თითქმის 50% - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა და ფერმერული საქმიანობა). დაახლოებით 10% ჩართულია სატრანსპორტო სექტორში. სახელმწიფო და კერძო სექტორებში თითქმის იგივე რაოდენობის ადამიანია დასაქმებული (23%-მდე), რომლებიც თავს მიიჩნევენ დაქირავებულ მშრომელებად (იხ. სურათი 8-38).




**სურათი 8-38: დასაქმების სტატუსი და სექტორი CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შინამეურნეობის საარსებო წყარო დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, პენსიებზე, სოციალურ დახმარებასა და ანაზღაურებად სამსახურზე, ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, მიმდებარე ტყის რესურსების გამოყენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შინამეურნეობების დიდი ნაწილისთვის. შინამეურნეობების უმრავლესობა არ იყენებს ტყის რესურსებს, მაგრამ დაახლოებით 25% აცხადებს, რომ აგროვებენ შეშას საწვავად გამოსაყენებლად და მცირე რაოდენობით ოჯახი შეშას მშენებლობისთვისაც იყენებს. აღსანიშნავია, რომ მცხოვრებები ტყის ტერიტორიას თივის წარმოებისთვის იყენებენ (იხ. სურათი 8-39). ზოგიერთი მოსახლე ნადირობს კიდეც.




**სურათი 8-39: ტყის რესურების გამოყენება CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

უმუშევართა ორი მესამედი (66.6%) სამსახურს ეძებს. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყაროა მეგობრები და ნათესავები. სახელმწიფო დასაქმების სამსახურს და მედიას ხშირად არ მიმართავენ. ყველა რესპონდენტის დიდმა ნაწილმა (63%) განაცხადა, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციით (იხ. სურათი 8-40).




**სურათი 8-40:** **ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სამუშაოს მაძიებელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებია ვაკანსიების ნაკლებობა და დროული ინფორმაციის მიღება ვაკანსიების შესახებ დამსაქმებელთა საკვანძო ქსელების ხელმიუწვდომლობის გამო. რესპონდენტების 2.6% და 1.3%-მა მსგავს პრობლემებად დაასახელა აგრეთვე არაქართველი მოსახლეობისთვის ენის ბარიერი და უცხო ენის არცოდნა. ხელის შემშლელ ფაქტორებად ასევე დასახელდა სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა და ასაკი. რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შეძლო დაესახელებინა სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული უმთავრესი პრობლემები (იხ. სურათი 8-41).




**სურათი 8-41:** **სამუშაოს ძიებაში არსებული ძირითადი პრობლემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**უნარ-ჩვევები**

დასახლებებში მაცხოვრებელთა დასაქმების ძირითადი ხელშემწყობი უნარ-ჩვევები მანქანის მართვით შემოიფარგლება. მოსახლეობის უმრავლესობას შეუძლია მსუბუქი ავტომანქანისა და მიკროავტობუსის მართვა. ზოგ მათგანს აგრეთვე შეუძლია დიდი ზომის სატვირთო მანქანების მართვა. მცირე რაოდენობით მოსახლეს შეუძლია მიწის საბურღი-სატრანსპორტო ტექნიკის მართვა.

შემდეგი, დასაქმების ხელშემწყობი უმთავრესი უნარ-ჩვევაა მშენებლობა, თუმცა ზოგიერთ დასახლებაში მშენებლობის მცოდნე მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ მცირეა. არიან აგრეთვე ელექტრიკოსები, დურგლები და სანტექნიკოსები. დასახლებებში თითქმის არ გვხვდება მოსახლეობა, რომელსაც აქვს უნარი შეასრულოს საოფისე საქმე (ადმინისტრაციული ან საბუღალტრო).

**შემოსავალი და ხარჯები**

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 160 ლარია. მაცხოვრებელთა უმრავლესობა (62%) მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი შემოსავალი შემცირდა; 32% აცხადებს, რომ შემოსავალი უცვლელია, ხოლოდ 5%-ზე მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შემოსავალი გაიზარდა (იხ. სურათი 8-42).




**სურათი 8-42: შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების დაახლოებით 70%-მა აღნიშნა, რომ შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს პენსია და სხვა სოციალური დახმარება. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი დახმარების წილი დაბალია (ესაა რეგულარული ფულადი დახმარება, რომელსაც უცხოეთში მცხოვრები და მომუშავე ადამიანები ნათესავებს და მეგობრებს უგზავნიან). შინამეურნეობების 40% აცხადებს, რომ შემოსავლის წყაროს თვალსაზრისით მეორე პოზიციაზეა სოფლის მეურნეობა. კერძო ან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რეგულარულ ხელფასს შედარებით ნაკლები წვლილი აქვს ამ თვალსაზრისით (შინამეურნეობების დაახლოებით 9%). წვრილი ვაჭრობა და სხვა დროებითი შემოსავალი კიდევ უფრო მცირე ოდენობისაა (იხ. სურათი 8-43).




**სურათი 8-43:** **შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სოფლის მეურნეობიდან შემოსავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სეზონზე. შინამეურნეობების დაახლოებით 6% აღნიშნავს, რომ ზაფხულში შემოსავალი იზრდება. 23% კი აცხადებს, რომ შემოდგომაზე იზრდება შემოსავალი (იხ. სურათი 8-44).




**სურათი 8-44:** **შემოსავლის სეზონურობა CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების უმრავლესობა (82%) აცხადებს, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ფული საკვებისა და სასმელის შესაძენად და ამიტომ სესხულობენ, ან ნათესავებისგან დახმარებას იღებენ. დაახლოებით 16%-ს აქვს საკმარისი ფული საკვებისთვის, მაგრამ ვერ ყიდულობს ტანსაცმელს. ხანგრძლივი მოხმარების ნივთები ხელმიუწვდომელია თითქმის ყველა შინამეურნეობისთვის. შინამეურნეობების მხოლოდ 2%-ს აქვს საშუალება იყიდოს საკვები და ტანსაცმელი, მაგრამ ვერ ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების ნივთებს, როგორცაა ტელევიზორი ან მაცივარი (იხ. ცხრილი 8-14).

**ცხრილი 8-14: შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი აღწერს თქვენ ფინანსურ პირობებს? | |
|---|---|
| არ გვაქვს საკმარისი ფული, რომ შევიძინოთ საკვები. ვსესხულობთ ფულს ან ნათესავებისგან/მეგობრებისგან ვიღებს დახმარებას. | 82.1% |
| გვაქვს საკმარისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის შეძენა. | 15.8% |
| გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვის და ტანსაცმლისთვის, მაგრამ არ გვაქვს საშუალება ვიყიდოთ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი. | 2.1% |
| უარი პასუხზე | 0% |

შინამეურნეობების 71% ყოველთვიურ შემოსავალს ხარჯავს, პირველ რიგში, საკვებსა და სასმელზე, შემდეგ სამედიცინო მომსახურებაზე (11%), კომუნალურ გადასახადებსა და საწვავზე (10%) და შემდეგ ტრანსპორტზე (4%) (იხ. სურათი 8-45).




**სურათი 8-45: შინამეურნეობების ყოველთვიური დანახარჯები CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

რესპონდენტების უმრავლესობა (დაახლოებით 88%) დროულად იხდის კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ 11.3% აღიარებს, რომ ზოგჯერ აგვიანებს გადახდას. მხოლოდ 1% არ იხდის გადასახადებს (იხ. სურათი 8-46).




**სურათი 8-46: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების დაახლოებით 8%-ს სესხი აქვს აღებული საშუალოდ 3200 ლარის ოდენობით. ნასესხები ფული ძირითადად იხარჯება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებაზე ან გაუმჯობესებაზე (სესხების 69%), ოცდაცხრა პროცენტი იხარჯება სახლისთვის გარკვეული ნივთების შეძენაზე, სახლის შეკეთებაზე ან გადასახადებზე. 4% განათლების ხარჯებს ხმარდება (იხ. ცხრილი 8-15).

**ცხრილი 8-15: სესხების შესახებ მონაცემები CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| სესხი | მონაცემები |
|---|---|
| სესხები საყოფაცხოვრებო დავალიანებებისთვის | 8.3% |
| სესხის საშუალო ღირებულება | 3159 GEL |
| ბიზნეს სესხი - სამეურნეო საქმიანობა: მანქანის/მუშახელის ქირაობა, სარწყავ სისტემასთან მიერთება, სათბურის გაფართოება, პესტიციდებისა და პირუტყვის შეძენა, | 68.70% |
| სამომხმარებლო სესხი - საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რემონტი, ავეჯი, კომუნალური გადასახადები | 28.70% |
| სესხი განათლების მისაღებად | 14.1% |
| სამედიცინო მკურნალობა | 1.3% |

რესპონდენტთა დიდი ნაწილი (93.2%) უკმაყოფილოა შემოსავლის დონით. დასახლებებში არსებული სხვა ძირითადი პრობლემებია ჯანდაცვის არაადეკვატური მომსახურება, გზები, საცხოვრებელი პირობები და ბუნებრივი აირის უქონლობა (იხ. სურათი 8-47).




**სურათი 8-47: შინამეურნეობების 5 ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი CSG2-ის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

*PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

**დასაქმება/საარსებო საშუალებები**

რესპონდენტების 28%-ზე მეტი პენსიონერია და ეს ფაქტი ასახავს აღნიშნული დასახლებების დემოგრაფიულ სურათს. პროცენტული მაჩვენებელი ოდნავ აღემატება მაჩვენებელს, რომელიც დაფიქსირდა CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში და მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნულ მაჩვენებელს. თითქმის 24% უმუშევარია. ეს ციფრი ახლოს დგას CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არსებულ სიტუაციასთან. დაახლოებით 10% აცხადებს, რომ ის დაქირავებული მშრომელია და 5%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი. იმ სექტორების შესწავლამ, სადაც დასახლებების მაცხოვრებლები მუშაობენ, ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი დომინირებს სხვა სექტორებთან შედარებით (40%-ით) (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა და ფერმერული საქმიანობა). დაქირავებული მშრომელების უმრავლესობა კერძო სექტორშია დასაქმებული (დაახლოებით 46%). 27% კი -სახელმწიფო სექტორში მუშაობს (იხ. სურათი 8-48). ეს მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ PRMS-ის ზემოქმედების ზონაში მდებარე დასახლებები ნაკლებადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე, ვიდრე CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები. აქ ეკონომიკა უფრო მრავალფეროვანია. სავარაუდოდ, ვალესა და უდეს სიდიდე (6000 და 3500-ზე მეტი მოსახლე) მნიშვნელოვან როლს თამაშობს CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან ამ განსხვავებაში.




**სურათი 8-48: დასაქმების სტატუსი და სექტორი PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების დიდი ნაწილის საარსებო წყაროებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, პენსია, სხვა სოციალური დახმარება და ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, მაგრამ ბუნებრივი რესურსების, როგორიცაა ტყის რესურსები, გამოყენება მნიშვნელოვანია შინამეურნეობების 50%-თვის. შინამეურნეობების დაახლოებით ნახევარი აგროვებს შეშას საწვავად გამოყენების მიზნით. შედარებით მცირე რაოდენობით შინამეურნეობები იყენებენ ტყის ტერიტორიას თივის საწარმოებლად (1.1%) ან მშენებლობისთვის ხის

მასალის შესაგროვებლად (0.2%). (იხ.




სურათი 8-49). ტყის რესურსი უფრო მნიშვნელოვანია PRMS-ის ზემოქმედების ზონაში არსებული დასახლებებისთვის, ვიდრე CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისთვის და მიზეზი ალბათ იმას უკავშირდება, რომ PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში ნაკელი არ გამოიყენება საწვავი მიზნებისთვის.




**სურათი 8-49: ტყის რესურსების გამოყენება PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

უმუშევრების უმრავლესობა (82%) ეძებს სამსახურს. ვაკანსიების შესახებ ძირითადი საინფორმაციო წყაროა მეგობრები და ნათესავები. ამ თვალსაზრისით ხშირად არ მიმართავენ მედია საშუალებებს და სახელმწიფო დასაქმების უწყებას. რესპონდენტების თითქმის ნახევარი (48%) აცხადებს, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოპოვებით (იხ.სურათი 8-50).




**სურათი 8-50: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სამუშაოს მაძიებელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებია ვაკანსიების ნაკლებობა და დროული ინფორმაციის მიღება ვაკანსიების შესახებ დამსაქმებელთა საკვანძო ქსელების ხელმიუწვდომლობის გამო. რესპონდენტების 11%-ზე მეტმა ხელისშემშლელ ფაქტორად ასაკი დაასახელა. ეს ციფრი არ შეესაბამება მდგომარეობას CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში, სადაც ასაკი ბარიერად რესპონდენტების 1%-ზე ნაკლებმა დაასახელა. 7.8% აღნიშნავს, რომ არაქართველი მოსახლეობისთვის ენის ბარიერი ანუ უცხო ენის (კერძოდ, ქართულის ენის) არცოდნა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ეს ციფრი ოდნავ აღემატება მაჩვენებელს CSG2 სადგურის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. მცირე რაოდენობის რესპონდენტებმა დაასახელეს სამუშაო გამოცდილების / კვალიფიკაციის ნაკლებობა და ასაკი. რესპონდენტთა თითქმის 20%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა (იხ. სურათი 8-51).




**სურათი 8-51: სამუშაოს მაძიებელთა პრობლემები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**უნარ-ჩვევები**

დასაქმებისათვის სათანადო უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით სიტუაცია CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებების მსგავსია, თუმცა არის გარკვეული განსხვავებებიც. აღნიშნულ დასახლებებში მაცხოვრებელთა უმთავრესი უნარ-ჩვევაა მანქანის მართვა. უმეტესობას შეუძლია მსუბუქი, მცირე სატვირთო მანქანებისა და მიკროავტობუსების მართვა. ზოგიერთმა კი მძიმე სატვირთო მანქანის მართვაც იცის. მცირე რაოდენობით მაცხოვრებელს აქვს უნარი, მართოს მიწის საბურღი/სატრანსპორტო საშუალება.

შემდეგი მთავარი დასაქმებისთვის სათანადო უნარ-ჩვევა, რომელიც გავრცელებულია დასახლებების მაცხოვრებლებს შორის არის სამშენებლო საქმე, თუმცა ზოგიერთ დასახლებაში ძალიან მცირე რაოდენობით ადამიანს შეუძლია მშენებლობაში მონაწილეობის მიღება. არიან მცირე რაოდენობით ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები და დურგლები. საოფისე საქმიანობის (ადმინისტრირებისა და ბუღალტერიის) მცოდნე ადამიანები ძირითადად პატარა ქალაქებში (ვალე და უდე) ცხოვრობენ და არა სოფლებში.

**შემოსავალი და ხარჯები**

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 190 ლარია. შემოსავალი ოდნავ აღემატება CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებების შინამეურნეობების შემოსავალს. სავარაუდოდ, ეს იმის მანიშნებელია, რომ სამუშაო შესაძლებლობები უფრო მრავალფეროვანია. რესპონდენტების დაახლოებით 60% აცხადებს, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე მათი შემოსავალი შემცირდა. დაახლოებით 25%-მა აღნიშნა, რომ შემოსავალი არ შეცვლილა, ხოლო 15% ამბობს, რომ ამ პერიოდში შემოსავალი გაიზარდა (იხ. სურათი 8-52).




**სურათი 8-52: შემოსავლის ცვლილება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შემოსავლის ძირითადი წყაროებია პენსიები და სხვა სოციალური დახმარებები (რესპონდენტთა 75%-ს აზრით). ფულადი გზავნილების წილი დაბალია. კერძო და სახელმწიფო სექტორებში მომუშავეთა რეგულარული ხელფასები მეორე ძირითადი წყაროა შინამეურნეობის შემოსავალში დაახლოებით 20%-თვის. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებებში. მესამე პოზიციაზეა სოფლის მეურნეობის სექტორის შემოსავალი (შინამეურნეობების დაახლოებით 16.5%). ეს ციფრი მნიშვნელოვნად დაბალია CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებების მაჩვენებელზე. მცირე წვლილი შეაქვს ასევე დროებით შემოსავალს და წვრილ ვაჭრობას (იხ. სურათი 8-53).




**სურათი 8-53: შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სოფლის მეურნეობის სექტორის შემოსავალი სეზონურად იცვლება. შინამეურნეობების 5% აღნიშნავს, რომ ზაფხულში მათი შემოსავალი იზრდება. 11.5% კი ამბობს, რომ შემოსავალი შემოდგომაზე იზრდება (იხ. სურათი 8-54). ეს მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზემოქმედების ზონის დასახლებებში.




**სურათი 8-54: შემოსავლის სეზონურობა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების ყოველთვიური შემოსავლების დაახლოებით 71% იხარჯება საკვებსა და სასმელზე. შემდეგ მოდის სამედიცინო ხარჯები (11%), კომუნალური გადასახადები და საწვავი (10%) და ტრანსპორტი (4%) (იხ. სურათი 8-55).




**სურათი 8-55: შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების უმრავლესობა (76%) აცხადებს, რომ არა აქვთ საკმარისი ფული საკვებისა და სასმელის შესაძენად და ამიტომ, სესხულობენ ფულს ან დროებით დახმარებას იღებენ ნათესავებისგან. დაახლოებით 20% აცხადებს, რომ საკმარისი ფული აქვთ საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმელს ვერ ყიდულობენ. ხანგრძლივი მოხმარების ნივთების შეძენა ხელმიუწვდომელია თითქმის ყველა შინამეურნეობისთვის. მხოლოდ 3.5% შინამეურნეობებისა ახერხებს საკვებისა და ტანსაცმლის ყიდვას, მაგრამ ვერ ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების ნივთებს, როგორიცაა ტელევიზორი და მაცივარი (იხ. ცხრილი 8-16).

**ცხრილი 8-16: ფინანსური მდგომარეობა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი აღწერს თქვენ ფინანსურ პირობებს? | მონაცემები |
|---|---|
| არ გვაქვს საკმარისი ფული, რომ შევიძინოთ საკვები. ვსესხულობთ ფულს ან ნათესავებისგან/მეგობრებისგან ვიღებს დახმარებას. | 76.1% |
| გვაქვს საკამრისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის შეძენა. | 19.7% |
| გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვის და ტანსაცმლისთვის, მაგრამ არ გვაქვს საშუალება ვიყიდოთ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი. | 3.4% |
| უარი პასუხზე | 0% |

რესპონდენტთა უმრავლესობა (დაახლოებით 92%) დროულად იხდის კომუნალურ გადასახადებს. რესპონდენტთა 7.4% აღიარებს, რომ ზოგჯერ გადახდას აგვიანებს. 0.2% კი არ იხდის გადასახადებს (იხ. სურათი 8-56).




**სურათი 8-56: შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების დაახლოებით 20%-ს სესხი აქვს აღებული საშუალოდ 2000 ლარის ოდენობით. ნასესხები ფული ძირითადად იხარჯება სახლისთვის გარკვეული ნივთების შეძენაზე, სახლის შეკეთებაზე და გადასახადებზე (40%), სამედიცინო მომსახურებაზე (27%), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე (სესხების დაახლოებით 17%). თანხის 6% იხარჯება განათლების საფასურზე და შედარებით ნაკლები თანხა ხმარდება იჯარას ან ავტომანქანის ყიდვას (იხ. ცხრილი 8-17).

**ცხრილი 8-17: სესხის მაჩვენებლები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

| სესხი | მონაცემები |
|---|---|
| სესხები საყოფაცხოვრებო დავალიანებებისთვის | 20.8% |
| სესხის საშუალო ღირებულება | 2001 GEL |
| სამომხმარებლო სესხი - საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რემონტი, ავეჯი, კომუნალური გადასახადები | 39.9% |
| სამედიცინო მკურნალობა | 26.9% |
| ბიზნეს სესხი - სამეურნეო საქმიანობა: მანქანის/მუშახელის ქირაობა, სარწყავ სისტემასთან მიერთება, სათბურის გაფართოება, პესტიციდების, პირუტყვის შეძენა | 16.7% |
| სესხი განათლების მისაღებად | 6.2% |
| იპოთეკური სესხი | 2.3% |
| ავტო სესხი | 0.8% |
| უარი პასუხზე/არვიცი | 7.2% |

რესპონდენტების დიდი ნაწილი (88%) უკმაყოფილოა შემოსავლების დონით. სხვა პრობლემები უკავშირდება ბუნებრივი აირის არარსებობას და ჯანდაცვის არაადეკვატურობას/სიძვირეს. შემდეგ მოდის უმუშევრობა, საცხოვრებელი პირობები, გადასახადები და სატრანსპორტო ქსელი (იხ. სურათი 8-57).




**სურათი 8-57: შინამეურნეობების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### *8.6.4 დასაქმებასთან, საარსებო წყაროებთან და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სენსიტიური ფაქტორები*

*CSG1 სადგურის / ახალი პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

ძირითადი სენსიტიური ფაქტორებია:

- შემოსავლის სეზონურობა მცირე ზომის სასოფლო დასახლებებში
- ეკონომიკური კრიზისის გავლენა მცირე ზომის სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა შემოსავალსა და ხარჯებზე (ხარჯების გამო თანხა თითქმის არ რჩება)
- შესაფერისი სამუშაო უნარ-ჩვევების ნაკლებობა SCPX-ის საჭიროებებთან მიმართებაში მცირე ზომის სასოფლო დასახლებებში
- უმუშევრობის აღქმული მაღალი დონე ყველა დასახლებაში

- სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოფლის დასახლებებში. ინფორმაცია ძირითადად სიტყვიერად ვრცელდება და არა მედიის (რადიო, გაზეთები, ა.შ.) საშუალებით. პირად კონტაქტებზე უფრო დიდია დამოკიდებულება, ვიდრე ოფიციალურ საკომუნიკაციო ქსელზე.

*CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

ქვემოთ შეჯამებულია ფონური მდგომარეობის კომპონენტები, რომლებიც პროექტის კონტექსტში განხილულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის მშენებლობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედებების გათვალისწინებით:

- სიღარიბე
- შემოსავლის სეზონურობა (22%-ს უფრო მაღალი შემოსავალი აქვს შემოდგომაზე)
- ეკონომიკური კრიზისის გავლენა მცირე ზომის სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა შემოსავალსა და ხარჯებზე (ხარჯების გამო თანხა თითქმის არ რჩება)
- შესაფერისი სამუშაო უნარ-ჩვევების ნაკლებობა SCPX-ის საჭიროებებთან მიმართებაში
- უმუშევრობის აღქმული მაღალი დონე
- სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოფლის დასახლებებში. ინფორმაცია ძირითადად სიტყვიერად ვრცელდება და არა მედიის (რადიო, გაზეთები, ა.შ.) საშუალებით. პირად კონტაქტებზე უფრო დიდია დამოკიდებულება, ვიდრე ოფიციალურ საკომუნიკაციო ქსელზე.
- სამუშაოს ხელმისაწვდომობა და შესაძლო ენობრივი ბარიერი
- ახლომდებარე საძოვრების მარტივი და უსაფრთხო გამოყენება (ძირითადად ძროხებისთვის და ნაკლებად ცხვრისთვის)
- ახლომდებარე ტყის მარტივი და უსაფრთხო გამოყენება.

*PRMS*

PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში ძირითადად იგივე სენსიტიური ფაქტორებია, რაც CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ დასახლებებში, თუმცა საშუალო შემოსავალი ოდნავ მაღალია, ეკონომიკა და სამუშაო ადგილები უფრო მრავალფეროვანია და ნაკლებადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. პატარა ზომის PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებს აქვთ თითქმის იგივე სოციო-ეკონომიკური სენსიტიური საკითხები, როგორც ეს CSG2 სადგურის / მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ დასახლებებშია. მთლიანობაში შემდეგი სენსიტიური ფაქტორები იკვეთება PRMS-ის ზემოქმედების ზონის დასახლებებში:

- სიღარიბე
- შემოსავლის სეზონურობა (11%-ს უფრო მაღალი შემოსავალი აქვს შემოდგომაზე)
- ეკონომიკური კრიზისის გავლენა მცირე ზომის სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა შემოსავალსა და ხარჯებზე (ხარჯების გამო თანხა თითქმის არ რჩება)
- შესაფერისი სამუშაო უნარ-ჩვევების ნაკლებობა SCPX-ის საჭიროებებთან მიმართებაში
- უმუშევრობის აღქმული მაღალი დონე

- სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოფლის დასახლებებში. ინფორმაცია ძირითადად სიტყვიერად ვრცელდება და არა მედიის (რადიო, გაზეთები, ა.შ.) საშუალებით. პირად კონტაქტებზე უფრო დიდი დამოკიდებულია, ვიდრე ოფიციალურ საკომუნიკაციო ქსელზე
- სამუშაოს ხელმისაწვდომობა და შესაძლო ენობრივი ბარიერი
- ახლომდებარე ტყის მარტივი და უსაფრთხო გამოყენება.

## 8.7 ინფრასტრუქტურა და მომსახურება

ანგარიშის ეს თავი აღწერს ძირითადი ინფრასტრუქტურული სერვისებისა და მომსახურების მდგომარეობას. ესენია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წყალმომარაგება და განათლება (ჯანდაცვის სფერო ცალკეა განხილული). დასახლებების დონეზე ინფორმაცია წარმოდგენილია ისეთ ორგანიზაციებთან მიმართებაში, როგორიცაა ბანკები, ეკლესიები/მეჩეთები, გასართობი ადგილები.

### *8.7.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია*

მეორადი მონაცემების მთავარი წყაროები ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე:

- საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ოფიციალური მონაცემები)
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ადრინდელი კვლევები.

დასახლებებისა და შინამეურნეობების დონეზე წარმოდგენილი ინფორმაციის ძირითადი წყაროა 2011 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ჩატარებული კვლევები დასახლებებისა და შინამეურნეობების დონეზე.

### *8.7.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები*

ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოძველებულია და საჭიროებს დადასტურებას და განახლებას SCPX-ის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არსებულ ადგილობრივ პირობებთან მიმართებაში.

დასახლებებისა და შინამეურნეობების დონეზე ჩატარებული საველე კვლევის მეთოდოლოგია აღწერილია თავში 8.2.2.

### *8.7.3 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ფონური მდგომარეობა*

*ეროვნული და რეგიონალური დონე*

ამ თავში განხილულია შემდეგი ძირითადი ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა და მომსახურება:

- ენერგეტიკა
- ტრანსპორტი
- წყალმომარაგება
- განათლება.

განათლების საკითხების განხილვას მოსდევს ძალიან მოკლე ინფორმაციაა მობილური სატელეფონო კავშირის შესახებ.

### *ენერგეტიკა*

მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა მთავარი პრობლემებია ურბანულ და სოფლის დასახლებებში. 2004 წელს, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა კრიზისულ მდგომარეობაში იყო და ძირითადი ინფრასტრუქტურა ფაქტიურად კოლაფსში იყო, მაგალითად, ელექტროენერგია მიწოდება არ იყო სტაბილური ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ელექტროენერგიის მიწოდებას საერთოდ არ ქონდა ადგილი (გაეროს განვითარების პროგრამა, 2008). 2006 წელს შემუშავდა პოლიტიკური და საკანონმდებლო ინიციატივები იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო მდგომარეობა ელექტროენერგიის გენერირების, დისტრიბუციის, ტარიფებისა და გადახდის სისტემა. დაფიქსირდა წარმოების და დისტრიბუციის პრივატიზაცია და ტარიფების გაზრდა (გაეროს განვითარების პროგრამა, 2008 და მსოფლიო ბანკი, 2009).

2008 წლისთვის საქართველოში ბუნებრივი აირის სექტორის დიდი ნაწილი, მთავარი მილსადენის გარდა, პრივატიზებული იყო. ამჟამად, საქართველოს ჰყავს 4 მომწოდებელი და აქვს 3 მიწოდების მარშრუტი. ქვეყანაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნის 70%-ს (სექტორის რეგულირებადი ნაწილი-შინამეურნეობების მიერ მოხმარება და თერმული გენერაცია) კომპანია „სოკარი“ უზრუნველყოფს გრძელვადიანი კონტრაქტით. დანარჩენი 30% კომერციული მოხმარებისაა და მისი რეგულირება არ ხდება. შესაბამისად, ამ სეგმენტის მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ შეარჩიონ მომწოდებელი და შეთანხმდნენ ტარიფებზე. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა სოფლების გაზიფიკაციის თვალსაზრისით.

პრივატიზაციამ და ტარიფების ზრდამ გავლენა იქონია მოსახლეობის ნაკლებშემოსავლიან ნაწილზე, გაიზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარება და საიმედო ენერგომომარაგების ხელმისაწვდომობა. საგრძნობლად გაიზარდა მიწოდების საიმედობა და არეალი და ამჟამად უმეტეს ადგილებში უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება. თუმცა, ბუნებრივი აირის პრობლემა არ არის ისეთი მასშტაბის, როგორიც ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობაა. გარდა ამისა, ენერგოსექტორში მომუშავე კომპანიები ახლა უკვე ახერხებენ საოპერაციო ხარჯების დაფარვას და კაპიტალდაბანდებას სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რათა სისტემა მდგრადი და სტაბილური იყოს (გაეროს განვითარების პროგრამა, 2008).

გარკვეული თვალსაზრისით, ცხოვრების დონე სოფლებში გაუმჯობესდა ენერგომომარაგების გაუმჯობესების გამო, თუმცა სხვა ტენდენციებმა იჩინა თავი. დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები ვერ ახერხებენ სიღარიბიდან თავის დაღწევას.

სოფლებში ელექტროენერგიისა და გაზის ხელმისაწვდომობის გაზრდამ არ ჩაანაცვლა ბუნებრივი რესურსების გამოყენება. შინამეურნეობები ისევ იყენებენ შეშას გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, სავარაუდოდ შეშის სიიაფის გამო.

#### CSG1/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

ყველა დასახლებას მიეწოდება ელექტროენერგია და დაახლოებით 85% უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირი. მცირე ზომის სოფლის დასახლებებში ამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მოხდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ხელმისაწვდომია თხევადი (ბალონის) გაზი. ბუნებრივი აირის მიწოდების სერვისის ხარისხი ოდნავ უკეთესია, ვიდრე ელექტროენერგიის შემთხვევაში, თუმცა რესპონდენტების მცირე

რაოდენობამ გამოთქვა პრეტენზია ელექტრომომარაგებაზე (არცერთმა რესპონდენტმა არ გამოხატა პრეტენზია გაზმომარაგებაზე) (იხილეთ სურათი 8-58).




**სურათი 8-58: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი CSG1/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

რესპონდენტების ინფორმაციით, საჭმლის მომზადებისთვის ძირითადად ელექტროენერგიას იყენებენ (95%). შინამეურნეობების მხოლოდ 8% და 4.3% მოიხმარს შესაბამისად შეშას და გაზს ამ მიზნით. ელექტროენერგია გამოიყენება გასათბობადაც, მაგრამ შედარებით ნაკლები დოზით (63%). გათბობის მიზნით შინამეურნეობების 36% იყენებს შეშას და 12% - გაზს. ბიო-საწვავი (ძირითადად საქონლის ნაკელი) გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად, მაგრამ შინამეურნეობების 1%-ზე ნაკლები იყენებს ამ საწვავს (იხ. სურათი 8-59).




**სურათი 8-59: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება CSG1-ის/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### CSG2/პარალელური მილსადენის მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

ყველა სოფელი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით. ბოლო 5 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოფილი იქნა 3 სოფელში. არცერთ სოფელში არ არის გაყვანილი ბუნებრივი აირი. ხელმისაწვდომია თხევადი (ბალონის) გაზი.

რესპონდენტების 18% ამბობს, რომ ელექტროენერგიის მომარაგების სისტემა „საუკეთესოა", დანარჩენები ამბობენ, რომ „კარგია" (იხ. სურათი 8-60).




**სურათი 8-60: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

ელექტროენერგიას ძირითადად საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ. შინამეურნეობების 35.8% იყენებს შეშას და 15.3% - ბიო-საწვავს (ძროხის ნაკელს). გათბობის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად იყენებს შეშას (62.7%) და ბიოსაწვავს (53.9%) (იხ. სურათი 8-61).




**სურათი 8-61: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

ხუთ წელზე მეტია, რაც ყველა სოფელს აქვს ელექტროენერგია. 9 სოფლიდან მხოლოდ 1 სოფელს (აბათხევი) არ აქვს სასმელი წყალი. ბოლო 5 წლის განმავლობაში სასმელი

წყლით მომარაგების სისტემა მოწესრიგდა 5 სოფელში. არცერთ სოფელში არ არის გაყვანილი ბუნებრივი აირი. ხელმისაწვდომია თხევადი (ბალონის) გაზი. ყველა დასახლებაში უზრუნველყოფილია მობილური კავშირგაბმულობის დაფარვა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ვალეშიც დაინერგა ფიჭური მომსახურება.

რესპონდენტების დაახლოებით 7% ამბობს, რომ ელექტროენერგიის მომარაგების სისტემა „საუკეთესოა.“, დანარჩენები ამბობენ, რომ „ძალიან კარგი“ (იხ. სურათი 8-62).




**სურათი 8-62: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი PRMS-ის ზგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-63: საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით ენერგორესურსების გამოყენება PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

ელექტროენერგიას ძირითადად საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ (81.3%). რესპონდენტები ამბობენ, რომ ამ მიზნით შეშას (62.4%) და თხევად გაზსაც (11.2%) იყენებენ. გათბობის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს შეშას (98.3%), ხის სხვა მასალას (მაგალითად ნახერხს-0.9%) ან ხის ნახშირს (0.2%) (იხ. სურათი 8-63).

*ტრანსპორტი*

ტრანსპორტის ქვესექტორი (მომსახურების სექტორის ნაწილი) ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია საქართველოს ეკონომიკაში. ტრანსპორტის, დასაწყობებისა და კომუნიკაციების სექტორებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ხვედრითი წილი მშპ-ში: 1996 წელს ამ სექტორის წილი მშპ -ში 4.6% იყო, 2006 წელს კი-11.5%-მდე გაიზარდა. ეს ზრდა უკავშირდება კავკასიის რეგიონში ეკონომიკის განვითარებას და საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას. გზების მოწესრიგება პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის გადაადგილებისა და ნავთოპროდუქტების გარდა სხვა პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის (მსოფლიო ბანკი, 2008). მილსადენები უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენს ნავთობისა და გაზისთვის.

მსოფლიო ბანკის ანგარიში *„სასოფლო ინფრასტრუქტურის კვლევა საქართველოში“* (მსოფლიო ბანკი, 2006) აღნიშნავს, რომ ფატალური შედეგების მქონე ავტოსაგზაო შემთხვევებით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ბევრად მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა (2006 წელს 10 000 სატრანსპორტო მანქანაზე 13 სატრანსპორტო შემთხვევა). აღმოსავლეთ ევროპაში იგივე მაჩვენებელი იყო 2 ფატალური შემთხვევა ყოველ 10 000 შემთხვევაზე. ყოველწლიურად ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა 16%-ით, ხოლო სხეულის დაზიანების შემთხვევები-28%-ით იზრდებოდა. სხეულის დაზიანების, სიკვდილიანობისა და ემოციური დისკომფორტის გარდა, საგზაო შემთხვევები პირდაპირ ახდენდა გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. მსოფლიო ბანკის დოკუმენტში *„საგზაო უსაფრთხოება ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“* (მსოფლიო ბანკი, 1999) ნათქვამია, რომ საგზაო შემთხვევების სოციალური და ეკონომიკური ხარჯი დაახლოებით შეადგენდა მშპ-ს 1.1%-ს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი შეცვლილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ავტომანქანების რაოდენობა იზრდება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთავარი და ზოგი მეორადი მნიშვნელობის გზები საგრძნობლად მოწესრიგდა.

ბოლო წლებში დიდი ძალისხმევა მოხმარდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, კერძოდ გზების გაუმჯობესებას. საქართველოს მთავრობამ სოლიდური საგარეო დაფინანსება მიიღო მსოფლიო ბანკისა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან გზების რეაბილიტაციისთვის. კორპორაციის დახმარება ძირითადად ფოკუსირდებოდა გზების მოწესრიგებაზე ღარიბ რეგიონებში. გზების რეაბილიტაციის პროექტში ჩართული იყო აგრეთვე E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი, რაც ქვეყნის ძირითად არტერიას წარმოადგენს. ამჟამად მისი რეაბილიტაცია გრძელდება და მიმდინარეობს დამატებითი ორმხრივი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა. SCPX გამოიყენებს ამ გზას მილსადენის სამუშაო ადგილზე მისასვლელად.

ამ ძალისხმევების მიუხედავად პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში, შიდა და დასახლებების დამაკავშირებელი გზები არასახარბიელო მდგომარეობაშია. ორმოები სწრაფად ჩნდება, განსაკუთრებით ძლიერი წვიმის დროს. ტროტუარები არ არსებობს ან არ არის კარგად გამოყოფილი გზისგან. ბევრ დასახლებაში გზების მდგომარეობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება იმ სირთულეების გამო, რასაც ის იწვევს (იხილეთ ქვემოთ - მოსაზრებები ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების შესახებ).

*წყალმომარაგება*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა სწრაფად გაუარესდა, რადგან არ ხდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, არ იყო სათანადო მონიტორინგი, იყო ქურდობა და კორუფცია. 1990-იან წლებში საქართველოში სასმელი წყლის „კრიზისს" ორი კომპონენტი ჰქონდა. პირველი კომპონენტი წარმოადგენდა ხელმისაწვდომობის პრობლემას. საერთაშორისო ორგანიზაცია CHF International-ის 2005 წლის კვლევა „*სოციო-ეკონომიკური ინვენტარის შეფასება*" ამტკიცებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი. მეორე კომპონენტია დაზიანებული ინფრასტრუქტურა და დაბინძურებული წყალი, რაც იწვევდა მიკრობიოლოგიურ დაბინძურებას და შესაბამისად, კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეს კი სერიოზული პრობლემაა ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის და მათთვის, ვისაც მსგავსი დაავადება უკვე აწუხებთ.

2004 წლიდან მოყოლებული მთავრობამ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა სასმელი წყლის რესურსების ოპტიმიზაციის მიმართულებით და გაზარდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება. ურბანულ დასახლებებში ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროექტები განხორციელდა, თუმცა მსგავსი პროექტები სოფლებშიც ხორციელდება. უკვე მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ურბანულ დასახლებებში. სოფლებში ამ პრობლემის მოგვარებას ალბათ უფრო დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ბევრ სოფელში უკვე გამოსწორდა სასმელი და არასასმელი წყლის მიწოდება.

**CSG1/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

შინამეურნეობების დაახლოებით 71%-ს სახლში აქვს სასმელი წყალი. გარდა ამისა, 11%-ს სასმელი წყალი აქვს ეზოში ან ბაღში. დანარჩენები იყენებენ საკუთარ ჭას, წყლის რეზერვუარებს ან ბოთლის წყალს.

სურათი 8-64 და სურათი 8-65 გვიჩვენებს წყალმომარაგების მოცულობას და ხარისხს. შინამეურნეობების დაახლოებით 76%-ს აქვს ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა. დანარჩენი შინამეურნეობები იყენებენ თხრილებს და სადრენაჟო არხებს (59.2% ან ბაღებსა და ეზოებს (დაახლოებით 40.8%) (იხ. სურათი 8-66).




სურათი 8-64: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში




სურათი 8-65: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში




**სურათი 8-66: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა CSG1/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების მხოლოდ 11%-სთვის არის ხელმისაწვდომი სარწყავი სისტემა. მათგან უმრავლესობა (9%) იყენებს ამ სისტემას (იხ. სურათი 8-67).

ზოგადად, წყალმომარაგება საკმარისად არ მიიჩნევა. რესპონდენტთა 49% აცხადებს, რომ ზოგ შემთხვევაში წყალმომარაგება არ არის საკმარისი, თუმცა 16% მიიჩნევს, რომ ყოველთვის საკმარისია. ხარისხის თვალსაზრისით, რესპონდენტების თითქმის 36% უკმაყოფილოა. 34% ამბობს, რომ ხარისხი დამაკმაყოფილებელია. 16.5%-ს აზრით, წყლის ხარისხი „ძალიან ცუდია," ხოლო 11.6% ამბობს, რომ ხარისხი „საუკეთესოა".




**სურათი 8-67: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება CSG1/ პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

9 დასახლებიდან მხოლოდ 1 სოფელს (ხანდო) არა აქვს სასმელი წყლით მომარაგების სისტემა. შინამეურნეობების მხოლოდ 4%-ს მიუწვდება ხელი სასმელ წყალზე საკუთარ სახლებში. შინამეურნეობების 72% -ს სამელი წყალი აქვს ეზოში ან ბაღში. სხვა ოჯახები კი მეზობლების სასმელ წყალს იყენებენ. დანარჩენ შინამეურნეობებს საკუთარი ჭა აქვთ ან ახლომდებარე წყაროს წყალს მოიხმარენ (დაახლოებით 10%).

სურათი 8-68 და სურათი 8-69 ნაჩვენებია წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი. ზოგადად, მიჩნეულია, რომ წყალმომარაგება საკმარისია, თუმცა შინამეურნეობების 25% აცხადებს, რომ წყლის მოცულობა ყოველთვის არ არის საკმარისი. ხარისხის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით ხარისხი „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელია,“ თუმცა თითქმის იგივე რაოდენობა აცხადებს, რომ წყლის ხარისხი „ცუდია“ ან „საუკეთესო“.




**სურათი 8-68: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-69: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

არცერთი შინამეურნეობა არ არის დაკავშირებული ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან. შინამეურნეობები ძირითადად იყენებენ თხრილებს და სადრენაჟო არხებს (43%) ან ბაღებსა და ეზოებს (57%). (იხ. სურათი 8-70).




**სურათი 8-70: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სარწყავი წყალი ხელმისაწვდომია შინამეურნეობების დაახლოებით 11%-სთვის. შინამეურნეობების 6%- ზე ოდნავ მეტი არ იყენებს მას (იხ. სურათი 8-71).




**სურათი 8-71: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი 9 დასახლებიდან მხოლოდ 1 დასახლებას (აბათხევი) არა აქვს სახლებში სასმელი წყალმომარაგების სისტემა. შინამეურნეობების დაახლოებით 27%-ს საკუთარ სახლებში აქვს სასმელი წყალი. 62%-ს სასმელი წყლის ონკანები ბაღებსა და ეზოებში აქვს. ზოგიერთი ოჯახი მეზობლების სასმელ წყალს იყენებს, ხოლო დაახლოებით 11%-ს საკუთარი ჭა აქვს ან ახლომდებარე წყაროს წყალს მოიხმარს.

სურათი 8-72 და სურათი 8-73 გვიჩვენებს წყალმომარაგების მოცულობასა და ხარისხს. ზოგადად, მიჩნეულია, რომ წყალმომარაგება არ არის საკმარისი. შინამეურნეობების 40% აცხადებს, რომ წყალი ხანდახან არ არის საკმარისი, 34% მიიჩნევს, რომ წყალი ყოველთვის არასაკმარისია. ხარისხის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით ხარისხი „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელია,“ თუმცა დაახლოებით 16% აცხადებს, რომ წყლის ხარისხი „ცუდია“ ან „ძალიან ცუდი.“ 5%-მდე რესპონდენტებისა ამბობს, რომ ხარისხი „საუკეთესოა“.




სურათი 8-72: წყალმომარაგების მოცულობა და ხარისხი PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში




**სურათი 8-73: შინამეურნეობების მიერ გამოყენებული წყლის ხარისხი PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

შინამეურნეობების დაახლოებით 24% დაკავშირებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან. რაც შეეხება დანარჩენ შინამეურნეობებს, ისინი ძირითადად იყენებენ თხრილებს, სადრენაჟე არხებს, ბაღებსა და ეზოებს (იხ. სურათი 8-74).




**სურათი 8-74: ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

სარწყავი წყალი ხელმისაწვდომია შინამეურნეობების დაახლოებით 23%-სთვის, მაგრამ შინამეურნეობების თითქმის 10% არ იყენებს მას (იხ. სურათი 8-75).




**სურათი 8-75: სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

*განათლება*

გაეროს 2008 წლის ანგარიშის „*საქართველოს განვითარების ანგარიში: რეფორმები და მათ ფარგლებს გარეთ*“ თანახმად, განათლების დაფინანსება შემცირდა მშპ-ს 7%-დან (1991) 1%-მდე (1994). 2003 წლისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2.1% იყო. დაფინანსების შემცირებამ მასწავლებლებისა და ლექტორების ხელფასების შემცირება და ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუარესება გამოიწვია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქების სკოლების 70% და სოფლების სკოლების 84% საჭიროებდნენ სრულ რეკონსტრუქციას ან მნიშვნელოვან შეკეთებას 1999 წელს.

სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ამჟამინდელი ეროვნული პროგრამა 500 მილიონ ლარს (328 მილიონ დოლარს) დახარჯავს სკოლების რეაბილიტაციაზე 2011 წლის მდგომარეობით. ასევე ცალკეულ შემთხვევებში აშენდა ახალი სკოლები, მათ შორის სოფლებშიც.

ამ პროგრესის მიუხედავად, მაინც რჩება სირთულეები. მსოფლიო ბანკისთვის მომზადებულ ანგარიშში (გოდფრი, 2007) ნათქვამია, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა მხოლოდ 86%-ის მიღების გამო მსოფლიო ბანკმა საქართველო (ტაჯიკეთთან და მოლდოვასთან ერთად ) გააერთიანა დსთ-ს ყოფილი ქვეყნების კატეგორიაში, რომლებიც სავარაუდოდ ვერ აღწევენ ათასწლეულის განვითარების მიზან #2-ს საყოველთაო დაწყებით განათლებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგების თანახმად საზოგადოების დამოკიდებულება განათლების სისტემაში ცვლილებების მიმართ ძირითადად პოზიტიურია და ეს განწყობა კიდევ უფრო იზრდება. 2005 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც ეხებოდა რეფორმებისადმი დამოკიდებულებას, თბილისელი, გორელი და ქუთაისელი რესპონდენტების 46%-მა მხარდაჭერა გამოხატა რეფორმის მიმართ. 2005 წლის ნოემბერში რეფორმას 59% უჭერდა მხარს, ხოლო 2007 წელს ამ რიცხვმა 65%-ს მიაღწია. ცვლილებებს თან ახლდა მშობლების დანახარჯების ზრდა სკოლის მოსწავლე შვილებისთვის წიგნების, ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების ყიდვის თვალსაზრისით.

რუსული ენის სწავლების შემცირება ნეგატიურად აისახა ეთნიკურ უმცირესობებზე. ეთნიკური უმცირესობების ბევრი შინამეურნეობისთვის რუსული მეორე ენა იყო. ახლა ბავშვებს უწევთ სკოლაში გამოცდების ჩაბარება ქართულ ენაზე, რაც მათთვის არ არის მშობლიური ენა. (რუსულენოვანი სკოლების არჩევანი აღარ არის). ეთნიკური

უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო ღარიბია, ვიდრე ძირითადი ქართველი მოსახლეობა (გაეროს განვითარების პროგრამა, 2007). ამ შინამეურნეობებისთვის სკოლაში სიარულის ხარჯები უფრო მაღალია.

**CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

შინამეურნეობების მესამედზე მეტს (37.1%) ჰყავს სკოლის ასაკის შვილები, რომლებიც დაწყებით ან საშუალო სკოლაში სწავლობენ. ბავშვების 1% არ დადის სკოლაში ხელმიუწვდომლობის გამო. შინამეურნეობების 18% ადგილობრივი სკოლების ხარისხს „საუკეთესოდ" მიიჩნევს, დაახლოებით 38% ამბობს, რომ ხარისხი „კარგია." მხოლოდ 6% მიიჩნევს, რომ სკოლები „ცუდ" მდგომარეობაშია. რესპონდენტების უმრავლესობა რთულად მიიჩნევს ბოლო 5 წლის პერიოდის ადგილობრივი სკოლების ხარისხის შეფასებას. თუმცა საგრძნობლად მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდა (38%), ვიდრე გაუარესდა (3%). (იხ. სურათი 8-76, სურათი 8-77 და სურათი 8-78).




**სურათი 8-76: დასწრება სკოლებში CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-77: სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-78:** **ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

შინამეურნეობების დაახლოებით მესამედს (30.5%) ჰყავს სკოლის ასაკის შვილები, რომლებიც დაწყებით ან საშუალო სკოლაში დადიან. ბავშვების მხოლოდ 0.1% არ დადის სკოლაში. რესპონდენტების 24% ამბობს, რომ ადგილობრივი სკოლების ხარისხი „საუკეთესოა“ დაახლოებით 15% აცხადებს, რომ ხარისხი „კარგია.“ თუმცა რესპონდენტების 23% ამბობს, რომ სკოლები „ცუდ“ მდგომარეობაშია. რესპონდენტების უმრავლესობა რთულად მიიჩნევს ბოლო 5 წლის პერიოდის ადგილობრივი სკოლების ხარისხის შეფასებას. თუმცა მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდა (11%), ვიდრე გაუარესდა (6%). (იხ. სურათი 8-79, სურათი 8-80 და სურათი 8-81).




**სურათი 8-79:** **დასწრება სკოლებში CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-80: სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-81: ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო 5 წლის განმავლობაში CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

შინამეურნეობების დაახლოებით 29%-ს ჰყავს სკოლის ასაკის შვილები, რომლებიც დაწყებით ან საშუალო სკოლაში დადიან. ბავშვების მხოლოდ 0.3% არ დადის სკოლაში. რესპონდენტების 17% ამბობს, რომ ადგილობრივი სკოლების ხარისხი „საუკეთესოა" დაახლოებით 38% აცხადებს, რომ ხარისხი „კარგია." თუმცა რესპონდენტების 15% ამბობს, რომ სკოლები „ცუდ" მდგომარეობაშია. რესპონდენტების უმრავლესობა რთულად მიიჩნევს ბოლო 5 წლის პერიოდის ადგილობრივი სკოლების ხარისხის შეფასებას. თუმცა მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდა (25%), ვიდრე გაუარესდა (2%) (იხ. სურათი 8-82, სურათი 8-83 და სურათი 8-84).




**სურათი 8-82:** **დასწრება სკოლებში PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-83:** **სკოლების ხარისხის შეფასება (სკოლის ასაკის ბავშვებისთვის) PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-84:** **ადგილობრივი სკოლების ხარისხი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

*მობილური ქსელის დაფარვა*

ყველა CSG1-სა და PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებაში არის მობილური ქსელის დაფარვა, თუმცა CSG2-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არ არის.

*შეხედულებები ინფრასრუქტურასა და მომსახურებაზე*

ამ თავში საუბარია ტენდენციებსა და პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება არსებულ ინფრასტრუქტურას და მომსახურებებს დასახლებებში. კვლევის შედეგები მიღებულია 2011 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში შინამეურნეობებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან.

**CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის განხილვისას წყალმომარაგების სტატუსი და ხარისხი ყველაზე ხშირად იყო ნახსენები პრობლემებს შორის. შინამეურნეობების დაახლოებით 50% აცხადებს, რომ წყლის ხარისხი არასახარბიელოა და 30%-ზე მეტი ფიქრობს, რომ წყალმომარაგების მომსახურება დაბალ დონეზეა. დაახლოებით 20-25% მიიჩნევს, რომ ასევე არასახარბიელო მდგომარეობაშია გზები, სადრენაჟო სისტემა, კანალიზაცია, გასართობი საშუალებები (იხ. სურათი 8-85).




**სურათი 8-85: შეხედულებები ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

არსებობს აზრთა სხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა დონეზე მოხდა გაუმჯობესება ან გაუარესება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნაკლები შინამეურნეობა მიიჩნევს, რომ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა გაუმჯობესდა, ხოლო უფრო მეტი ფიქრობს, რომ გაუმჯობესდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა/მომსახურება. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესდა დამნაშავეობასთან ბრძოლის/პოლიციისა და

ვაჭრობის სფეროები. მაგრამ ბევრი რესპონდენტი ასევე მიიჩნევს, რომ ცვლილება არ არის ინფრასტრუქტურის/მომსახურების სფეროში (იხ. სურათი 8-85 და სურათი 8-86).




**სურათი 8-86: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების ცვლილებებზე CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

**CSG2/ პარალელური მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები**

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის განხილვისას მოსახლეობის უმრავლესობამ დააფიქსირა აზრი, რომ ადგილობრივი გზების მდგომარეობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ხარისხი მთავარი პრობლემებია. 80% ფიქრობს, რომ ადგილობრივი გზების მდგომარეობა „ცუდია" და 40%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობაც „ცუდია." კომუნალური მომსახურებაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ხარისხისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ასეთი მომსახურებაა წყალმომარაგება, კანალიზაცია და დასუფთავება. გარდა ამისა არის ისეთი სერვისები, როგორიცაა სავაჭრო ადგილები, ფოსტა, ბანკების ხელმისაწვდომობა, გასართობი საშუალებები (იხ. სურათი 8-87).

რესპონდენტების დიდი რაოდენობა 80% მიიჩნევს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი გზების მდგომარეობა გაუარესდა. რაც შეეხება სხვა კომუნალურ მომსახურებას (წყალმომარაგება და წყლის ხარისხი), ზოგი მიიჩნევს, რომ გაუმჯობესდა,

სხვები კი ამბობენ, რომ გაუარესდა. ეს აზრთა სხვადასხვაობა რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილზეა დამოკიდებული. შესამჩნევია პროგრესი დამნაშავეობასთან ბრძოლის/პოლიციის სფეროში. ბევრი რესპონდენტი ფიქრობს, რომ კომუნალურ მომსახურებასა და ინფრასტრუქტურაში ცვლილებები არ არის (იხ. სურათი 8-87 და სურათი 8-88).




**სურათი 8-87: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობაზე CSG2/პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-88: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის ცვლილებაზე CSG2 /პარალელურ მილსადენთან მისასვლელი გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

### PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის განხილვისას მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ადგილობრივი გზების პრობლემას ასახელებს. სხვა პრობლემებს ნაკლებად ასახელებენ, თუმცა მათაც თანაბარი მნიშვნელობა აქვთ- წყალმომარაგება, საფოსტო და ფინანსური სერვისები, გასართობი საშუალებების ხელმისაწვდომობა (იხილეთ სურათი 8-88).

რესპონდენტების 20% მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი გზების მდგომარეობა გაუარესდა. 35% კი ამბობს, რომ პირიქით, გაუმჯობესდა. რაც შეეხება სხვა კომუნალურ მომსახურებას, უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ გაუმჯობესდა,

ვიდრე გაუარესდა. ეს აზრთა სხვადასხვაობა რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილზეა დამოკიდებული. ბევრი რესპონდენტი ფიქრობს, რომ კომუნალურ მომსახურებასა და ინფრასტრუქტურაში ცვლილებები არ არის (იხ. სურათი 8-89 და სურათი 8-90).

ყველა დასახლებაში არის მობილური კავშირი.




**სურათი 8-89: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის შესახებ PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**




**სურათი 8-90: შეხედულებები ინფრასტრუქტურის/მომსახურების მდგომარეობის ცვლილებაზე PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში**

## *8.7.4 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სენსიტიური ფაქტორები*

*CSG1/პარალელური მილსადენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

ძირითადი სენსიტიური ფაქტორებია:

- წყალმომარაგება და წყლის ხარისხი
- საკანალიზაციო წყლის გაწმენდა
- დასუფთავება (ნარჩენების გატანა-დამუშავება)

*CSG2/ პარალელურ მილსადენთან მისასვლელის გზის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

ძირითადი სენსიტიური ფაქტორებია:

- ბუნებრივი აირის არარსებობა (დამოკიდებულება შეშასა და საქონლის ნაკელზე გათბობისა და საჭმლის მომზადების თვალსაზრისით)
- წყალმომარაგება (დაახლოებით 10% დამოკიდებულია წყაროებსა და ჭებზე) და წყალმომარაგების გრაფიკი
- გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ცუდ მდგომარეობაშია კიდევ უფრო უარესდება )

*PRMS-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები*

ძირითადი სენსიტიური ფაქტორებია:

- ბუნებრივი აირის არარსებობა (დამოკიდებულება შეშაზე გათბობისა და საჭმლის მომზადების თვალსაზრისით)
- წყალმომარაგება (დაახლოებით 10% დამოკიდებულია წყაროებსა და ჭებზე) და წყალმომარაგების გრაფიკი
- კომერციული მომსახურების (ფოსტა, ბანკი) ხელმიუწვდომლობა
- სათანადო გასართობი საშუალებების დეფიციტი.

## 8.8 სატრანსპორტო საშუალებები

ანგარიშის ამ თავში აღწერილია არსებული საგზაო მოძრაობა გზებზე რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას SCPX პროექტის მილების დასაწყობების უბნებთან, დროებით სამშენებლო ბანაკებთან, მილსადენთან და AGI-სთან მისასვლელად.

### 8.8.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია

საველე კვლევის მომზადებისას გამოყენებული იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის დამატებებში მოცემული ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების საბაზისო კვლევის შესახებ.

აღნიშნული კვლევები 10 წლის წინ ჩატარდა. ზოგადად, გზების მდგომარეობა შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი. ბევრ გზაზე არ იყო დაგებული გზის საფარი, გზები ცუდად ნათდებოდა და უსაფრთხოების ინფასტრუქტურა არასახარბიელო იყო. გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების უმრავლესობა იყო ძველი, საბჭოთა წარმოების ავტოტექნიკა. გზებზე ხშირად მოძრაობდნენ ცხენები, ურმები და ნახირი.

### 8.8.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები

*არასაკმარისი მონაცემები*

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის სატრანსპორტო საშუალებების კვლევა დაახლოებით 10 წლის წინ ჩატარდა და ამის გამო, მიჩნეულია, რომ, მონაცემები სავარაუდოდ მოძველებულია და ამიტომ, მათ მცირე გამოყენება შეიძლება ქონდეთ. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა, თუმცა მეორეხარისხოვანი და სოფლის გზების უმრავლესობა ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაში შეიძლება იყოს. გზების ზედაპირი

უსწორმასწორო და ორმოებიანია. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკამ პროგრესი განიცადა, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელობაც სავარაუდოდ გაიზარდა. ძველი ავტომანქანები ახალმა, თანამედროვე მანქანებმა ჩაანაცვლეს. ამგვარად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის სატრანსპორტო საშუალებების კვლევა ნაკლებად რეპრეზენტატიული იქნება ახალი საბაზისო კვლევისთვის.

სატრანსპორტო საშუალებებზე ახალი კვლევის ჩატარების მიზანია საბაზისო პირობების განსაზღვრა SCPX პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევისთვის. 2011 წლის 8-დან 14 ნოემბრამდე RSK-ს დამონტაჟებული ჰქონდა ტრანსპორტის დამთვლელი აპარატურა, რომელსაც უნდა დაედგინა სატრანსპორტო ნაკადების ცვლილებები ისეთ ადგილებში, რომლებიც უფრო გამოსადეგი იქნება SCPX პროექტისთვის, რადგან ეს გზები სამომავლოდ საჭიროა მშენებლობის გასხვისების დერეფანთან, ბანაკებთან, მილების დასაწყობების უბნებთან მისასვლელად. კვლევა ჩატარდა 5 სამუშაო დღის განმავლობაში თითოეულ ლოკალიზაციაზე და დამატებითი კვლევა ჩატარდა შაბათ-კვირას, 6-დან 2 ლოკალიზაციაზე, რადგან სამშენებლო სამუშაოები შეიძლება მთელი კვირის განმავლობაში გაგრძელდეს.

### *სატრანსპორტო საშუალებების კვლევის ლოკალიზაციები*

სურათი 8-91 ასახავს სატრანსპორტო კვლევის ექვს ლოკალიზაციას, რომლებიც კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან, დასაწყობების ადგილებთან, სამშენებლო ბანაკებთან და მილების შესანახ უბნებთან მისასვლელად განიხილება.




სურათი 8-91: სატრანსპორტო კვლევის ლოკალიზაცია 1




სურათი 8-92: სატრანსპორტო კვლევის ლოკაცილიზაცია 2 (წალკის წყალსაცავი)




**სურათი 8-93: სატრანსპორტო კვლევის ლოკალიზაციები 3, 4, 5 და 6**

კვლევის ლოკალიზაციები შემდეგნაირად შეირჩა:

- ლოკალიზაცია 1 მდებარეობს ახალციხიდან დასავლეთით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით PRMS-ის უბნისკენ მიმავალ მთავარ გზასთან
- ლოკალიზაცია 2 მდებარეობს წალკიდან დასავლეთით რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, გზაზე, რომელიც წალკიდან CSG2 დასახლებებისკენ მიდის
- ლოკალიზაცია 3 მდებარეობს მარნეულის ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, იქ სადაც SCPX მილსადენის მარშრუტი კვეთს მარნეული-თბილისის გზას
- ლოკალიზაციები 4, 5, და 6 შეირჩა იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანსპორტის ნაკადი რუსთავში და მის შემოგარენში, რადგან აქ ახლოს განთავსდება სამშენებლო ბანაკები და მილების დასაწყობების ადგილები, აქვეა ასევე CSG1-ის უბნისკენ მიმავალი გზაც. ლოკალიზაცია 4 რუსთავშია. ლოკალიზაცია 5 რუსთავის ჩრდილოეთითაა CSG1-ის უბნისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც სავარაუდოდ გამოიყენება თბილისიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი ტრანსპორტისთვის. ლოკალიზაცია 6 მდებარეობს რუსთავის აღმოსავლეთით, სადაც CSG1-ის ტერიტორიისკენ მიმავალი გზა კვეთს ინდუსტრიულ არეს და გვერდს უვლის ქალაქს.

### *კვლევის მეთოდები*

თითოეულ ლოკალიზაციაზე მინიმუმ ორი დამთვლელი მუშაობდა. ლოკალიზაციებში 2-6 კვლევა ტარდებოდა 09:00-დან 17:00-მდე, 8 საათის განმავლობაში, დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდში. ლოკალიზაციაში 1 დაკვირვების წარმოება ხდებოდა 11:00-დან 17:00-მდე, რადგან ამინდი ხელს უშლიდა საკვლევ ჯგუფს, რომ სამუშაო დილის 9 სთ-დან დაეწყოთ.

საველე ჯგუფის წევრები მონაცემებს იწერდნენ სპეციალურ საველე მონაცემთა ფორმებში (MCC - Manual Classified Counts); გამოყენებული იყო გაერთიანებული სამეფოს ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და ტიპის განსასაზღვრავად. ისინი იყენებდნენ სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციას, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 8-18).

ცხრილი 8-18: სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია (DFID Overseas Road Note 40-ის მიხედვით)

| სატრანსპორტო საშუალების ტიპი | აღწერა |
|---|---|
| **გზის სხვა მომხმარებლები** | |
| ფეხით მოსიარულეები | გზის სხვა მომხმარებლები აერთიანებს მარცხნივ ჩამოთვლილ ყველა სატრანსპორტო საშუალებას. ამ სატრანსპორტო საშუალებების დიდმა ნაწილმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ხელმისაწვდომი გზის სიგანეზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას SCPX-ის მიერ მშენებლობის საჭიროებისთვის; ასევე ზემოქმედებას შეიძლება ადგილი ქონდეს ნაკადის სიჩქარეზეც. |
| საქონლის ფარა | |
| ველოსიპედები | |
| მოტოციკლი | |
| საჭაპნე ტრანსპორტი | |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანები | |
| **მსუბუქი მანქანები** | |
| ავტომობილები | აერთიანებს სამგზავრო მსუბუქ მანქანებს, 4x4 და ტაქსებს. |
| მსუბუქი სატვირთო ავტომობილები და მიკრო ავტობუსები | აერთიანებს ავტოფურგონებს, მიკროავტობუსებს და მსუბუქ ერთხიდიან ტვირთმზიდებს |
| **მძიმე მანქანები** | |
| პატარა სატვირთო ავტომობილები (2 ღერძიანი) | ორხიდიანი მანქანები ორი საბურავით უკან ხიდზე. |
| საშუალო სიმძიმის სატვირთო ავტომანქანები/მძიმე სატვირთ ავტომანქანები (3 ღერძიანი) | სამ ღერძიანი დიდი სატვირთო მანქანა |
| მძიმე სატვირთოები (4 ან მეტ ღერძიანი) | მანქანა 4 ან მეტი ღერძიანი (მათ შორის ითვლება ტრაილერიც) |
| ავტობუსები და დიდი ავტობუსები | ყველა ჩვეულებრივი ავტობუსი და დიდი ავტობუსი. მანქანები, ეს არ მოიცავს მიკროავტობუსებს. |

საველე ჯგუფის წევრები იდგნენ ისეთ უსაფრთხო ადგილებში, რომლებიც სავალი ნაწილისგან ცოტა მოშორებით იყო და საიდანაც მკაფიოდ მოჩანდა გზა და სატრანსპორტო მოძრაობა. ისინი ითვლიდნენ გზით მოსარგებლეებს. დაკვირვება ხდებოდა მუდმივად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში კეთდებოდა გარკვეული ინტერვალებიც. როგორც კი სატრანსპორტო საშუალება ჩაივლიდა კვლევის ადგილას, დამთვლელი მაშინვე აფიქსირებდა მას დათვლის ფორმაში. მონაცემების დაფიქსირება ცალკე ფორმაში ხდებოდა. დატვირთულ ადგილებში, ერთი დამკვირვებელი აკვირდებოდა მხოლოდ ერთი მიმართულების ტრანსპორტს.

სატრანსპორტო ნაკადის საათობრივ აღრიცხვაში ინტერვალიც იყო გათვალისწინებული. მაგალითად 15 წუთიანი შესვენების შემდეგ 45 წუთიანი დაკვირვება ტარდებოდა და ამ საათისთვის, ხდებოდა 45-წუთიანი მონაცემის გადაანგარიშება 60/45 მაკორექტირებელი ფაქტორით.

### 8.8.3 სატრანსპორტო საშუალებების საბაზისო მდგომარეობა

წინამდებარე ანგარიშის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თავის (თავი 8.8) მიხედვით, საქართველოში იყო მნიშვნელოვანი მცდელობები გზებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. მოხდა გზების რეაბილიტაცია და მიმდინარეობს დამატებითი ორმხრივი სავალი გზების მშენებლობა.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ მთავარი გზების უმეტესი ნაწილი, რომელსაც SCPX პროექტის სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენებენ, კარგ მდგომარეობაშია. თუმცა არის გარკვეული მონაკვეთები, სადაც რეაბილიტაცია ისევ მიმდინარეობს, მაგალითად გორის მახლობლად აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე. ადგილობრივი გზების ზოგიერთი მონაკვეთი ცუდ მდგომარეობაშია, მაგალითად რუსთავის ინდუსტრიული ნაწილიდან CSG1 უბნისკენ მიმავალი გზა და წალკიდან CSG2 ტერიტორიისკენ მიმავალი გზის მონაკვეთები.

2011 წლის ნოემბერში ჩატარდა სატრანსპორტო საშუალებების კვლევა. როგორც წესი, ნოემბერი არ ითვლება ყველაზე დატვირთულ თვედ სატრანსპორტო მოძრაობის თვალსაზრისით. თვიდან თვემდე და სეზონიდან სეზონამდე იცვლება გზების დატვირთვის დონე. ამის მიზეზი ბევრი ფაქტორია. ზაფხულში ადამიანები უფრო აქტიურად გადაადგილდებიან, ვიდრე ზამთარში, რადგან თოვლის გამო მოძრაობა ხშირად შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ კვლევის პროცესში სატრანსპორტო ნაკადის დონე სავარაუდოდ საშუალო წლიური მაჩვენებლის ანალოგიურია საკვლევ რაიონებში.

დამატება K-ში მოცემულია საველე კვლევისას შეგროვებული შემდეგი მონაცემები:

- ცალმხრივი მოძრაობის ყოველდღიური მონაცემების შეჯამება ლოკალიზაციების მიხედვით
- ცალმხრივი მოძრაობა ყველა ლოკალიზაციაზე საშუალო ნაკადის, სატრანსპორტო საშუალებების ტიპის და პიკის საათებში მოძრაობის მიხედვით.

ქვემოთ შეჯამებულია სატრანსპორტო ნაკადის მოცულობა (იხ.ცხრილი 8-19, სურათი 8-94 და სურათი 8-95).

**ცხრილი 8-19: სატრანსპორტო ნაკადის შეჯამება**

| ლოკალიზაცია | საშუალო ნაკადი დათვლის პერიოდში (მანქანა/სთ) | საათობრივი ნაკადი პიკის საათებში (მანქანა/სთ) | მძიმე სატრანსპორტო საშუალებების პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| ლოკალიზაცია 1 (ახალციხის მახლობლად) | | | |
| - ახალციხის მიმართულებით | 48.00 | 61.00 | 27.08 |
| - ახალციხიდან | 56.83 | 69.00 | 22.29 |
| ლოკალიზაცია 2 (წალკის მახლობლად) | | | |
| - წალკის მიმართულებით | 26.50 | 34.00 | 14.15 |
| - წალკიდან | 22.13 | 32.00 | 12.99 |
| ლოკალიზაცია 3 (მარნეულის მახლობლად) | | | |
| - მარნეულის მიმართილებით | 331.88 | 398.00 | 10.24 |
| - მარნეულიდან | 264.50 | 334.00 | 8.46 |
| ლოკალიზაცია 4 (რუსთავის მახლობლად) | | | |

| ლოკალიზაცია | საშუალო ნაკადი დათვლის პერიოდში (მანქანა/სთ) | საათობრივი ნაკადი პიკის საათებში (მანქანა/სთ) | მძიმე სატრანსპორტო საშუალებების პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| -რუსთავის მიმართულებით (კვირის დღეები) | 815.13 | 894.00 | 2.01 |
| -რუსთავიდან (კვირისდღეები) | 818.00 | 915.00 | 2.49 |
| - რუსთავის მიმართულებით (შაბათ-კვირას) | 663.75 | 715.00 | 1.75 |
| - რუსთავიდან (შაბათ-კვირას) | 650.42 | 732.00 | 1.56 |
| ლოკალიზაცია 5 (რუსთავის ჩრდილოეთ ნაწილთან) | | | |
| - რუსთავის მიმართულებით | 73.50 | 90.00 | 17.18 |
| - რუსთავიდან | 51.88 | 65.00 | 21.93 |
| ლოკალიზაცია 6 (რუსთავის სამხრეთ ნაწილთან) | | | |
| - რუსთავის მიმართულებით (კვირის დღეებში) | 128.50 | 166.00 | 17.41 |
| - რუსთავიდან (კვირის დღეებში) | 113.63 | 176.00 | 14.63 |
| - რუსთავის მიმართულებით (შაბათ-კვირას) | 88.75 | 141.00 | 18.59 |
| - რუსთავიდან (შაბათ-კვირას) | 63.50 | 78.00 | 25.00 |




**სურათი 8-94:** **ცალმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადი თითოეულ ადგილზე პროცენტული შემადგენლობით**




**სურათი 8-95: ორმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადი თითოეულ ლოკალიზაციაზე კატეგორიის მიხედვით**

*სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა პირველ ლოკალიზაციაზე*

ახალციხისკენ მიმავალ გზაზე პიკის საათებში (14:00-15:00) 61 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა. ახალციხიდან მიმავალ გზაზე პიკის საათი დაფიქსირდა 12:00-დან 13:00-მდე და ამ დროს 69 სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა გზაზე. სატრანსპორტო ნაკადი ძირითადად დაბალანსებული იყო დღის განმავლობაში. ამ მარშრუტზე მოძრავ ტრანსპორტს შორის მძიმე ავტოტრანსპორტმა შეადგინა საშუალოდ 24.7%.

მძიმე ავტოტრანსპორტი ძირითადად მოძრაობდა კარიერისკენ მიმავალ და სამტეხლოდან მომავალ გზაზე მთელი დღის განმავლობაში. სავარაუდოდ, მძიმე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მცირედ შემცირდება შემცირდება PRMS უბნისკენ მიმავალ გზაზე.



**სურათი 8-96: ტრანსპორტის მოძრაობა ახალციხის მიმართულებით**

*სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა მეორე ლოკალიზაციაზე*

წალკისკენ მიმავალ გზაზე 13:00-დან 14:00-მდე და 14:00-დან 15:00-მდე პიკის საათები დაფიქსირდა. ამ პერიოდში 34-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა. წალკიდან მომავალ გზაზე 15:00-დან 16:00-მდე იყო პიკის საათი და 32 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა.

ლოკალიზაცია 2 დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ძლიერი თოვის შემდეგ ორი დღის განმავლობაში. ამინდმა შესაძლოა შეამცირა სატრანსპორტო ნაკადი.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯამებაში მოცემულია „სხვა სატრანსპორტო საშუალებების“ პროპორციული მაჩვენებლები, ნაკადის დაახლოებით 55%-ს შეადგენს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა.



სურათი 8-97: ტრანსპორტის მოძრაობა წალკის მიმართულებით

*სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა მესამე ლოკაციაზე*

დილის საათებში, 11:00-დან 12:00-მდე მარნეულისკენ მიმავალ გზაზე პიკის საათი დაფიქსირდა. ამ პერიოდში იქ 398-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა. მარნეულიდან მომავალ გზაზე დატვირთული იყო 10:00-11:00 ინტერვალი და დაფიქსირდა 334 სატრანსპორტო საშუალება.

ამ ლოკალიზაციაზე დაფიქსირდა ყველაზე კარგი განათება და ყველაზე დატვირთული მოძრაობა სხვა ლოკალიზაციებთან შედარებით. ესაა მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით.



სურათი 8-98: ტრანსპორტის მოძრაობა მარნეულის მიმართულებით

*სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა მეოთხე ლოკალიზაციაზე*

სამუშაო დღეებში მეოთხე ლოკაციაზე ჩატარებული კვლევის თანახმად 13:00-დან 14:00-მდე დაფიქსირდა ყველაზე დატვირთული პერიოდი და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალი

894 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა. ქალაქის ცენტრიდან მიმავალ გზაზე კი 15:00-16:00 საათებში იყო მოძრაობის პიკი. დათვლილია 915 სატრანსპორტო საშუალება.

მეოთხე ლოკაციაზე დაკვირვება შაბათ-კვირასაც მიმდინარეობდა, რათა დაფიქსირებულიყო ცვლილებები კვირის განმავლობაში.

შაბათ-კვირას ჩატარებული კვლევის თანახმად ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე 15:00-დან 16:00-მდე 715-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა. ქალაქის ცენტრიდან მიმავალ გზაზე დატვირთული იყო 16:00-17:00 ინტერვალი, სადაც 732 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა.

სამუშაო დღეებისა და შაბათ-კვირის მონაცემების შედარებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სატრანსპორტო საშუალებების უმეტეს კატეგორიაში შემცირება დაფიქსირდა: ფეხით მოსიარულეთა რიცხვი 35%-ით, მოტოციკლების რიცხვი 33%-ით, მსუბუქი მანქანების რაოდენობა 16%-ით, ორხიდიანი პატარა სატვირთოების რაოდენობა 44%-ით, ხოლო ავტობუსები 39%-ით შემცირდა. თუმცა 100%-ით გაიზარდა ველოსიპედების მოძრაობა, რაც უკავშირდება ადამიანების გართობას და დასვენებას შაბათ-კვირას. საშუალოდ, 20%-იანი შემცირება დაფიქსირდა ყველა სატრანსპორტო კატეგორიის ნაკადში.



სურათი 8-99: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავში, ლოკალიზაცია 4



სურათი 8-100: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავის ჩრდილოეთით, ლოკალიზაცია 5

### *სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა მეხუთე ლოკალიზაციაზე*

10:00 -11:00 ინტერვალში პიკის საათი დაფიქსირდა რუსთავისკენ მიმავალ გზაზე. ამ პერიოდში იქ 90-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა. რუსთავიდან მიმავალ გზაზე კი დატვირთული იყო 14:00-15:00 ინტერვალი. დაფიქსირდა 65 სატრანსპორტო საშუალება.

### *სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა მეექვსე ლოკალიზაციაზე*

მეექვსე ლოკალიზაციაზე შაბათ-კვირას ჩატარებული კვლევის თანახმად ქალაქის ცენტრისკენ (ჩრდილოეთის მიმართულებით) მიმავალ გზაზე 11-და 12 საათამდე დატვირთული პერიოდი იყო და 166 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა. ქალაქის ცენტრიდან (სამხრეთის მიმართულებით) 10-დან 11-მდე იყო პიკის საათი. ამ მონაკვეთში 176-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა.

მეექვსე ლოკალიზაციაზე დაკვირვება კვირის დღეებში და შაბათ-კვირასაც, რათა დაფიქსირებულიყო კვირის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები.

შაბათ-კვირას მეექვსე ლოკაცილიზაციაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქალაქის ცენტრისკენ (ჩრდილოეთის მიმარულებით) მიმავალ გზაზე 09:00-10:00 ინტერვალში იყო პიკის საათი და 141 სატრანსპორტო საშუალება დაფიქსირდა. 10:00 -11:00 ინტერვალი დატვირთული იყო ქალაქის ცენტრიდან მიმავალ (სამხრეთის მიმართულებით) გზაზე, სადაც 78-მა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა.

მეექვსე ლოკალიზაციის სამუშაო დღეებისა და შაბათ-კვირის მონაცემები რომ შევადაროთ, შეიძლება ითქვას, რომ სატრანსპორტო საშუალებების უმეტეს კატეგორიაში შემცირება დაფიქსირდა. საშუალოდ 37%-ით შემცირდა ყველა კატეგორიის მოძრაობა. ფეხით მოსიარულეთა რიცხვი 25%-ით, მსუბუქი მანქანების რაოდენობა 45%-ით, დიდი სატვირთოების რაოდენობა 3%-ით, ხოლო ავტობუსები 100%-ით შემცირდა. თუმცა შაბათ-კვირას 5 ველოსიპედის მოძრაობა დაფიქსირდა მაშინ, როცა სამუშაო დღეებში არცერთი ველოსიპედი არ დაფიქსირებულა.



სურათი 8-101: სატრანსპორტო მოძრაობა რუსთავის ჩრდილოეთით მეექვსე ლოკალიზაციაზე

## 8.8.4 *სატრანსპორტო მოძრაობის სენსიტიური ფაქტორები*

ქვემოთ მოცემულია სატრანსპორტო მოძრაობის ფონური მდგომარეობის კომპონენტების შეჯამება, რომელიც პროექტის კონტექსტში, მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად პროექტის განვითარების სავარაუდო ზემოქმედებებზე დაყრდნობით.

*ახალციხე*

- ტრანსპორტის დიდ ნაწილს (24.7%) შეადგენს მძიმე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებთაც კარიერიდან ამოღებული მასალა გადააქვთ
- დღის განმავლობაში ტრანსპორტის მოძრაობა დაბალანსებულია.

*წალკა*

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (55%) ტრანსპორტის ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს
- წალკაში პიკის საათები შუადღისასაა. წალკის მიმართულებით სატრანსპორტო მოძრაობა გადატვირთულია 13.00-დან 15.00 სთ-მდე, წალკიდან კი- 15.00-დან 16.00-მდე.

*მარნეული*

- მარნეულში სატრანსპორტო მოძრაობა ორივე მიმართულებით დილის საათებშია დატვირთული. მარნეულიდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე 10-დან 11-მდეა პიკის საათი, ხოლო თბილისიდან მარნეულის მიმართულებით დატვირთულია 11.00-12.00 ინტერვალი
- ეს არის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან თბილისისკენ მიმავალი ტრანსპორტისთვის.

*რუსთავი*

- მეოთხე ლოკალიზაციაზე ორივე მიმართულებით (რუსთავის ჩრდილო-დასავლეთით) პიკის საათია 13.00-დან 14.00-მდე, ქალაქიდან გასასვლელი გზა კი 15.00-დან 16.00-მდეა დატვირთული

- მეხუთე ლოკალიზაციაზე, რუსთავის ჩრდილოეთით დილა და შუადღეა დატვირთული. 10-დან 11 საათამდე ქალაქისკენ მიმავალი გზაა დატვირთული, ხოლო 14-დან 15 სთ-მდე მონაკვეთში - ქალაქიდან გამავალი გზა.
- მეექვსე ლოკალიზაციაზე დილის საათებშია გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობა. ქალაქის მიმართულებით 10-დან 11 სთ-მდე პიკის საათია, ხოლო ქალაქიდან გასასვლელ გზაზე- 11-დან 12-მდე.
- შაბათ-კვირას ზოგადად სატრანსპორტო მოძრაობის შემცირება ფიქსირდება (20%) ყველა სახის ტრანსპორტზე. მხოლოდ ველოსიპედის შემთხვევაში ფიქსირდება ზრდა.

## 8.9 უმნიშვნელოვანესი სოციო-ეკონომიკური სენსიტიურობები

ამ თავში შეჯამებულია კვლევის შედეგები და იდენტიფიცირებულია ის სოციო-ეკონომიკური კომპონენტები, რომლებიც პროექტის კონტექსტის მიხედვით განიხილება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედებების გათვალისწინებით.

გარკვეული სოციო-ეკონომიკური ჯგუფები და საკითხები განსაკუთრებით შეესაბამება განვითარებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს პოტენციური საკითხები განეკუთვნება SCPX-ის პროექტის მთელ საპროექტო ტერიტორიას:

- SCPX-ის პროექტის ზონაში არსებული დასახლებები, რომლებშიც გვხვდებიან პენსიონერთა სოციალურად დაუცველი ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობების, და იძულებით გადაადგილებული პირები
- PAC-ები არასათანადო წყალმომარაგებით, საკანალიზაციო წყლების გასუფთავების სისტემისა და ნარჩენების განთავსების ობიექტის გარეშე; აღნიშნული დასახლებები სენსიტიურნი არიან მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ხარისხის ცვლილებების მიმართ
- SCPX-ის პროექტის ზონაში არსებული დასახლებები, რომლებიც სენსიტიურნი არიან მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული სირთულეების მიმართ, იმის გამო, რომ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესი არასრულია
- გზის მომხმარებლები, რომლებიც პოტენციურად სენსიტიურები არიან იმ უხერხულობის მიმართ, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს SCPX-ის პროექტის მიერ საგზაო მოძრაობის გაზრდამ არსებულ გზებზე და თუ პროექტის მიერ გამოყენებული მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება დააზიანებს არსებული გზების ინფრასტრუქტურას
- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მნიშვნელოვანი რესურსია პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებლის მცხოვრებთათვის
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა გამოიყენება საძოვრებად და წარმოადგენს მნიშვნელოვან 'კომუნალურ' რესუსრსს
- ტუბერკულოზის დონეები საქართველოში, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ჩათვლით, მაღალია
- ცოფი, ჯილეხი, ტულარემია, Yersinia pestis, ბრუცელოზი და ლეიშმანიოზი პროექტის გავრცელების ტერიტორიისთვის ენდემური დაავადებებია
- PAC-ეზში სამედიცინო პრეპარატები მოწყვლადი ჯგუფების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ არის; სამედიცინო პრეპარატების ზნელად ხელმისაწვდომია ზოგ ადგილას.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც განხორციელდა ბუნებრივი და სოციალური გარემოს არსებული მდგომარეობის აღსაწერად იმ ტერიტორიებზე, რომელზეც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს SCPX პროექტის განხორციელებამ.

### *8.9.1 ძირითადი სენსიტიურობები 0–56 კმ ნიშნულებს შორის და CSG1 სადგურის ტერიტორიაზე*

- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს აქვთ არასაკმარისი წყალმომარაგება, ჩამდინარე წყლების გაწმენდის სისტემა და ნარჩენების განთავსების ადგილები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში არის მაღალი უმუშევრობის დონე; შედარებით პატარა სოფლებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სეზონური შემოსავალი და ეკონომიკური ცვლილებების მიმართ მგრძნობიარე არიან. არის გამოცდილი პერსონალის უკმარისობა და ინფორმაციის უქონლობა სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებით
- საგზაო მოძრაობა ყველაზე ინტენსიური კვირის სამუშაო დღეებშია. შაბათ-კვირას სატრანსპორტო ნაკადი მცირდება, თუმცა შეინიშნება რეკრეაციული მიზნებისთვის ველოსიპედების გამოყენების ზრდის ტენდენცია.

### *8.9.2 ძირითადი სენსიტიურობები CSG2 საკომპრესორო სადგურის ტერიტორიასა და მისასვლელ გზაზე*

- ზეგავლენის ქვეშ მყოფ მთის სოფლებში უმუშევრობის დონე მაღალია, შედარებით პატარა სოფლებს გააჩნია სეზონური შემოსავალი და მგრძნობიარე არიან ეკონომიკური ცვლილებების მიმართ
- მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია და არ აქვთ ინფორმაცია სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებით და ასევე არსებობს ენობრივი ბარიერის პრობლემა
- საარსებო წყარო და სიღარიბის დონე მგრძნობიარეა ახლომდებარე საძოვრებისა და ტყეების ხელმისაწვდომობაში ცვლილებისადმი
- გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ცუდ მდგომარეობაშია
- პროექტის ამ ნაწილში გაცილებით მეტი შრომისუუნარო / ქრონიკული ავადმყოფებია, ვიდრე ეს პარალელური მილსადენის მონაკვეთის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობაშია
- გაზსადენის არარსებობა (ფართოდაა გავრცელებული საწვავის სახით შეშის და ნაკელის გამოყენება საკვების მომზადების და გათბობის მიზნით) ასევე ცუდ წყალმომარაგება.

### *8.9.3 ძირითადი სენსიტიურობები PRMS-ის ტერიტორიაზე*

- SCPX პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მიწის ნაკვეთის მფლობელობის საკითხი დავის საგანია
- ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია, შედარებით პატარა სოფლებს გააჩნიათ სეზონური შემოსავალი და მგრძნობიარე არიან ეკონომიკური ცვლილებების მიმართ. მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია და არ აქვთ ინფორმაცია სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებით. აქ დამატებითი საკითხია ენობრივი ბარიერი. საარსებო წყარო და სიღარიბის დონე

მგრძნობიარეა ახლომდებარე საძოვრებისა და ტყეების ხელმისაწვდომობაში ცვლილებისადმი

- გაზის ცენტრალური მილსადენის არარსებობა (რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწვავის სახით შეშის გამოყენებას საკვების მოსამზადებლად და განსაკუთრებით გასათბობად) და ასევე ცუდი წყალმომარაგება. მოსახლეობის ათი პროცენტი დამოკიდებულია ბუნებრივ წყაროებსა და ჭებზე. აღინიშნება კომერციული ჯანდაცვის ობიექტებისა და რეკრეაციული დანიშნულების ინფრასტრუქტურის მწვავე ნაკლებობა.